ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ისტორიის, არქეოლოგიისა
და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

თ ე ა გ ა გ უ ა

რუსეთის იმპერიის სოციალურ - ეკონომიკური პოლიტიკა ქუთაისის გუბერნიაში 1846-1917 წლებში (საბანკო -საფინანსო საქმის ისტორიიდან)

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ჯემალ კარალიძე- ისტორიის დოქტორი, ბათუმის
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

სულხან კუპრაშვილი -ისტორიის დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ბათუმი 2023

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეა გაგუა

16/06/2023

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

შესავალი 4

თავი I . ქუთაისის გუბერნიის შექმნა და რუსული მმართველობის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი თავისებურებები დასავლეთ საქართველოში……14

1.1 ქუთაისის გუბერნიის ჩამოყალიბება და სტრუქტურა 14

1.2. ბათუმი და ბათუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში.....33

თავი II. ქუთაისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკი……..59

2.1. საბანკო - საფინანსო საქმის დაარსების ისტორიიდან თბილისსა და ქუთაისში XIX საუკუნეში.....59

2.2.ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის დაარსების ისტორიიდან 73

2.3.ქუთაისური „ბანკოვიადა“.....80

2.4.ილია ჭავჭავაძე ქუთაისის საადგილმამულო ბანკის შესახებ 82

თავი III. ქუთაისის ურთიერთნდობის საკრედიტო ბანკი..... 108

3.1.ქუთაისის ურთიერთნდობის საკრედიტო საზოგადოების ჩამოყალიბება და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები 108

3.2.ქუთაისის ურთიერთნდობის საკრედიტო საზოგადოების გამგეობის წევრები.....125

ძირითადი დასკვნები 134

გამოყენებული ლიტერატურა.....141

რუსეთის იმპერიის სოციალურ- ეკონომიკური პოლიტიკა ქუთაისის გუბერნიაში 1846-1917 წლებში (საბანკო -საფინანსო საქმის ისტორიიდან)

შესავალი

საკვლევი თემის მნიშვნელობა და აქტუალურობა: სადისერტაციო ნაშრომი საქართველოს ისტორიის იმ პერიოდს მოიცავს, როცა რუსეთის იმპერიის პოლიტიკური და სოციალურ - ეკონომიკური ექსპანსია საქართველოში და კონკრეტულად ქუთაისის გუბერნიაში მკვეთრად გამოხატულ რუსიფიკატორულ ხასიათს ატარებდა. რიგმა ფაქტორებმა მყარი საფუძველი მოუმზადა საქართველოში (თბილისსა და ქუთაისში) საბანკო-საფინანსო საქმის გამართვას და მოქმედებას . რუსულ მარწუხებში მოქცეულმა ქართული საზოგადოების ნაწილმა მთავარ ღირებულებად ერის თვითმოქმედების მატერიალური გზა აირჩია და ცალსახად დაინახა საზოგადოებაზე მორგებული ეკონომიკური კეთილდღეობის მთავარი ასპექტები.

სადისერტაციო ნაშრომში სხვადასხვა რაკურსით განხილულია იმერეთში, როგორც რეგიონში და ქუთაისში, როგორც ქალაქში რუსული მმართველობის ის ნიუანსები (სოციალური მდგომარეობა, ეკონომიკური ფონი, დეცენტრალიზაციის პროცესი, ადმინისტრაციული მმართველობის ნაირსახეობა, საბანკო-საფინანსო საქმე), რომელიც შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი და გაანალიზებული თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ნაშრომში ყურადღება არის გამახვილებული ქუთაისის, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის მრავალმხრივობაზე, რაც თავისთავად დასაბუთებულია და დასტურდება არა მხოლოდ ქართულ, არამედ უცხოურ წყაროებშიც. იგი ყოველთვის იყო პოლიტიკური ცენტრი რეგიონის, მხარის,

ქუთაისის გუბერნიის, იყო ქართლის ერისმთავართა დასავლური რეზიდენცია, ეგრის - აფხაზეთის სამეფოს და ერთიანი ფეოდალური მონარქიის მედროშე, დედაქალაქის სტატუსის მატარებელი. საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ქუთაისს არ დაუკარგავს მაღალი ადმინისტრაციული ფუნქცია. ის იყო ჯერ იმერეთის დროებითი მმართველობის, შემდეგ გუბრნიისა და საგენერალ-გუბერნატოროს ცენტრი. მეტად საინტერესოს ხდის ნაშრომს საარქივო მასალებში არსებული ქუთაისის გუბერნატორების ანგარიშები და მიმოხილვები, ეს არის უმდიდრესი ფაქტობრივი მასალა საქართველოს ახალი ისტორიის შესასწავლად და XIX-XX საუკუნის მოვლენების უკეთ გასააზრებლად. მასალებში ნათლად ჩანს რუს მოხელეთა თვითმპყრობელური, შოვინისტური განწყობილება, ქედმაღლური დამოკიდებულება და უდიდესი სურვილი ქართული ელემენტის გაქრობის, იდენტობის მოსპობის და ქართველი ერის სრული ასიმილაციისა.

საადგილმამულო ბანკების, ფულად-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბებამ და საბანკო საქმის გამართვამ თბილისსა და ქუთაისში მე- 19 საუკუნის 70 -იან წლებში, რომელიც თერგდალეულთა დასის უდიდესი ძალისხმევით განხორციელდა და ილია ჭავჭავაძის შეუპოვარი ბრძოლით დაგვირგვინდა, უდიდესი როლი ითამაშა ქვეყნის სამეურნეო და ეკონომიკურ, ეროვნულ, კულტურულ, საგანმანათლებლო საქმიანობაში. ამ პერიოდის საქართველოში არ ყოფილა არც ერთი საყურადღებო საკითხი, რომელიც საადგილმამულო ბანკის მეტად მრავალმხრივ მოღვაწეობას არ დაკავშირებოდა, სწორედ ბანკის მიერ გაცემული კრედიტების წყალობით განადგურებას გადაურჩა ქვეყნის მაღალი სოციალური ფენა, პოტენციურ უცხოელ მიწის მესაკუთრეებს საადგილმამულო ბანკმა ხელიდან გამოსტაცა უკვე მითვისებული მიწები.

XIX საუკუნის 80 -იან წლებში ახალ საკრედიტო დაწესებულებას ჩაეყარა საფუძველი ქუთაისში, ამ დიდი საქმის ინიციატორი კი ვაჭართა და მრეწველთა საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ, ასევე ქალაქში მცხოვრები საზოგადო

მოღვაწეები. „ურთიერთნდობის საკრედიტო დაწესებულება“ ერთგვარად მართლაც განსაზღვრავდა ორივე მხარის ურთიერთ - სარგებელს, ნდობას და ფინანსურ კეთილდღეობას, რაც თავისთავად ქალაქის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გარანტი იყო.

კვლევის მიზნები და ამოცანები: საკვლევი თემიდან გამომდინარე ნაშრომი იძლევა შესაძლებლობას სრულად იქნას წარმოდგენილი რუსეთის იმპერიის სოციალ- ეკონომიკური პოლიტიკა და საბანკო საფინანსო საქმე ქუთაისის გუბერნიაში (1846-1917 წლებში). ნაშრომი დაინტერესებულ მკითხველს შესაძლებლობას მისცემს გაეცნოს თუ როგორ ინარჩუნებდა ეროვნულ იდენტობას მრავალჭირნახული ქართული საზოგადოება და ეძებდა თვითგადარჩენის გზას. ნაშრომში კარგად ჩანს არსებულ მოცემულობაში ანექსირებულ ქვეყანაში, ადმინისტრაციულ ქაოსში, გამძაფრებულ ექსპანსიონიზმში, შიდა სოციალურ დაპირისპირებაში, როგორ შეძლო ქართულმა საზოგადოებამ სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება, წარსულის ისტორიული გამოცდილება კი ანალიზისთვის თანამედროვეობის შესაფასებლად მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის თვალსაზრისით დასაფიქრებელი მაგალითია და გასათვალისწინებელი სამომავლო ვექტორების განსაზღვრისთვის.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ძირითადი მიზანი შემდეგში მდგომარეობს: სხვადასხვა ისტორიული წყაროების, საარქივო მასალებისა და მონოგრაფიული ლიტერატურის საფუძველზე შესწავლილი და გაანალიზებული იქნას რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები საქართველოსა და კონკრეტულად, ქუთაისის გუბერნიაში, გაანალიზებული იქნას რუსული ადმინისტრაციული მმართველობის ქრონოლოგიური ჩარჩო, ცვლილებები მმართველობაში, სოციალური და ეთნიკური სტატისტიკა იმერეთის გუბერნიაში.

ნაშრომის მიზანია შესწავლილ იქნას რუსეთის იმპერიაში განხორციელებული საგლეხო რეფორმის შედეგები, რომელიც ერთმნიშვნელოვნად კარგად თუ ცუდად

შეეხო ყველა სოციალურ ფენას, ამ ყოველივემ კი გარდამტეხი საფუძველი მოუმზადა საბანკო-საფინასო სიტემის შექმნას და ჩამოყალიბებას საქართველოში, რომელსაც თავისი ისტორია და განვითარების რეტროსპექტივა გააჩნია. წარმოუდგენელ რეალობაში , როცა არ არსებობდა არანაირი ფულად-საკრედიტო სისტემა ან დამხმარე კაპიტალი, დაარსდა ქართული ბანკი-ადამიანური ყოფის და თვითგადარჩენის ერთ-ერთი საშუალება.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს საქველმოქმედო საქმიანობა ქუთაისის გუბერნიაში და საადგილმამულო ბანკი, როგორც დონორი ორგანიზაცია, (ბანკი წლების განმავლობაში აფინანსებდა სათავადაზნაურო გიმნაზიას, რამდენიმე სკოლას, ქართულ თეატრს, გამომცემლობას, ეხმარებოდა შეჭირვებულ მოსწავლეებს, სტუდენტებს). ასევე წარმოაჩინოს ის ადმიანები, რომელთა ღვაწლი და საქმიანობა სამაგალითოა საქართველოსა და კონკრეტულად ქუთაისის ისტორიაში.

კვლევის ობიექტი: სადისერტაციო ნაშრომში კვლევის ძირითადი ობიექტი არის რუსული მმართველობის ფონზე ქუთაისის გუბერნიაში (1846-1917 წწ.) რუსული ადმინისტრაციული მმართველობის ძირითადი თავისებურებები და შედეგები სოციალურ - ეკონომიკურ ჭრილში.

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია ქუთაისის გუბერნიის შექმნა, მისი როლი, მნიშვნელობა, მმართველობის სისტემის მრავალფეროვნება, გუბერნატორთა ანგარიშები ადგილობრივი მოსახლეობის ყოფის და მდგომარეობის შესაფასებლად, ფულად საკრედიტო სისტემის შექმნის და წარმართვის ისტორია, პერსონალიების როლი საბანკო საქმის ჩამოყალიბების საქმეში, სტატისტიკური ანალიზი ქუთაისის მოსახლეობის ზრდის და კლების ტენდენციების, სოციალური ფენების მდგომარეობის შესახებ, საფინანსო ორგანიზაციების ქუთაისური ფილიალების საქმიანობის უცნობი მასალები და ბანკების საქმიანობის გავლენა ქალაქის სოციალ - ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

საკითხის შესწავლის მდგომარეობა: თემის აქტუალურობის მიუხედავად, თუ ზოგადად მოვიაზრებთ რუსული იმპერიალიზმის ეპოქას საქართველოში XIX-XX ს-ში ნამდვილად გაგვიჭირდება მტკიცება იმისა, რომ საკითხი არ არის შესწავლილი, თუმცა თუ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის კარგად გააზრებულ ღონიძიებათა სისტემურ ჯაჭვს წარმოვიდგენთ, მას ჰქონდა რამდენიმე ძირითადი მიმართულება, სწორედ ერთ-ერთ მიმართულებას იკვლევს ჩვენი ნაშრომი : „რუსეთის იმპერიის სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკა ქუთაისის გუბერნიაში 1846-1917 წლებში, (საბანკო-საფინანსო საქმის ისტორიიდან)".

საკითხი არ არის მრავალმხრივ კომპლექსურად და ფუნდამენტურად შესწავლილი, უნდა აღინიშნოს სახელმძღვანელოების და მონოგრაფიების სიმწირე, რაც ერთგვარად პრობლემას უქმნის ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარს, მასალები ძირითადად დაცულია არქივებში, რაც თავისთავად ქმნის ერთგვარ წინაღობას და შეზღუდულია წვდომა ნებისმიერი ადამიანისთვის, მეტი წილი წყაროებისა არის უცხოენოვან -რუსულ ლიტერატურაში, ყოველივე ეს კიდევ უფრო აქტუალურს ხდის თემას და მეტ მეცნიერულ მნიშვნელობას სძენს მას.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე, პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ქუთაისის გუბერნიაში რუსეთის იმპერიის სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკის კომპლექსური შესწავლის პირველი ცდა არის. სადისერტაციო თემის ფარგლებში შესწავლილი საკითხების მოძიება შესაძლებელი არის სხვადასხვა წყაროებში (სამეცნიერო ლიტერატურაში, საარქივო მასალებში, სამეცნიერო სტატიებში, სამუზეუმო მასალებში, კრებულებში, ნარკვევებში, ბიოგრაფიებში, მონოგრაფიებში, ავტობიოგრაფიებში, უცხოენოვან ლიტერატურაში, ვებგვერდების და ინტერნეტ საიტების საშუალებით) თუმცა ჩამოთვლილთაგან არც ერთი არ იძლევა სრულყოფილად და თანმიმდევრულად საკითხის შესწავლის შესაძლებლობას, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქუთაისში საბანკო საქმის წარმოების და „ურთიერთნდობის საკრედიტო დაწესებულების შესახებ"

ინფორმაციის მოძიება და შესწავლა საკმაოდ გართულდა იმ მიზეზთა გამო, რომ მეცნიერულად ძალიან მწირი ინფორმაცია არსებობს საკითხის ირგვლივ.

ნაშრომი შესაძლებლობას იძლევა მკითხველს დეტალური წარმოდგენა შეუქმნას დასავლეთ საქართველოს სოციალურ - ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, გააცნოს არა მხოლოდ საბანკო სისტემის ჩამოყალიბების ისტორია, არამედ თერგდალეულთა დასის და საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლების როლი ქვეყნის გადარჩენის საქმეში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა გახლავთ ის, რომ მასში მოცემული, შესწავლილი მასალები, დასკვნები, რეკომენდაციები, ცალკეული შეფასებები, დახმარებას გაუწევს XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოს ისტორიის მკვლევარებს და ზოგადად საქართველოს წყაროთმცოდნეობით და საბანკო საქმის ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ პირებს .

ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი დისციპლინების სწავლებისას, ასევე საბანკო-საფინანსო საქმის წარმოების ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი ვორქშოფების და ტრენინგ-სემინარების ჩატარების პროცესში ინფორმაციის გაზიარების მიზნით.

კვლევის მეთოდები: ნაშრომზე მუშაობის პროცესში ჩვენ მიერ გამოყენებული იქნა თანამედროვე სამეცნიერო სფეროში აპრობირებული კვლევის ის მეთოდები, რომლებიც შეესაბამება საკვლევი ობიექტის არსსა და თავისებურებებს, მიზნებს, ამოცანებს და შედეგებს. თემაზე მუშაობის პროცესში საჭირო გახდა ისტორიული, შედარებითი, აღწერითი, შეფასებითი, კვლევითი, სტატისტიკური, ანალიზის და სინთეზის მეთოდების გამოყენება.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში აუცილებელი იყო ინფორმაციის მიღება მეცნიერული, დოკუმენტური წყაროებიდან, საარქივო მასალებიდან, სამეცნიერო

სტატიებიდან, აღნიშნულ შემთხვევაში გამოვიყენეთ: **კვლევის და ანალიზის** მეთოდი. საჭირო გახდა მოძიებული წყაროებიდან ინფორმაციის შესწავლა და ერთმანეთზე შედარება იმ მიზნით, რომ გამორიცხული ყოფილიყო ფაქტების განმეორების შემთხვევა -აღნიშნულ შემთხვევაში მივმართეთ **შედარებით ისტორიულ** მეთოდს. გამოვიკვლიეთ გუბერნატორთა სიები, სოციალური მდგომარეობის ეთნოგრაფიული სტატისტიკა, შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვები, სააქციონერო ფირმების ჩამონათვალი და მათი საქმიანობა, სავაჭრო სახლები, ბანკების მიერ გაცემული ხარჯები -აღნიშნულ შემთხვევაში მივმართეთ **აღწერით** და **სტატისტიკურ** მეთოდს, ისტორიული ფაქტების შესწავლის, განხილვის, დამუშავების, დაჯგუფების საფუძველზე გაკეთდა შესაბამისი დასკვნები და გამომდინარე აქედან აღნიშნულ შემთხვევაში მივმართეთ ისტორიულ მოვლენთა **შეჯამების მეთოდს.**

საკითხის შესწავლის ისტორია: ნაშრომზე მუშაობის პროცესში აუცილებელი და საჭირო გახდა სხვადასხვა მიმართულებით მუშაობის წარმართვა, გამოყენებული და გაანალიზებულია სამეცნიერო ლიტერატურა, ოფიციალური დოკუმენტაცია, სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში დაბეჭდილი სტატიები, უცხოენოვანი რუსული ლიტერატურა, ინტერნეტ სივრცეში არსებული მასალები, საარქივო დოკუმენტები, ლიტერატურული კრებულები, მონოგრაფიები, ქუთაისის გუბერნატორების ანგარიშები და ცნობები.

უნდა აღინიშნოს ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, საჯარო ბიბლიოთეკაში და მუზეუმში დაცული მასალები, სადაც ჩვენ მიერ გაანალიზებული იქნა იქნა ქუთაისის გუბერნატორთა და გენერალ- გუბერნატორთა ანგარიშები, რა თქმა უნდა, ანგარიშებში რუსული ელემენტის დომინირების საჩვენებლად აშკარად იკვეთება სუბიექტური დამოკიდებულება და ბევრი მათგანი არ გამოირჩევა სანდოობის პრინციპით, თუმცა მეტწილად კარგად ასახავს იმ პერიოდის ისტორიულ სურათს.

უმნიშვნელოვანეს ცნობებს გვაწვდის ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული #108 ფონდი, რომელშიც დეტალურად არის მოცემული გუბერნიის ეკონომიკური სურათი და რა თქმა უნდა საბანკო - საფინანსო საქმის მნიშვნელოვანი დეტალები. საკითხზე მუშაობისას დიდი დახმარება გაგვიწია ამავე არქივში #130, #175 და #176 ფონდებში დაცულმა დოკუმენტებმა.

მნიშვნელოვანი გამოკვლევა არის „ქუთაისი XIII ს-ის 60 იანი წლებიდან XX ს-ის 20-იან წლებამდე“ (რედაქტორი: გიორგი მჭედლიძე, ქუთ. 2011წ.) წიგნში გამოკვლეული და შესწავლილია ქალაქის ისტორიის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი, გამოკვეთილია იმერეთში დროებითი მმართველობის პერიოდი, ასევე ადმინისტრაციული ცენტრის და საგუბერნიო ქალაქის სტატუსი, კარგად არის გადმოცემული ქუთაისის სოციალ- ეკონომიკური, საზოგადოებრივი და საფინანსო ცხოვრების მთლიანი სურათი XIX საუკუნეში.

მონოგრაფიაში - „ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები“ - გიორგი მჭედლიძე დიდძალი საარქივო და პრესის მასალების მოშველიებით წარმოადგენს ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მთლიან სურათს. გოდერძი ვაჭრიძის ნაშრომში „დასავლეთ საქართველოში რუსეთის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ისტორიიდან“ კარგად არის აღწერილი რუსეთის იმპერიის ერთიან ეკონომიკურ და სოციალურ სივრცეში დასავლეთ საქართველოს ძალდატანებითი ინტეგრაციის ცდის ხანგრძლივი და რთული პროცესი, შედეგები.

გარკვეული ცნობები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გვხვდება რუსულენოვან ლიტერატურაში: Эсадзе 1907: Эсадзе С., Историческая записка об управлении Кавказом т. I-II, Тиф., 1907; Свод законов Российской Империи 1876; Свод законов Российской Империи, т. II, ч. I. Общея губернское учреждения, СПБ., 1876;
ძალზე მნიშვნელოვანი ცნობები გვხვდება ქუთაისის გუბერნიის მიმოხილვებში (Обзор Кутаисской губернии с 1887 по 1913 год. Издание Кутаисского губернского

статистического Комитета, Кут. 1884-1914), რომელთა გამოცემა - განახლება გუბერნიის არსებობის პერიოდში ყოველწლიურად ხდებოდა, ძირითადად ამ განახლებებში მთავარი ადგილი საფინანსო და ეკონომიკურ დაწესებულებებს ეკავა.

მეტად საგულისხმო ცნობები მოგვეპოვება სტატიაში (ავტორი: ს. კუპრაშვილი) „საქალაქო და საზოგადოებრივი დაწესებულებები ქუთაისში XIX-XX საუკუნის მიჯნაზე“, ნაშრომში ყურადღება არის გამახვილებული ქუთაისის თვითმმართველობის და გამგეობის საქმიანობის მთავარ მიმართულებაზე, საფინასო საბიუჯეტო სფეროზე, სტატიაში კარგად არის წარმოჩენილი თუ როგორი პედანტური სიზუსტით აღწერდა რუსეთის ადმინისტრაციული მმართველობა ხარჯებს, შემოსავალს, გასავალს, ამისთვის სპეციალური წიგნიც კი შეუქმნია ქალაქის გამგეობას.

მეტად მნიშვნელოვანი მონოგრაფიები, ბიოგრაფიები, ისტორიული ცნობებია წარმოდგენილი თბილისსა და ქუთაისში საბანკო საქმის წარმოების შესახებ ილია ჭავჭავაძის თხზულებებში , ილუსტრირებულ ბიოგრაფიებში, ნარკვევებში, კარგად არის შემონახული თავად ილიას წერილები, კრებებზე წარმოთქმული სიტყვები.

ქუთაისის ურთიერთნდობის საზოგადოების ჩამოყალიბების და საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ მეტად მწირია ინფორმაციული ბაზა, თუმცა ნიკო ბერძენიშვილის მიერ შექმნილი კრებული მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის აღნიშნული საკითხის ირგვლივ, ასევე მნიშვნელოვანია ინტერნეტ საიტებიდან მიღებული გადამოწმებული და დასაბუთებული ინფორმაცია, მეტად საინტერესო მასალა მოგვაწოდა დაარქივებული ორიგინალი წერილების სახით „ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულმა მუზეუმმა“ , ურთიერთნდობის საკრედიტო საზოგადოების - გამგეობის შესახებ მე- 19 საუკუნის ქართულმა პრესამ გაამდიდრა და შეავსო დისერტაციის მესამე ნაწილი , ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ძალიან ბევრი ინფორმაციული და საჭირო მასალა აღმოჩნდა მიზნობრივი საკითხის ირგვლივ.

კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო: მოცემული ნაშრომი ქრონოლოგიურად მოიცავს რუსული მმართველობის პერიოდს ქუთაისის გუბერნიაში 1846 წლიდან 1917 წლამდე, ქუთაისმა, როგორც ქალაქმა განიცადა ცვლილებები ისევე როგორც ადმინისტრაციული მმართველობის თვალსაზრისით, ასევე შეიძინა სხვადასხვა სტატუსიც.

1857 წლიდან ის გახდა საგენერალ-გუბერნატორო, 1875 წლიდან ქალაქი ახალ სტატუსს იძენს, აქ ყალიბდება საბანკო დაწესებულებები, ბანკების საფინანსო და საქველმოქმედო ფუნქციონირებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ქუთაისის საგუბერნიო ცენტრის მნიშვნელობა. შესაბამისად ნაშრომში განხილულია ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკისა და ქუთაისის ურთიერთნდობის საზოგადოების საქმიანობის ძირითადი პრობლემური საკითხები 1876-1917 წლებში.

ნაშრომის აპრობაცია. ნაშრომმა წარმატებით გაიარა აპრობაცია (ბსუ)-ს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტში 2023 წლის 16 ივნისს. ნაშრომის ცალკეული საკითხები წაკითხულ იქნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე და სტატიების სახით გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალებსა თუ კრებულებში.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავალის, 3 თავის, 8 ქვეთავის და დასკვნისაგან. მას თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და მოიცავს A4 ფორმატით აწყობილ **144** გვერდს.

თავი I

ქუთაისის გუბერნიის შექმნა და რუსული მმართველობის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი თავისებურებები დასავლეთ საქართველოში

& 1

ქუთაისის გუბერნიის ჩამოყალიბება და სტრუქტურა

ქუთაისი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია და იგი ყოველთვის იყო პოლიტიკური ცენტრი – რეგიონის, მხარის, ქუთაისის გუბერნიის. საინტერესოა, რომ VIII საუკუნის პირველ ნახევარში ქუთაისი ,,შეთავსებით" ქართლის ერისმთავართა დასავლურ რეზიდენციასაც წარმოადგენდა. VIII საუკუნის 80-იანი წლებიდან 978 წლამდე ქუთაისი დასავლურ-ქართული სახელმწიფოს - ,,აფხაზთა სამეფოს" დედაქალაქი იყო. ამ პოზიციიდან ქუთაისმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს გაერთიანების საქმეში და ბაგრატ III ბაგრატიონმა სწორედ ქუთაისში გამეფებით დაიწყო საქართველოს გაერთიანება. ბაგრატ III-ს სამეფო გახდა ერთიანი ქართველი ხალხის , საქართველოს სახელმწიფო და ქუთაისიდან ჩაეყარა საფუძველი საქართველოს ოქროს ხანას. ქუთაისის სიონი (ბაგრატის ტაძარი) აშენდა, როგორც ახლად გაერთიანებული საქართველოს სიმბოლო. 978 წლიდან 1122 წლამდე ქუთაისი საქართველოს დედაქალაქი იყო.

ერთიანი საქართველოს პერიოდში ქუთაისი სამეფო რეზიდენციის ფუნქციას ასრულებდა. აქ იყო მეფის სასახლე, ხაზინა და ზარაფხანა. 1259 წელს მეფე დავით ნარინმა ქუთაისი დასავლეთ საქართველოს სამეფოს რეზიდენციად აქცია და ქუთაისი და ლიხთ-იმერეთის სამეფო წყნარი ოკეანედან კარპატებამდე თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში რჩებოდა თავისუფლების კუნძულად მონღოლური

ბატონობის უზარმაზარ ოკეანეში [**კუპრაშვილი, 2017: 5**]. სწორედ ამ პერიოდიდან იწყებს აქტიურ დამკვიდრებას ტერმინი ,,იმერეთი". ვახუშტი ბაგრატიონი წერდა – ,,დაჯდა ნარინ დავით მეფედ იმერთა და ამიერიდან იწოდებოდა დავით და ამას ქვემოთნი მეფენი იმერთა მეფედ და არღარა აფხაზთა." ქუთაისი დასავლეთ საქართველოს სამეფოს დედაქალაქის ფუნქციას 1329 წლამდე ასრულებდა, ვიდრე გიორგი V „ბრწყინვალემ " საქართველო არ გააერთიანა.

XV საუკუნიდან საქართველოს დეცენტრალიზაციის პროცესმა პიკს მიაღწია. 1462-1489 წლებში ჩამოყალიბდა იმერეთის სამეფო, რომელმაც 1810 წლამდე იარსება. მთელი ამ ხნის მანძილზე სამეფოს დედაქალაქი ქუთაისი იყო. თუკი ლიხთიმერეთის სამეფო 1259-1329 წლებში მთელს დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, 1489-1810 წლებში არსებული იმერეთის სამეფო, ძირითადად, გეოგრაფიული იმერეთით შემოიფარგლებოდა და ქუთაისის დედაქალაქობაც მცირე პოლიტიკური არეალით შემოიფარგლა. ქუთაისი, როგორც დედაქალაქი სამოურავოს ცენტრის ფუნქციასაც ითავსებდა. ქუთაისის მოურავს ჰქონდა ადმინისტრაციული, საგამომძიებლო და სასამართლო ფუნქციები. ქუთაისის მოურავს იმერეთის სამეფოს დანარჩენი 25 მოურავისაგან განსხვავებით ჰქონდა სარდლის წოდებაც. ამავე პერიოდში ქუთაისი ვაკის სადროშოს ცენტრიც იყო. 1810 წელს რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ იმერეთი დაიპყრო, სოლომონ II ტახტიდან ჩამოაგდო, სამეფო გააუქმა და რუსული მმართველობის შემოღება გამოაცხადა. ამას შედეგად მოჰყვა საერთო-სახალხო აჯანყება „სოლომონ II-ის" ხელმძღვანელობით, რომელსაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათი ჰქონდა და დამოუკიდებლობის აღდგენას ისახავდა მიზნად. აჯანყება ჩაახშვეს და იმერეთი ხელმეორედ დაიპყრეს.

ხანგრძლივი და რთული აღმოჩნდა აგრეთვე, რუსული მმართველობის სისტემაში იმერეთის ყოფილი სამეფოს ჩართვის პროცესიც. აქაც საჭირო გახდა იარაღის გამოყენება. იმერეთის მოსახლეობა, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, ძნელად თმობდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის საუკუნეებით განმტკიცებულ ტრადიციებს, ვერ ეგუებოდა ახალ მმართველობას და მის წინააღმდეგ იბრძოდა (1819-

1820 წლების აჯანყება). იმის გამო, რომ აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, იმერეთში რუსეთის ბატონობის დასამყარებლად საჭირო გახდა სისხლიანი ბრძოლების წარმოება, რუსულმა მმართველობამ აქ უფრო მკაცრი და აშკარად გამოკვეთილი სამხედრო-საოკუპაციო ხასიათი მიიღო. იგი, ისე როგორც მთელს საქართველოსა და ამიერკავკასიაში, დროებითი-გარდამავალი და შერეული-სამოქალაქო-სამხედრო, ადგილობრივ-რუსული იყო. დროებითი-გარდამავალი იმიტომ, რომ ცარიზმს მტკიცედ გქონდა გადაწყვეტილი ამიერკავკასიაში საყოველთაო „წმინდა რუსული“ მმართველობისა და კანონმდებლობის შემოღება, ხოლო შერეული-იმ აზრით, რომ სამხედრო და სამოქალაქო, ადგილობრივი და რუსული მმართველობის ნიშნებს შეიცავდა.[**ვაჭრიძე, 1999 : 282-283**] შექმნა იმერეთის ,,ობლასტი" ანუ ოლქი, რომლის მთავარი ქალაქი ქუთაისი იყო. აქ ფუნქციონირებდა ,,იმერეთის დროებითი მმართველობა", რომლის სათავეში რუსი მოხელე იდგა. დროებითმა მმართველობამ 1810-1840 წლებში იარსება და მმართველობის ცენტრთან ერთად ქუთაისი ამავე დროს იყო "ქუთაისის ოკრუგის" ცენტრი. ქუთაისის ოკრუგის უფროსი სხვებთან შედარებით მეტი უფლებებითა და მოვალეობებით იყო აღჭურვილი. იმერეთის სამეფოს გაუქმებასთან ერთად გაუქმდა მისი ტერიტორიის ძველი ადმინისტრაციული დაყოფაც, ასეთი ცვლილებები სამთავროებს, თავდაპირველად არ შეხებიათ , 1801-1840 წლებში რუსულ მმართველობას საქართველოში სამხედრო საოკუპაციო ხასიათი ჰქონდა. რუსეთის მთავრობა ვიდრე მხარეს გაეცნობოდა იძულებული იყო ქვეყნის მართვაში დასახმარებლად ადგილობრივი თავადაზნაურობის პრორუსული ნაწილისთვის მიემართა . აღმოსავლეთ საქართველო (ყოფილი ქართლ- კახეთის სამეფო) ადმინისტრაციულად 5 მაზრად (თბილის-ლორეს, გორის, დუშეთის, თელავის, და სიღნაღის) დაიყო, განსხვავებული ვითარება იყო დასავლეთ საქართველოში. იმერეთის ოლქში სამაზრო მმართველობა არ შემოუღიათ, იმერეთის ყოფილი სამეფო 1814 წელს, ოთხ ნაწილად: ქუთაისის, ვაკის, შორაპნის და რაჭის ოკრუგებად დაყვეს. თავდაპირველად 1811 წლის აპრილის პროექტით გათვალისწინებული იყო ექვს

ნაწილად დაყოფა -ქუთაისის, ვაკის, რაჭის, ჩხერის, საჩხერის, და ბაღდადის ოკრუგების შექმნა, მაგრამ ეს პროექტი არ განხორციელებულა ქუთაისის ოკრუგში შევიდა ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია ოკრიბა მთლიანად , ყოფილი არგვეთის საერისთავოს მნიშვნელოვანი ნაწილი მდ. ყვირილამდე და მდ. კაცხურამდე, ქუთაისის შემოგარენი, სოფლებითურთ, ვაკის ოკრუგმა ძირითადად მდ. რიონის დასავლეთით მდებარე მიწა-წყალი მოიცვა, შორაპნის ანუ ზემოურის ოკრუგი საჩხერისა და ჩხერის მიმდებარე ტერიტორიების გაერთიანების შედეგად შეიქმნა, რაჭის ოკრუგი ისტორიულ- გეოგრაფიულ პროვინციას -რაჭას დაემთხვა. 1846 წლის ბრძანებულებით საქართველო-იმერეთის გუბერნია გაუქმდა და შეიქმნა ქუთაისის გუბერნია, გუბერნიასთან იყო მითვლილი სამეგრელოს და საბატონო სვანეთის სამფლობელოები , სამურზაყანოს საბოქაულო 1847 წელს ქუთაისის გუბერნიას შეუერთეს თავისუფალი (უბატონო სვანეთი) 1849 წელს ახალციხის მაზრას შეუერთდა ახალქალაქის უბანი, რომელიც მანამდე თბილისის გუბერნიის ალექსანდროპოლის მაზრაში შედიოდა, კავკასიის მეფისნაცვლის თავად ბარიატინსკის წრდგენით , 1857 წლის ივნისში იმპერატორმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას ქუთაისის საგენერალ- საგუბერნატოროს შექმნის შესახებ. 1864 წელს უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის აფხაზეთიდან გასახლების გამო მისი კუთვნილი სამფლობელოებიდან შეიქმნა სოხუმის განასაკუთრებული ოკრუგი, რომელიც 4 უბნად გაიყო და ქუთაისის საგენერალ- გუბერნატოროში შევიდა. 1883 წელს 12 ივლისს ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა ბათუმის ოლქი. ქუთაისის გუბერნია XIX საუკუნის 90 იან წლებში თითქმის მთელ დასავლეთ ამიერკავკასიას მოიცავდა. ჩრდილოეთით მას ესაზღვრებოდა შავი ზღვის ოკრუგი, ყუბანისა და თერგის ოლქები, აღმოსავლეთით -თბილისის გუბერნია, სამხრეთით ყარსის ოლქი, სამხრეთ- დასავლეთით -ტრაპიზონის და ერზრუმის ვილაიეთები, დასავლეთით შავი ზღვა. მისი ტერიტორია რუსეთის შიდა გუბერნიებთან შედარებით პატარა იყო, მაგრამ გაცილებით უფრო დიდი ვიდრე ბელგია.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით გუბერნია დაყოფილი იყო სამოქალაქო მმართველობის შვიდ მაზრად (ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ლეჩხუმის, ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის) და სამხედრო სახალხო მმართველობის სამ ოკრუგად (ბათუმის, ართვინის, სოხუმის) . ქუთაისის გუბერნიას 1903 წლის 17 მარტის ბრძანებულებით ადმინისტრაციულად გამოეყო ბათუმის ოლქი და სოხუმის ოკრუგი, თუმცა მმართველობის ზოგი სფერო (მაგალითად სახელმწიფო ქონების მართვა) ქუთაისის გუბერნიის დაქვემდებარებაში დარჩა [**ვაჭრიძე, 2006 : 50-56**] XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, ოკრუგის უფროსები და ქუთაისის კომენდანტი ვალდებული იყვნენ მმართველობაში წარედგინათ ყოველთვიური და ყოველწლიური ანგარიშები ჩატარებული მუშაობის და ადგილზე არსებული მდგომარეობის შესახებ [**ვაჭრიძე, 1999: 159**]. ერთ-ერთი ასეთი სახის ჩვენთვის ცნობილი პირველი დოკუმენტი არის ქუთაისის კომენდანტის მიერ იმერეთის დროებით მმართველობაში გაგზავნილი 1837 წელს შედგენილი ანგარიში. მასში დეტალურადაა მოყვანილი ქალაქის ტოპოგრაფიული აღწერილობა, შენობები, ეკლესიები, სამთავრობო, სამხედრო უწყების და საზოგადოებრივი დანიშნულების ადგილები, ასევე ანგარიში ეხება ქალაქის შემოსავალ-გასავალისა და განათლების საკითხებს [**ქცსა, ფონდი 175, აღწ. 1: საქმე, 34, 1-16**]. ამ დოკუმენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქუთაისის და საერთოდ, დასავლეთ საქართველოს ახალი ისტორიის შესწავლის საქმეში, რადგან იგი არის რუსული ხელისუფლების დროს შედგენილი პირველი ანგარიში ქალაქის მდგომარეობის შესახებ და საშუალებას გვაძლევს შემდეგი წლების ანალოგიურ ანგარიშებთან შედარებით, წარმოვიდგინოთ ქუთაისის ცხოვრების ყველა სფეროში მომხდარი ცვლილებები. 1840 წლის 10 აპრილს ამიერკავკასიაში გატარდა ადმინისტრაციული რეფორმა, რომლის მიზანი იყო სრული, წმინდა რუსული მმართველობის შემოღება და მისგან ადგილობრივი ელემენტების მთლიანად ჩამოცილება. დროებითი და შერეული მმართველობა, რომელიც სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმს განახორციელებდა, სამოქალაქო მმართველობით შეიცვალა. შეიქმნა საქართველო-

იმერეთის გუბერნია, რომელშიც იმერეთის ყოფილმა სამეფომ ქუთაისის მაზრა შეადგინა, რომლის მთავარი ქალაქი იყო ქუთაისი. მაზრის უფროსი საქართველო-იმერეთის გუბერნიის სამმართველოში დადგენილი ფორმის მიხედვით, აგზავნიდა ყოველწლიურ ანგარიშს მაზრაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ეს ანგარიშები გაცილებით უფრო ვრცელი და დეტალურია, ვიდრე ქალაქის კომენდანტის და ამგვარად ისტორიული თვალსაზრისით გაცილებით მეტი მასალის შემცველია. ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია მაზრის უფროსის პირველი – 1841 წლის ანგარიში **[ქცსა, ფონდი, 176: აღწ. 1].**

1840 წლის რეფორმით შექმნილი მმართველობის სისტემა მალე გაუქმდა. იმპერატორ ნიკოლოზ I-ის 1844 წლის 27 ნოემბრის ბრძანებით, შეიქმნა კავკასიის სამეფისნაცვლო. პირველი მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის ინიციატივით, 1846 წლის 14 დეკემბერს კავკასიაში მორიგი ადმინისტრაციული რეფორმა გატარდა. ამიერკავკასია გაიყო ოთხ გუბერნიად. საქართველომ შეადგინა ორი – თბილისის და ქუთაისის გუბერნიები **[Эсадзе 1907: 86].** ქუთაისი საგუბერნიო ქალაქად გამოცხადდა. ქუთაისის გუბერნია ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ოზურგეთის და ახალციხის მაზრებად იყო გაყოფილი. გუბერნიის სათავეში სამხედრო გუბერნატორი იდგა, რომელიც სამოქალაქო ნაწილის მმართველადაც ითვლებოდა. თბილისის გუბერნიისგან განსხვავებით, ქუთაისის გუბერნიაში მმართველობის უფრო მარტივი სისტემა მოქმედებდა, კერძოდ, გაუქმდა სამაზრო სასამართლოები, სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეთა პალატების ნაცვლად, ფუნქციონირება დაიწყო საგუბერნიო სასამართლომ. ცვლილება შეეხო სახელმწიფო ქონების მართვის სამსახურსაც – სახაზინო პალატის და სახელმწიფო ქონებათა პალატის ფუნქციები გადაეცა საგუბერნიო სამმართველოს, რომელიც სამხედრო გუბერნატორს დაექვემდებარა.

მაზრებს განაგებდნენ მაზრის უფროსები, რომლებსაც უფლება ჰქონდათ განეხილათ მცირე მნიშვნელობის სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეები,

მაგრამ არ შეეძლო პასუხისგებაში მიეცა დამნაშავე. ქუთაისის გუბერნიაში უბნების სათავეში უბნის უფროსები იდგნენ [**გურული, 2017: 492**].

საგუბერნიო სამმართველო იყოფოდა განსაკუთრებულ და სამეურნეო განყოფილებად, რომელთა სათავეში მრჩეველი იდგა. მას არ ჰქონდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება. საგუბერნიო სასამართლო 7 წევრისგან შედგებოდა: თავმჯდომარე, 2 მრჩეველი და 4 მსაჯული. ოთხივე მსაჯული ადგილობრივი თავადების, აზნაურების და ვაჭართა წოდებისგან ირჩეოდა [**გურული, 2017: 496**] გუბერნიასთან "მითვლილი იყო" სამეგრელოს და საბატონო სვანეთის სამფლობელოები და სამურზაყანოს საბოქაულო. ქუთაისი საიმპერიო მნიშვნელობის საგუბერნიო ცენტრი იყო და იგი გადიოდა ისეთი ქალაქების რანგში, როგორებიც იყო კიევი, ასტრახანი, კაუნასი, ვილნიუსი, მინსკი და ა.შ. ქუთაისის გუბერნია ადმინისტრაციული თუ ტერიტორიული ცვლილებებით 1921 წლის 10 აპრილამდე არსებობდა.

1857 წლის ივნისში იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა ბრძანებულებას ქუთაისის საგენერალ-გუბერნატოროს შექმნის შესახებ. ქუთაისის მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო ამ ეპოქაში, რომ გენერალ-გუბერნატორი ითვლებოდა სამხედრო და შავი ზღვის კავკასიის სანაპიროს ფლოტის სარდლად. 1864 წელს გაუქმდა აფხაზეთის სამთავრო. შეიქმნა სოხუმის განსაკუთრებული ოკრუგი, რომელიც ქუთაისის საგენერალ-გუბერნატოროში შემოვიდა. 1867 წელს ქუთაისის საგენერალ-გუბერნატორო გაუქმდა და გუბერნიას მართავდა სამხედრო გუბერნატორი. ამასთან ერთად, გუბერნიის შემადგენლობაში შემოვიდა სამეგრელოს გაუქმებული სამთავროს ტერიტორია. 1874 წელს გაუქმდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობა და გუბერნიის მართვა-გამგეობა რუსეთის შიდა გუბერნიების მართვის საერთო წესს დაემორჩილა. ქუთაისის გუბერნიაში 1878 წლიდან შედიოდა ართვინის ოკრუგი (ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო).

1883 წელს ქუთაისის საგენერალ-გუბერნატორო აღდგენილი იქნა და მის შემადგენლობაში შემოვიდა ბათუმის ოლქი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ იქნა გათავისუფლებული თურქთა სამსაუკუნოვანი ბატონობისაგან და სოხუმის განყოფილება, რომელიც ოკრუგად გადაკეთდა. თავის მხრივ ბათუმის ოლქი ორად – ბათუმის და ართვინის ოკრუგებად გაიყო. 1903 წელს ქუთაისის გუბერნიას გამოეყო ბათუმის, ართვინის და სოხუმის ოკრუგები. ბათუმის და ართვინის ოკრუგები გაერთიანდა და შეიქმნა ბათუმის ოლქი საკუთარი გუბერნატორით, ხოლო სოხუმის ოკრუგი უშუალოდ დაექმედებარა კავკასიის მთავარმმართველს. გუბერნატორს შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგენით უმაღლესი სახელობითი ბრძანებულებით ნიშნავდა იმპერატორი **[Свод законов Российской Империи 1876: 85].**

დამოუკიდებელი საქართველოს ეპოქაში კვლავ ძალაში რჩებოდა საქართველოს გუბერნიებად დაყოფის პრინციპი. 1921 წლის 10 აპრილს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქუთაისის გუბერნია გაუქმდა და 1921-1929 წლებში ქუთაისი მხოლოდ მაზრის ცენტრი იყო. 1929 წლის აგვისტოში მაზრის გაფართოების საფუძველზე შეიქმნა ქუთაისის ოლქი, რომლის ტერიტორია 10 768 კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა 600 000-ზე მეტი იყო. ოლქი მალე გაუქმდა და ქუთაისის ადმინისტრაციული ფუნქცია იმითაც შეიკვეცა, რომ ქალაქის დაქვემდებარებიდან 1939 წელს გამოვიდა წყალტუბოს რაიონი. ქუთაისის რაიონის სოფლების ნაწილიც წყალტუბოს შეუერთეს. 1951 წელს კვლავ შეიქმნა ქუთაისის ოლქი, რომელიც მალევე 1953 წელს გააუქმეს. შეიზღუდა ქუთაისის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტატუსიც და ქუთაისი მხოლოდ და მხოლოდ რაიონული ცენტრის ფუნქცია შერჩა. 1959 წელს გააუქმეს ქუთაისის რაიონიც და ქალაქი თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში პირველად შემოიფარგლა მხოლოდ საქალაქო ტერიტორიით და ქუთაისი არანაირი, თუნდაც მცირე ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრიც აღარ იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ ქუთაისს ინდუსტრიული ფუნქცია მიანიჭა. სამწუხაროდ, ინდუსტრიულმა ქუთაისმა

თითქმის ჩაახშო კულტურული ქუთაისი, ქალაქმა დაკარგა თავისი ადგილი საქართველოს ინტელექტუალურ ცხოვრებაში, რასაც ხელი შეუწყო იმან, რომ ქუთაისს წართმეული ჰქონდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ტრადიციული ფუნქცია.

გუბერნატორი თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, იმპერატორს და შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგენდა ანგარიშს თანამდებობის მიღების და გუბერნიაში არსებული მდგომარეობის შესახებ. გუბერნატორი კანონით ვალდებული იყო ყოველი წლის ბოლოს იმპერატორთან წარედგინა ანგარიში. სპეციალური ინსტრუქციით განსაზღვრული იყო ანგარიშის ფორმა და კონკრეტულად რა მონაცემები უნდა შესულიყო მასში. ანგარიშის ასლები ეგზავნებოდა კავკასიის უმაღლეს ხელისუფლებას და შინაგან საქმეთა მინისტრს **[Свод законов Российской Империи 1876: 124-125].** გუბერნატორის წლიურ ანგარიშს თან ახლდა გუბერნიის მიმოხილვა, რომელიც XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან სტამბური წესით იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა. გუბერნატორის ანგარიშები და გუბერნიის მიმოხილვები **[Обзоры Кутаисской Губернии:1887-1913]** დაცულია: სანკტ-პეტერბურგის ცენტრალურ საისტორიო, თბილისის ცენტრალურ საისტორიო, ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში და ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში №130 ფონდში (ქუთაისის გუბერნატორის კანცელარია) ინახება "მიმოხილვების" თითქმის ყველა გამოცემა 1887 წლიდან 1913 წლის ჩათვლით.

ქუთაისის გუბერნატორის ანგარიშები და გუბერნიის ყოველწლიური მიმოხილვები უმდიდრეს ფაქტობრივ მასალას შეიცავენ საქართველოს ახალი ისტორიის შესასწავლად. ისინი საშუალებას გვაძლევენ თვალი გავადევნოთ როგორ მიმდინარეობდა რუსეთის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური დამკვიდრების პროცესი, რა სიძნელეები ხვდებოდა საიმპერიო ხელისუფლებას მხარის რუსიფიკაციის პოლიტიკის გატარების საქმეში. ამ მასალებში ნათლად ჩანს რუს მოხელეთა თვითმპყრობელური, შოვინისტური განწყობილება და უვიცი,

უმეტეს შემთხვევაში ლოთი, მრუში და მექრთამე ჩინოვნიკების ქედმაღლური დამოკიდებულება ე. წ. “ინოროდცებისა” და “ტუზემცების” მიმართ. გუბერნატორები თავიანთ ანგარიშებში ხაზგასმით აღნიშნავდნენ “რუსული ელემენტის”, რუსების ისტორიულ მისიაზე – გუბერნიის ადგილობრივი მოსახლეობა გამოიყვანონ საუკუნოებრივი ჩამორჩენილობიდან, პროგრესის და განათლების გზაზე გაიყვანონ ის. ამიტომ მათი აზრით, საჭიროა რაც შეიძლება მეტი რუსი დამკვიდრდეს საქართველოში. „ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ამ მხარეში თითქმის 60 წლიანი ბატონობის განმავლობაში რუსული მოსახლეობა მცირეა” – წერდა 1865 წლის ანგარიშში ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორი ა. ოგოლინი. „აქ არ არიან მყარად დამკვიდრებული რუსები. მისი აზრით, მხარის რუსეთის ცენტრთან სრულ შერწყმას ხელს სწორედ ის გარემოება უშლის, რომ გუბერნიაში ძალზე მცირეა რუსული ელემენტი, გუბერნატორი პირობას დებდა იმპერატორის წინაშე, რომ ყოველმხრივ შეეცდებოდა ეს ნაკლი გამოესწორებინა“ [**ქცსა,ფონდი,№130:აღწ.1,საქ.98,7**]. რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობას, გუბერნატორი თვლიდა, რომ ისინი არც ზნეობრივად და არც გონებრივად ჯერ კიდევ არ არიან იმისათვის მომზადებული, რომ მონაწილეობა მიიღონ მხარის მართვაში. რუსული ენის უცოდინრობა ხელს უშლის მათ აქაური გიმნაზიის კურსის დამთავრებაშიც კი. ადგილობრივ გარემოს კი არ შეუძლია მათ სამართლიანობის და მოვალეობის ნათელი ცნებები ჩაუნერგოს [**ქცსა, ფონდი №130: აღწ. 1, საქ. 98, 45**].

იმის სურვილით, რომ ეჩვენებიათ რუსული მმართველობის კეთილისმყოფელი გავლენა მხარის დაწინაურების საქმეში, გუბერნატორები გაზვიადებულად წარმოადგენდნენ მათი საქმიანობის შედეგებს, მიუთითებდნენ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მალავდნენ ქვეყნის შიგნით არსებულ ნამდვილ ვითარებას. ამის გამო გუბერნატორთა ანგარიშებში დაცული ფაქტობრივი მასალა კრიტიკულად უნდა იქნას შესწავლილი, შემოწმდეს სხვა წყაროებთან შეჯერებით და დასკვნებიც

მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იქნას გაკეთებული. გუბერნატორი წლიურ ანგარიშს ადგენდა დადგენილი სტანდარტის მიხედვით.

აქვე წარმოგიდგენთ ქუთაისის გენერალ – გუბერნატორების, გუბერნატორებისა და ვიცე – გუბერნატორების პერსონალურ შემადგენლობას:

ქუთაისის გუბერნატორები:

ესპეხო აკიმ მიხეილის ძე, გენერალ-მაიორი – 1847-1848

ბელიავსკი კონსტანტინე, გენერალი – 1848-1850

გაგარინი ალექსანდრე ივანეს ძე, თავადი, გენერალ-ლეიტენანტი – 1850-1857 (1856-1857 წლებში გენერალ-გუბერნატორი)

ერისთავი გიორგი რომანის ძე, თავადი, გენერალ-ლეიტენანტი – 1857-1861 (გენერალ-გუბერნატორი)

კოლიუბაკინი ნიკოლოზ პეტრეს ძე, გენერალ-ლეიტენანტი – 1861-1864 (გენერალ-გუბერნატორი)

სვიატოპოლკ-მირსკი დიმიტრი ივანეს ძე, თავადი, გენერალ-ადიუტანტი, გენერალ-ლეიტენანტი – 1864-1867 (გენერალ-გუბერნატორი)

ლევაშოვი ვლადიმერ ვასილის ძე, გენერალ-მაიორი, გრაფი – 1867-1874

მალაფეევი ნიკოლოზ იასონის ძე, გენერალ-მაიორი – 1874-1884

სმეკალოვი ალექსი მიხეილის ძე, გენერალ-მაიორი – 1884-1887

გროსმანი ალექსანდრე ეგნატეს ძე, გენერალ-მაიორი – 1887-1891

შალიკოვი (შალიკაშვილი) მიხეილ იაკობის ძე, გენერალ-ლეიტენანტი – 1891-1898

გერშელმანი თევდორე კონტანტინეს ძე, გენერალ-მაიორი – 1898-1901

სმაგინი ალექსი ალექსის ძე, გენერალ-მაიორი – 1901-1905

სტაროსელსკი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, აგრონომი – 1905-1906

იაზიკოვი ალექსანდრე პეტრეს ძე, გენერალ-მაიორი – 1906-1907

სლავოჩინსკი ადამ ივანეს ძე, გენერალ-მაიორი – 1908-1914

პოტულოვი ლევ ვლადიმერის ძე, კამერ-იუნკერი, გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი – 1914-1915

გუდოვიჩი ალექსანდრე ვასილის ზე, კამერ-იუნკერი – 1916-1917

გენერალ-გუბერნატორებთან სამოქალაქო საქმეების მმართველი სამხედრო გუბერნატორები:

კოლიუბაკინი ივანე პეტრეს ძე, პოლკოვნიკი – 1856-1857

ივანოვი ნიკოლოზ აგაპის ძე, გენერალ-მაიორი – 1856-1861

რუსეთის მიერ იმერეთის სამეფოს დაპყრობამ, როგორც აღვნიშნეთ, დროებით შეაჩერა აღმავლობის გზაზე მყოფი ქუთაისის განვითარება, მაგრამ იმავე ხელისუფლების მიერ ქალაქის პოლიტიკური სტატუსის ერთგვარმა შენარჩუნებამ (იმერეთის ადმინისტრაციული ცენტრი) განაპირობა საქალაქო მშენებლობის გააქტიურება. ამ პროცესს ახალი სტიმული მისცა 1846 წლის 14 დეკემბერს ქუთაისის გუბერნიის შექმნამ და ქუთაისის საგუბერნიო ქალაქად გამოცხადებამ. საარქივო დოკუმენტები ადასტურებენ, რომ ამ დროიდან დაწყებულმა საგუბერნიო მმართველობამ, სხვა საქმიანობასთან ერთად, ძირითად საკითხად გაიხადა ქალაქის ძირეული გარდაქმნა და მისი სახის შეცვლა იმდროინდელი მოწინავე რუსეთის ქალაქების ყაიდაზე. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა გენერალ- მაიორმა ა. ი. გაგარინმა (1801- 1857) დაარსა ქალაქის მოწყობის კომიტეტი, რომელსაც დაავალა, შეედგინა ღონისძიებათა პროექტი ქალაქის უმოკლეს დროში გადაკეთებისა და გადიდებისათვის, დაესახა კონკრეტული ღონისძიებანი და დაეწესებინა მკაცრი კონტროლი მის განხორციელებაზე. გამოთქმული სურვილი მხოლოდ სურვილად დარჩა.

ქუთაისის გუბერნატორი ა. ი. გაგარინი 1850 წ. 12 დეკემბრის წერილში აღნიშნავს, რომ ,,ქუთაისი უგეგმო ქალაქია, მას სჭირდება გალამაზება, რისთვისაც სასურველია, იგი გადაკეთდეს დერბენდის ყაიდაზე“ (ქუთაისში ჩამოსვლამდე

გაგარინი დერბენდში მოღვაწეობდა). ადგილობრივი კაპიტალისტები და ვაჭრები გადმობირებულნი უნდა იქნან. უნდა აიგოს ქვის დიდი შენობა, ნაცვლად აქამდე არსებულისა და შიგ გაერთიანდეს საგუბერნიო მმართველობა, საგუბერნიო სასამართლო, სამხედრო გუბერნატორის კანცელარია და სხვ. XIX საუკუნის შუა ხანებში ქუთაისი უკვე, ძირითადად რიონის ხეობის გასწვრივ, მდინარის ორივე მხარეზეა გაშენებული, დაახლოებით 700 ჰექტარი ფართობი უჭირავს და მეჩხერად არის დასახლებული, მცხოვრებთა უმრავლესობას აქვს ბაღ- ვენახებიანი საკარმიდამო ნაკვეთები. ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ყოფილა ებრაელებისა და კათოლიკეების უბნები.

საგუბერნიო ქალაქად გამოცხადებისას ქუთაისს მხოლოდ ერთი ხიდი ჰქონდა, რომელიც დღევანდელი ჯაჭვის ხიდის ბურჯებზე იყო გადადებული და არქიელის ხიდად იწოდებოდა. ქუთაისის ზრდამ მალე დღის წესრიგში დააყენა იმ ტერიტორიების ათვისება, რომელიც მარჯვენა მხარის ვაკე- დაბლობს წარმოადგენდა და გორაკ-ბორცვიან უბნებს სამხრეთიდან ესაზღვრებოდა. ამ ფართობების ათვისებისათვის აუცილებელი გახდა ახალი ხიდის აგება. ეს ხიდი აშენდა დღევანდელი თეთრი ხიდის ადგილას 1851 წელს, კაპიტან ვიტეს პროექტით. უკვე 60-იანი წლების დასაწყისში აუცილებელი გამხდარა კიდევ ერთი ახალი ხიდის აგება. ეს იყო დღევანდელი წითელი ხიდი (ამჟამად მიხეილის), რომლის რკინის ფერმა საფრანგეთიდან ჩამოიტანეს, რაშიც დიდი წვლილი მიუძღოდა სახელოვან გენერალს და პოეტს : გრიგოლ ორბელიანს. 1862 წელს ხიდი საზეიმოდ გახსნეს, ამ დროისთვის თეთრი ხიდი უკვე დაზიანებულია. 1852 წელს ქალაქის მოსახლეობაში რიცხობრივად პირველ ადგილზე იყვნენ სახაზინო, საეკლესიო და საბატონო გლეხები, მეორეზე- მოქალაქეები, მესამეზე- თავადაზნაურობა და ჩინოვნიკები. ქალაქში ცხოვრობდნენ, აგრეთვე, შინაყმები და მცირე რაოდენობით სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი ყოფილი ოფიცრები, ჯარისკაცები და უცხოელები. მომდევნო წლებში მოსახლეობა შესამჩნევად მატულობს. ერთი წყაროს მიხედვით, 1861 წელს ქალაქში სულ ითვლებოდა 6589 მცხოვრები, რომელთაგან 2160 იყო სამხედრო მოსამსახურე.

მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წარმოადგენდნენ ქართველები, მეორე ადგილზე მოდიოდნენ ებრაელები, შემდეგ სომხები, რუსები, თურქები და ბერძნები [**ჯაოშვილი, 1984: 87**].

ქუთაისის მომავალი, საგუბერნიო ქალაქად გამოცხადების მერე, დიდად იყო დამოკიდებული საქალაქო მეურნეობის განვითარებაზე, რომელიც ელოდა ახალ, კაპიტალისტურ ცვლილებებს. როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, XIX ს-ის 50-იან წლებამდე ქუთაისში ვაჭრობა და ხელოსნობა სუსტად არის განვითარებული, ხელოსნებიც კი არ იყვნენ მრავლად, რომ აღარაფერი ვთქვათ მრეწველობის სრულ განუვითარებლობაზე: ქალაქში ჯერ კიდევ არ არსებობდა არც ერთი ფაბრიკა და ქარხანა, არ ხდებოდა ადგილობრივი მინერალური ნედლეულის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება. 1853 წლის ცნობებით, ქუთაისში იყო: მეპურე- 18, მეკონდიტრე-2, ევროპული ტანსაცმლის მკერავი -4, ადგილობრივი ტანსაცმლის მკერავი- 14, ევროპული ფეხსაცმლის მკერავი- 5, ადგილობრივის- 17, მღებავი- 4, დურგალი-6, ოქროსა და ვერცხლის ოსტატი-5, მესაათე- 2, მეკარეტე- 2, მეეტლე-15, მჭედელი- 11, და ა.შ. ამ სიაში რა თქმა უნდა, შეტანილი არაა ხელოსნების ბევრი სხვა დარგი [**იობაშვილი, 1983:46**] 1852 წელს ქალაქის მოსახლეების 55% შედგებოდა სახაზინო, საეკლესიო და საბატონო გლეხებისაგან , რომელთა დიდი უმრავლესობა ეწეოდა სოფლის მეურნეობას.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემოტანა ქალაქში შესამჩნევად გაიზარდა მას მერე, რაც 50-იან წლებში გაიყვანეს გზები ქუთაისიდან იმერეთის სხვა მნიშვნელოვან პუნქტამდე. ბაზრობა ქალაქში იმართებოდა პარასკევობით. უმთავრესად შემოჰქონდათ მარცვლეული, აბრეშუმის ქსოვილი (დარაია) დ ძაფი, ღვინო და ხილეული. 1852 წელს ქალაქში ყოფილა 200-მდე ვაჭარი და 300-მდე დუქანი (მათი ნაწილი სახელოსნოც იყო და დუქანიც). 50-იანი წლების დასაწყისში ქალაქში ყოველწლიურად გაყიდული საქონლის ღირებულება არ აღემატებოდა 60000 მანეთს.

60-იანი წლების დასაწყისში აქ დაუწესებიათ, რუსეთის ზოგიერთი ქალაქის მაგალითის მიხედვით, ყოველწლიურად პერიოდული ბაზრობა. პირველი ასეთი

ბაზრობა გამართულა 1860 წლის 1-15 ნოემბერს: გასაყიდად შემოსულა 161 ათასი მანეთის საქონელი, მაგრამ შემდეგ წელს, რატომღაც, ბაზრობა აღარ შემდგარა.

აგურის მსხვილ საწარმოთა გვერდით, ქუთაისში გარკვეულ ადგილას იჭერს აბრეშუმის ამოსახვევი საწარმოები, კერძოდ, 1858 წელს კარლ დიუფორმა აქ მოაწყო აბრეშუმსახვევი ფაბრიკა, რომელიც წლიურად 7000 მანეთის პროდუქციას უშვებდა. ფაბრიკაში ფართოდ იყო გამოყენებული დაქირავებული შრომა [**იობაშვილი, 1983: 54**].

ჯერ კიდევ რეფორმამდელ ხანაში არსებულ იაკობ ზუბალაშვილის „არყის ‚ქარხანას'' 60-იან წლებში შეემატა ქუთაისელი მოქალაქე გიორგი ბოლქვაძის დიდი ქარხანა, სადაც 30-მდე დაქირავებული მუშა და ოსტატი მუშაობდა, ქარხნის შემოსავალმა 1864 წელს 30 000 მანეთი შეადგინა. ახალი მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვით გიორგი ბოლქვაძე არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მთელს ევროპაში სახელგანთქმული მეწარმე გახდა. მას სახელი კიდევ უფრო გაუთქვა კონიაკის წარმოებამ. ამ პერიოდის ქუთაისი უკვე მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრია არა მარტო ქუთაისის გუბერნიისთვის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოსთვის. ამას ხელს უწყობდა გეოგრაფიული მდებარეობა. ვაჭრობას, ძირითადად, აქ მცხოვრები ებრაელები და ახალციხიდან გადმოსული ქართველი კათოლიკეები ეწეოდნენ, ისინი მომდევნო წლებში აქვე დამკვიდრდნენ. ქუთაისში ვაჭრობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტებისა და ვაჭართა რაოდენობაც. 1852 წლისთვის აქ იყო 300-მდე კერძო დუქანი და 50-მდე დიდი მაღაზია. თითოეული სავაჭრო დაწესებულების ბრუნვა წელიწადში საშუალოდ 100-დან 50 000 მანეთამდე მერყეობდა [**იობაშვილი, 1983 :75**] 1858 წელს 10 ქუთაისელი საპატიო მოქალაქის თხოვნით დააყენეს საკითხი ქალაქში „რატუშის" მსგავსი დაწესებულების შექმნაზე, რომელსაც, სხვა საკითხებთან ერთად, ქალაქის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვაზეც უნდა ეზრუნა. ცოტა მოგვიანებით, 1863 წელს, ქუთაისელ მოქალაქეთა მეორე ჯგუფმა ქალაქის სასარგებლოდ ხაზინაში ფულადი თანხის შეტანის დაწესება ონის, ხონის, ჩხარის და კულაშის ვაჭრებიდანაც მოითხოვა [**იობაშვილი, 1983: 137-138**] ქუთაისის შემოსავლების ერთ-ერთი წყარო იყო ქალაქის მოსახლეობაზე გაწერილი სახელმწიფო

გადასახადები. ამ პერიოდში მოქალაქის წოდების მქონე ქუთაისელი კომლზე იხდიდა სამ მანეთს, ხოლო ქალაქში მცხოვრები საეკლესიო და საბატონო გლეხი ორ მანეთს. 1859 წლისათვის სულ ქალაქში აკრებილი სახელმწიფო გადასახადი შეადგენდა 2 774 მანეთს. კაპიტალისტურ ურთიერთობათა აღმავლობასთან ერთად, ყოველწლიურად, ქალაქის ბიუჯეტის ზრდაც თვალსაჩინო ხდებოდა. [**მჭედლიძე, 2013: 305-315**] .

ქუთაისის თვითმმართველობისა და გამგეობის საქმიანობის შესწავლის საშუალებას გვაძლევს „ქუთაისის თვითმმართველობის ჟურნალები“, რომელთა უმეტესი ნაწილი დაცულია ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის **№108 ფონდში.**

ქუთაისის თვითმმართველობისა და გამგეობის საქმიანობის მთავარი მიმართულება საფინანსო-საბიუჯეტო სფერო იყო. რუსული მმართველობა როგორც წესი პედანტური სიზუსტით და სკურპულოზურად აღწერდა მისი ორგანოების ხარჯებს, რისთვისაც არსებობდა სპეციალური წიგნი, სადაც აღნუსხული იყო ამა თუ იმ უწყების შემოსავალი და გასავალი. მსგავსი წიგნი ქუთაისის საქალაქო სამმართველოშიც არსებობდა. მისი შედგენა მკაცრად, ინსტრუქციის შესაბამისად ხდებოდა. ინსტრუქცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იქნა მიღებული 1849 წლის 3 ოქტომბერს

შემოსავალ-გასავალის წიგნი მოიცავდა შემდეგ თავებს:

1. შემოსავლები
2. გასავალი
3. უწყების ვალები
4. ამოღებული ანუ შესრულებული თანხები
5. განუხორციელებელი ხარჯები

ქუთაისის საქალაქო სამმართველოს შემოსავალ-გასავლის წიგნს ადგენდა ქალაქის გამგეობა. მისი განხილვა და დამტკიცება უნდა მომხდარიყო ქალაქის სათათბიროს სხდომაზე ხმოსნების მიერ. სათათბიროს სხდომის თარიღს ქალაქის თავი ათანხმებდა გუბერნატორთან, რომელსაც იგი მოხსენებითი ბარათით მიმართავდა სხდომის მოწვევის თხოვნით. გუბერნატორის სიტყვა საბოლოო და გადამწყვეტი იყო. იგი ასევე

აქტიურად მონაწილეობდა სათათბიროს სხდომის მსვლელობაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მთავარი საქალაქო დაწესებულების საქმიანობაში ძირითადი აქცენტი კეთდებოდა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებზე. ეს საქმიანობა აისახებოდა შემოსავალ-გასავალის წიგნში, რომლის შედგენა ძალიან შრომატევადი საქმე იყო და შემდგენლებისაგან საკმაო ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვდა. მაგალითად: ქუთაისის საქალაქო სამმართველოს შემოსავალ-გასავალის 1876 წლის წიგნის შედგენა 1876 წლის 23 ივლისს დაიწყო და 1878 წლის 4 თებერვალს დასრულდა. [**ქცა. ფონ. 108, საქმე 23, ფ.5**]. მისი მოცულობა შეადგენდა 188 გვერდს. ასეთი ვითარება ბუნებრივია გარკვეულ ბუნდოვანებას ქმნიდა, რის გამოც ძალიან ხშირი იყო სასამართლო დავები უწყებებს შორის. ასევე დავები ფიზიკურ პირებთან, რაც ძირითადად მიუღებელ ჰონორარებს უკავშირდებოდა.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან მეურნეობისა და ვაჭრობის განვითრებამ გამოიწვია კრედიტისა და ფინანსების როლის ზრდა. იქმნებოდა და ფართოვდებოდა შესაბამისი დაწესებულებანი. ქუთაისში ყველაზე ძველი ასეთი დაწესებულება იყო მიხეილის სახელობის სათავადაზნაურო ბანკი [**მჭედლიძე, 2011:108**]. აღნიშნული ბანკი დაარსდა 1876 წელს. 1879 წლიდან ქუთაისში ფუნქციონირებდა საზოგადოებრივ საწყისებზე არსებული ფინანსური ორგანიზაცია-ქუთაისის საურთიერთო ნდობის საკრედიტო საზოგადოება. 1894 წელს მასში გაერთიანებული იყო 697 წევრი [**მჭედლიძე, 2011:110**]. იმ პერიოდის ქუთაისში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც კარგი საზოგადოებრივი წამოწყებები წარმატებით არ სრულდებოდა. ამის ნათელი მაგალითია ქუთაისში საქალაქო საზოგადოებრივი ბანკის ჩამოყალიბების ორგზის მცდელობა. 1877 წლის 8 თებერვალს ქუთაისის სათათბიროს მოქალაქეებმა მიმართეს თხოვნით ქუთაისის საჭიროებიდან გამომდინარე ქალაქში ჩამოყალიბებულიყო - „ქუთაისის საზოგადოებრივი ბანკი“ [**ქცა, ფონ.108, საქმე 100, ფ.1**] წამოწყების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იყო ქუთაისში უძრავი ქონების ყველაზე მსხვილი მფლობელი სტეფანე აკოფოვი (აკოფაშვილი). სათათბირომ სასწრაფო წესით ორ დღეში 10 თებერვალს განიხილა ეს მიმართვა (ალბათ, იმიტომაც, რომ საქმეში

ჩართულნი იყვნენ ქუთაისის ყველაზე გავლენიანი მოქალაქეები) და მიიღო შემდეგი დადგენილება:

1. შეიქმნას ქუთაისში „საქალაქო საზოგადოებრივი ბანკი“.

2. სათათბირომ ქალაქის გამგეობას დაავალა ბანკის საწყისი კაპიტალის შესაქმნელად გაეყიდა სახელმწიფო დაქვემდებარებაში არსებული საქალაქო მიწები გარდა შემდეგი ნაკვეთებისა, საღორიის ტყე, ფერმები (დღევანდელი ქუთაისის ბოტანიკური ბაღი), ბულვარი, სამხედრო დაქვემდებარებაში მყოფი მიწები, პოლიციის შენობები, ეკლესიის აგარაკები. [**კუპრაშვილი,2013 : 2017-2020**].

3. მიწების გაყიდვებიდან შემოსული თანხები უნდა შენახულიყო ან გაპროცენტებულიყო ბანკის საბოლოო გახსნამდე [**ქცა, ფონ.108, საქმე 100, ფ.1**].

შემუშავებული იქნა ბანკის სამოქმედო წესების პროექტი. ბანკის ძირითადმა კაპიტალმა შეადგინა 10000 მანეთი. ბანკი, რომელიც ქალაქის საჭიროებისათვის იქმნებოდა სამწუხაროდ ვერ ჩამოყალიბდა და ქალაქის ძირითად საბანკო დაწესებულებად საადგილმამულო ბანკი დარჩა, მაგრამ ის ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებებს საკრედიტო დაწესებულებებზე. საზოგადოებრივი ბანკის შექმნის იდეა არ იქნა მივიწყებული. 1903 წელს ქუთაისის სათათბიროს ხმოსან ვარლამ ჭილაძეს შეუტანია წინადადება ქალაქში კვლავ გახსნილიყო საზოგადოებრივი ბანკი. ქალაქის სათათბიროს ეს წინადადება მოუწონებია. მოუძებნიათ წესდებები სხვა ქალაქების ანალოგიური ბანკებისა, მაგრამ რუსეთ-იაპონიის ომის დაწყების გამო ბანკი არ გახსნილა[**მჭედლიძე, 2011:110**]. საქველმოქმედო საქმიანობას ქუთაისში რამდენიმე ორგანიზაცია ეწეოდა, ესენი იყვნენ დარგობრივი და საერთო , ზოგიც ერთადერთი იყო საქართველოს მასშტაბით და ეროვნული დანიშნულება ჰქონდა. გავეცნოთ მათ ერთ ნაწილს.

1878 წელს არსებობდა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოება. მას მზრუნველობას უწევდა ქუთაისის საადგილმამულო ბანკი, საშუალო ტიპის ყველა სასწავლებელში არსებობდა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოებები, რომელთა საქმიანობას საქალაქო საზოგადოება წარმართავდა. ღარიბ მოსწავლეთა

დახმარება ,საზოგადოება მოქმედებდა სათავადაზნაურო გიმნაზიაშიც, 1904 წელს აქ 140-მდე წევრი ირიცხებოდა, ყოველწლიური შემოსავალი 300 მანეთს უდრიდა. ეს საშუალებას იძლეოდა ღარიბ მოსწავლეთა ერთი ნაწილის სწავლის ქარისგან განსათავისუფლებლად, ასევე კარგი შესაძლებლობანი ჰქონდა კლასიკურ გიმნაზიაში მოქმედ საზოგადოებას. გაზეთ ,, იმერეთის'' ცნობით 1914 წლის აპრილში მოწყობილი საქველმოქმედო საღამოებისაგან მას 950 მანეთი შემოსვლია და იგი ღარიბ მოსწავლეებზე გაუნაწილებიათ. 1892 წელს დაარსდა ღარიბ ბავშვებზე მზრუნველი ქუთაისის საზოგადოება. მას სათავეში ედგა დიმიტრი ნაზარიშვილის მეუღლე ტატიანა. იგი 1905 წელს გარდაიცვალა და საზოგადოებამ მუშაობა დროებით შეწყვიტა. იგი განახლდა 1907 წელს, როცა ახალი გამგეობა აირჩიეს (თავჯდომარე ნატალია ლორთქიფანიძე). მისი პირველი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო უფასო სკოლის გახსნა 1908 წელს. თავიდან სკოლაში 40 ობოლი ბავშვი ირიცხებოდა. მაგრამ 1909 წლის სექტემბრიდან სკოლის სამ განყოფილებაში 160-ზე მეტი მოწაფე სწავლობდა. აქ ბავშვებს არა მარტო უფასოდ ასწავლიდნენ, არამედ უფასოდ აძლევდნენ სახელმძღვანელოებს, სასწავლო ნივთებს, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს. ბინის დაქირავების შემთხვევაში უხდიდნენ საჭირო თანხას. ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება 1907 წელს შეიქმნა. იგი ადრე არსებული ანალოგიური კავკასიის საზოგადოების თავისებური მემკვიდრე იყო და მთელი საქართველოს მასშტაბით მოქმედებდა. საზოგადოება მიზნად ისახავდა: ლექციების მოსმენისთვის სათანადო თანხის გადახდას, სტიპენდიების დანიშვნას. ერთდროულად დახმარების გაცემას. არდადეგების პერიოდში სტუდენტთა დროებით სამუშაოზე მოწყობას და სხვ. საზოგადოების პირველი თავჯდომარე იყო დავით ოტიას ძე ნიჟარაძე, 1911-1918 წწ. კი- ელისაბედ ნიკოლოზის ასული ხეჩიაშვილი. არსებობის პირველსავე წელს საადგილმამულო ბანკმა საზოგადოებას 500 მანეთი ჩაურიცხა, ხოლო სხვა გზით კიდევ 690 მან. შეგროვდა. ამ თანხით დახმარება მიეცა 40 სტუდენტს. გაიცა 1050 მანეთი. სტიპენდიების გაცემას საზოგადოების საფუძველზე, ახდენდა. საზოგადოების მიერ მიღებული შემოწირულობათაგან განსაკუთრებით

აღსანიშნავია 1913 წელს ქველმოქმედ ეკატერინე ფიფინაშვილებისაგან შემოტანილი 7000 მანეთი. 1910 წელს ქალაქის თვითმართველობას მიიღო ქუთაისის ყოფილი გენერალ- გუბერნატორის მიხეილ იაკობის ძე შალიკოვის ანდერძი, რომლითაც იგი გარდაცვალების შემდეგ ქუთაისის საურთიერთო ნდობის საკრედიტო საზოგადოებაში მის მიერ შეტანილი თანხის მოგებიდან მოითხოვდა გაეცათ:

1. ქუთაისის სათავადაზნაურო დეპუტატთა ყრილობისათვის 14500 მანეთის პროცენტი, რომლითაც სტიპენდია დაენიშნებოდათ სათავადაზნაურო გიმნაზიის, რეალური და წმ. ნინოს სასწავლებლის მოსწავლეებს,

2. ორი ათასი მანეთის მოგებიდან სტიპენდია მიეცემოდა სასოფლო- სამეურნეო სკოლის ერთ მოწაფეს

3. ამდენივე თანხიდან თვითმართველობა სტიპენდიას დაუნიშნავდა ქალაქის სასწავლებლის მოსწავლეებს

4. ერთი სტიპენდიისათვის, რომელიც ბავშვთა უფასო სკოლის მოსწავლეებს ენიშნებოდა, იგი გამოყოფდა 1500 მანეთს მოგებას. ეს შემოწირულობა კმაყოფილებით იქნა მიღებული და გადაწყდა ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩას მინიჭებოდა მ. ი. შალიკოვის სახელი.

საკმაოდ დიდი თანხა 45 ათასი მანეთი დაუტოვა ანდერძით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას ნიკოლოზ ბესარიონის ძე ღოღობერიძემ (1839-1911). იგი იყო ქუთაისის საადგილმამულო ბანკის პირველი დირექტორი, ღვაწლი მიუძღვის ჭიათურაში შავი ქვის წარმოების განვითარებაში. შემდეგ დიდი როლი შეასრულა თბილისში ქართული სტამბის გამართვასა და მისთვის შრიფტების ჩამოსხმაში. 1909 წელს გუბერნატორმა იშუამდგომლა გამგეობასთან უფასო სკოლის მასწავლებლებს პელაგია ეფიმოვას და მარია ფეოდოროვას, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე (პირველი 22, მეორე 18 წელი) მცირე ხელფასით (თვეში 28 მან.) უანგაროდ ემსახურებოდნენ მოზარდი თაობის აღზრდის საქმეს მიეცით ერთდროული დახმარება. თვითმართველობა მათ ას-ასი მანეთით დაეხმარათ [**მჭედლიძე, 1993: 177-183**]

& 2

ბათუმი და ბათუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში

დაპყრობილი ხალხების მიმართ რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას საერთო ნიშნები ჰქონდა და მონოეთნიკური იმპერიის შექმნის მიზნებს ემსახურებოდა. მაგრამ იგი ცალკეული ქვეყნების და კიდევ უფრო მეტი, მათი ცალკეული რეგიონების მიხედვითაც კი, სერიოზული თავისებურებებით ხასიათდებოდა. ასე იყო საქართველოშიც. განვითარების საერთო დონის მიუხედავად, მის ცალკეულ მხარეებს ბუნებრივ-გეოგრაფიული, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, სამეურნეო-ეკონომიკური თუ სხვა სახის თავისებურებანი ჰქონდა, რომელთა გაუთვალისწინებლობა დამატებით სირთულეებს უქმნიდა რუსეთის ადგილობრივ ხელისუფლებას და ანტირუსულ განწყობილებას ასაზრდოებდა. რუსული მმართველობა იძულებული იყო თავისი კოლონიური პოლიტიკა ცალკეული რეგიონებისათვის მოერგო და ამით უზრუნველყო მისი განუხრელი გატარება. ამის გამო, ამ პოლიტიკის რეგიონალური ნიშნით შესწავლა საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად ჩავწვდეთ იმპერიის პოლიტიკის თვითმპყრობელურ არსს და გლობალურ ხასიათს.

ქართველ ხალხს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასთან ერთად წაართვეს საკუთრების უფლება ეროვნულ ტერიტორიასა და ბუნებრივ რესურსებზე. მათ რუსეთი დაეუფლა და იმპერიის სახელმწიფო ქონების ნაწილად გამოაცხადა. XIX საუკუნეში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად ქცეულ საქართველოში სახელმწიფო ანუ სახაზინო ქონება რუსეთის იმპერიის საკუთრებას ნიშნავდა და მისი ინტერესებისათვის გამოიყენებოდა. ტერიტორიას, ბუნებრივი სიმდიდრეების, შემოსავლების ძირითად ნაწილს რუსეთის სახელმწიფო განკარგავდა და მოიხმარდა. საიმპერიო ხაზინას გადაეცა ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოების, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის და სვანეთის სამთავროების, სამეფო

და სამთავრო ოჯახების წევრთა ქონება და მამულები. თურქეთთან ომებში გამარჯვების შემდეგ, რუსეთმა ისტორიული სამცხე-საათაბაგოს, აჭარის და აფხაზეთის ტერიტორიიდან მასობრივად აყარა მაჰმადიანი ქართველები, რომლებიც იძულებული გახდნენ თურქეთში გადასახლებულიყვნენ [**ვაჭრიძე, 2006: 420-421**].

კონკრეტულად განვიხილოთ აჭარის რეგიონის მიმართ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ცალკეული ასპექტები. სახელმწიფო ქონების შექმნის პროცესში ყალიბდებოდა მისი მართვის სამსახურიც, რომელიც თანდათანობით კავკასიის რუსული ადმინისტრაციის ერთ-ერთი ძირითადი რგოლი გახდა. მის უპირველეს ფუნქციას საერთოიმპერიულ ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ძალდატანებითი ინტეგრაცია წარმოადგენდა. სახელმწიფო ქონების მართვის დაწესებულებებში, რომელთა თანამშრომლები ძირითადში უცხოელები იყვნენ, გაბატონებული იყო მექრთამეობა და ბიუროკრატიზმი, რაც ქართველ კაცს სამეურნეო საქმიანობაში გადაულახავ დაბრკოლებებს უქმნიდა. 1888 წელს გამოიცა კანონი, რომელიც შეეხებოდა სამხედრო-სახალხო მმართველობის სახაზინო მიწების სახელმწიფო ქონების სამინისტროს განკარგულებაში გადასვლას, რომელიც მუჰაჯირთა მიწებსაც შეეხო [**ბარამიძე, 1999: 138**]. ამის საფუძველზე, 1889 წელს ადმინისტრაციულად ქუთაისის გუბერნიაში მყოფი ბათუმის ოკრუგის სახელმწიფო ქონება, რომელსაც აქამდე სამხედრო-სახალხო მმართველობა განაგებდა, სახელმწიფო ქონების ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს დაექვემდებარა [**ქცსა, ფონდი 18, აღწ. 1, საქმე, 2610: 24-25**]. 1893 წელს სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ბრძანებით, სახელმწიფო ხაზინის საკუთრებაში უნდა გადასულიყო მოსახლეობის მფლობელობა-სარგებლობაში მყოფი ყველა ის მიწის ნაკვეთები, რომელზეც მათ არ გააჩნდათ საკუთრების დოკუმენტები. იმის გამო, რომ დიდ უმრავლესობას არა თუ საკუთრების, არამედ მფლობელობის დოკუმენტებიც კი არ გააჩნდა, მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია [**ბენდიანიშვილი, 2008: 69**]. სახელმწიფო ქონების მართვაში მომხდარმა ამ

ცვლილებამ კიდევ უფრო გააუარესა აჭარის მოსახლეობის ისედაც მძიმე მდგომარეობა. აქ ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული ოსმალურ საადგილმამულო ურთიერთობათა რუსულით ჩანაცვლების პროცესი. სამხედრო-სახალხო მმართველობის სისტემა, რომელიც სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების ელემენტების თავისებურ ნაზავს წარმოადგენდა და იმ დროს ჩამოყალიბდა, როცა რუსეთი ბრძოლას აწარმოებდა მთიელთა დასამორჩილებლად, წმინდა რუსული მმართველობით იცვლებოდა, ხოლო ოსმალური კანონმდებლობა რუსულით. ამ გარდამავალ პერიოდში, როცა რუსეთის ასიმილატორული პოლიტიკით გამოწვეული შიში და უნდობლობა ახალი ადმინისტრაციისადმი აჭარის მოსახლეობას აიძულებდა სამშობლოდან აყრილიყვნენ და ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ, სახელმწიფო ქონების მართვის ორგანოს ბათუმიდან ქუთაისში გადატანა აჭარაში რუსეთის ეკონომიკური გაბატონებისათვის ერთ-ერთი ხელისშემწყობი ღონისძიება იყო. აჭარაში რომელიმე მთიან სოფელში მცხოვრებ გლეხს, რომელიც დიდი დაბრკოლებების გადალახვით ჩადიოდა ბათუმში, ამიერიდან ყოველ გოჯ მიწაზე თავისი საკუთრების უფლების დადასტურება ქუთაისის საოლქო სასამართლოში უხდებოდა. რუსეთის მთავრობა კი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს კოლონიზაციის ფართო გეგმებს ამუშავებდა და იმპერიის შიდა გუბერნიებიდან ჩამოსულებს ქართულ მიწას გულუხვად ურიგებდა.

1903 წელს სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, ბათუმის ოკრუგი ადმინისტრაციულად ქუთაისის გუბერნიიდან გამოიყო, ბათუმის და ართვინის ოკრუგები გაერთიანდა და შეიქმნა ბათუმის ოლქი **[Обзор Кутаисской губернии: 1-2]**. მიუხედავად ამისა, ბათუმის ოლქის სახელმწიფო ქონების მართვა 1917 წლამდე ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს გამგებლობაში დარჩა.

რუსული ხელისუფლებისათვის სახელმწიფო ქონების შექმნის და მართვის პროცესში, სახელმწიფო მიწების და საღალო შემოსავლების იჯარით გაცემის წესების შემუშავებას და განხორციელებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. საიჯარო პოლიტიკაზე ბევრად იყო დამოკიდებული ადგილობრივი

ბიუჯეტის შევსება, რეგიონის ეკონომიკურ ცხოვრებაში წამყვანი მდგომარეობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო მიწების, რუსეთიდან, უპირატესად შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულთათვის მიცემის საშუალებით, მყარი რუსული მოსახლეობის შექმნის პრობლემის გადაწყვეტა.

XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან მთავრობამ საიჯარო ფონდში ჩართო აჭარიდან თურქეთში გადასახლებულ მუჰაჯირთა მიწები, რომელთა ძირითადი ნაწილი უცხოელი კოლონისტების და მოიჯარეების ხელში გადავიდა. 1882 წელს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მიერ გამოიცა განკარგულება, რომლითაც ადგილობრივ ადმინისტრაციას დაევალა გაერკვია, აღეწერა და მიეღო გადასახლებულთა მიერ დატოვებული მიწები და შენობები ხაზინის საკუთრებაში [**ბარამიძე ,1999: 98-99**], რომლის დიდი ნაწილი, როგორც ვთქვით, იჯარის წესით გაიცა. ამ პროცესის ამსახველი მრავალრიცხოვანი მასალებიდან შეიძლება დავასახელოთ ბათუმის ოკრუგის, კინტრიშის უბანში 1887 წელს იჯარით გაცემულ მუჰაჯირთა მიწების უწყისი, რომლითაც სოფელ აჭკუაში 30 მუჰაჯირის მიერ დატოვებული მიწებიდან 25-ის მიწები იჯარით აიღო გადამდგარმა პოდპოლკოვნიკმა სოლოვცევმა [**ქცსა ფონდი, 18, აღწ. 1, საქმე, 2302: 1-10**].

ხაზინის დავა მიწათმფლობელებთან რუსული მმართველობის დამყარებისთანავე დაიწყო და საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა. იგი წარმოიშვა სახელმწიფო ქონების შექმნის პროცესში და განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო მიწების სავალდებულო სახელმწიფო გამიჯვნასთან დაკავშირებით. ხაზინის წარმომადგენლები მთელ გასამიჯნავ მიწას სახელმწიფო საკუთრებად აცხადებდნენ, რაც დავების არნახული რაოდენობის მიზეზი ხდებოდა, ხოლო შემდეგ სასამართლო პროცესებზე, უამრავი წერილობითი საბუთის წარდგენით, მათი შინაარსის ყოველგვარი კრიტიკული ანალიზის გარეშე, მოითხოვდნენ ხაზინის უფლების ცნობას ისეთ მიწაზე, რომელიც აშკარად კერძო პირს ეკუთვნოდა [**ვაჭრიძე, 2006: 176**]. რუსეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ, მალევე დაივიწყა ჯერ კიდევ შეერთებამდე, აჭარის პრივილიგირებული კლასის

წარმომადგენლებისადმი მიცემული პირობა, რომ აგრარულ ვითარებას ხელუხლებლად დატოვებდა [**ბარამიძე, 1999: 81**].

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, მას შემდეგ რაც ბათუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა, სახელმწიფო ქონების ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს მოქმედების ასპარეზი ამ მიმართულებით კიდევ უფრო გაფართოვდა და მის არეალში აჭარაც მოექცა. აქ რთული ვითარება იყო – როგორც ითქვა მიმდინარეობდა თურქული მიწათმფლობელობის კანონმდებლობის რუსულით ჩანაცვლება, მოსახლეობის ერთი ნაწილი ტოვებდა მშობლიურ მიწა-წყალს და თავის უძრავ ქონებას სხვას უტოვებდა. მიწის სახელმწიფო ფონდის გაფართოებისათვის მებრძოლ ხაზინას კერძო მიწათმფლობელებთან დავაში სერიოზული პრობლემები გაუჩნდა. ამის ერთი ტიპიური მაგალითია ხაზინის დავა ძმებთან ივანე და ნიკოლოზ მირზოევებთან. მათ 1883 წელს ნასყიდობის აქტით, ბათუმში მცხოვრებ ეფენდი ზადესგან მიწის ნაკვეთი შეიძინეს. ხაზინამ მირზოევებს დავა დაუწყო და თავის სარჩელს ასე ასაბუთებდა: გამყიდველი მიწის ნაკვეთს ფლობდა მისი მესაკუთრის კადირ აღა აჰმედ ოღლის სახელით, ხოლო ამ უკანასკნელმა რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1879 წელს სტამბულში დადებული ტრაქტატის მეშვიდე მუხლით თავის ადგილ-მამულზე ყოველგვარი უფლება დაკარგა. დასახელებული მუხლის შინაარსი ასეთი იყო: რუსეთის იმპერიისათვის გადაცემული ტერიტორიის მოსახლეობას შეეძლო ადგილზე დარჩენილიყო, რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღო ან გადასახლებულიყო თურქეთში და თავისი უძრავ-მოძრავი ქონება 3 წლის განმავლობაში გაეყიდა. კადირ აღა თურქეთში გადასახლდა, მაგრამ მიწა არ გაუყიდია, ამის გამო იგი ხაზინის საკუთრებად იქცა. მირზოევების ადვოკატმა ხაზინის სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნია, რადგან კადირ აღა თურქეთში გადასახლდა ოცდაათი წლის წინათ და ამ ხნის მანძილზე მიწას ყოველგვარი დავის გარეშე, მშვიდობიანად ფლობდა მუფტი ასან ეფენდი. ამიტომ მას უფლება ჰქონდა ეს მიწა გაეყიდა. ქუთაისის საოლქო სასამართლომ ეს მოსაზრება გაიზიარა და 1890 წელს ხაზინას სარჩელზე

უარი უთხრა. გუბერნიის ხელმძღვანელობამ სააპელაციო საჩივრით მიმართა თბილისის სასამართლო პალატას, რომელმაც იხელმძღვანელა კანონით – მიწის ფლობის ხანდაზმულობა მასზე საკუთრების უფლებას არ წარმოშობს და ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ დაამტკიცა. მირზოევებს ნაყიდი მიწა ჩამოართვეს და ხაზინას გადასცეს. მათ საკასაციო საჩივარი შეიტანეს სენატში, რომელმაც კონსტანტინეპოლის ტრაქტატის მეშვიდე მუხლი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით განიხილა. სენატის განმარტებით, აღნიშნულ პუნქტში ლაპარაკია უძრავი ქონების გაყიდვაზე სამი წლის განმავლობაში, მაგრამ არაფერია ნათქვამი ამ ვადის გასვლის შემდეგ თურქეთში გადასახლებული მოქალაქის ქონების კონფისკაციის შესახებ. თბილისის სასამართლო პალატამ ფაქტობრივად ქონების კონფისკაცია მოახდინა, რაც სენატის აზრით, მეშვიდე მუხლის სულისკვეთებას არ შეესაბამებოდა. ამიტომ მან გააუქმა პალატის გადაწყვეტილება და ხაზინის სასარგებლოდ ჩამორთმეული მიწის ნაკვეთი მყიდველს დაუბრუნა, რასაც ათი წელი დაჭირდა [**ქცსა. ფონდი 18, აღწ. 1, საქმე, 1406: 195-199**].

სენატის გადაწყვეტილებაზე, სავარაუდოა, გარკვეული გავლენა მოახდინა აჭარის საზოგადოების შეშფოთებამ იმასთან დაკავშირებით, რომ დაბეჯითებით ვრცელდებოდა ხმები, რომ რუსეთის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მასზე გადაცემულ რეგიონში მთელი მიწები სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადოსო. ეს შეშფოთება საფუძველს მოკლებული არ იყო. მართლაც ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა აჭარაში ოსმალური საადგილმამულო კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების გამოყენებას და მთელი მიწების სახაზინოდ გამოცხადებას. ამ პოლიტიკის იდეოლოგთა აზრით, რაკი სულთნის ხელისუფლების სამართალმემკვიდრეს რეგიონში რუსეთის სახელმწიფო წარმოადგენდა, მიწების მთელი ფონდიც, რომლის ერთადერთ მესაკუთრედ უზენაესის – ალაჰის შემდეგ სულთანი, იმამი ფლობდა, რუსეთის სახელმწიფო ხაზინის საკუთრებად უნდა ჩათვლილიყო [**ბარამიძე, 1999: 103**]. რუსეთის ხელისუფლების ეს მისწრაფება აშკარა იყო ხაზინის დავებიდან ბათუმის და

ართვინის ოკრუგებში მცხოვრებ მიწათმფლობელებთან. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იასონ იოსელიანის მამულების საქმე.

პოდპოლკოვნიკმა ი. იოსელიანმა 1880 წელს ბათუმში მცხოვრებ ბეგების – აბაშიძეებისაგან ნასყიდობის აქტით, ბათუმის მიდამოებში 457 დესეტინა მიწა შეიძინა. 1888 წელს ხაზინამ მასზე ქუთაისის საოლქო სასამართლოში სარჩელი აღძრა. საგუბერნიო ხელისუფლების დავალებით, იოსელიანის მიერ შეძენილი მიწა აზომეს და აღმოჩნდა, რომ სადავო მიწიდან მხოლოდ 33 დესეტინა იყო მოქცეული ქალაქის, ყოფილი პორტო-ფრანკოს ფარგლებში, ხოლო დანარჩენი მდებარეობდა ქალაქის გარეთ. აჭარაში მიწათსარგებლობის მაშინ არსებული დროებითი წესების მიხედვით, მიწების ყიდვა-გაყიდვა დაშვებული იყო მხოლოდ ბათუმის ტერიტორიაზე. მის გარეთ ერაზი-მირიეს ანუ სახელმწიფო კატეგორიის მიწები მდებარეობდა და აბაშიძეებს ადმინისტარციის ნებართვის გარეშე არ შეეძლოთ მათი გაყიდვა. საგუბერნიო ხელისუფლება მოითხოვდა იოსელიანის მიერ შეძენილი მიწის ის ნაწილი, რომელიც ქალაქის გარეთ მდებარეობდა, ხაზინას გადაცემოდა. ამ საქმეში ბევრი საინტერესო მასალა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ქალაქ ბათუმის საზღვრების დასადგენად.

ქუთაისის საოლქო სასამართლომ საქმე 1896 წელს განიხილა და იოსელიანის სასარგებლოდ გადაწყვიტა, რაც თბილისის სასამართლო პალატაში იქნა გასაჩივრებული. ამ უკანასკნელმა ეს გადაწყვეტილება არ დაამტკიცა. იოსელიანის მემკვიდრეებს წინადადება მისცეს მათი მამის მიერ შეძენილი ბათუმის გარეთ მდებარე მიწები ხაზინისათვის გადაეცათ [**ბარამიძე ,1999: 90-91**].

ქართველი მიწათმფლობელებისადმი რუსული მმართველობის დამოკიდებულება კარგად ჩანს იმ ფაქტიდან, რომლის შესახებ თედო სახოკია მოგვითხრობს: მას შემდეგ, რაც აჭარა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა, აჭარელთა ერთ-ერთმა ყველაზე თვალსაჩინო თავკაცმა და ანტითურქული მოძრაობის მეთაურმა შერიფ ბეგ ხიმშიაშვილმა მთავრობას თხოვა, რომ მისი მამულები რუსული კანონმდებლობით დაემტკიცებინათ. რუსული მმართველობა,

როგორც აღინიშნა, თვლიდა, რომ აჭარაში ოსმალეთის ბატონობის დროს მთელი მიწა სახელმწიფო საკუთრებას შეადგენდა და ახლაც ასევე უნდა დარჩესო. ამის გამო, ხიმშიაშვილს საკუთრებაში მხოლოდ 16 დესეტინა მიწა დაუმტკიცეს. მამის გარდაცვალების შემდეგ შვილებმა განაგრძეს მემკვიდრეობის ძიება. ისინი სავსებით კანონიერად აყენებდნენ საკითხს. თედო სახოკია წერს: "ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რა ჭკუაში მოსასვლელია, რომ მხარის უფროსს 16 დესეტინა მიწის მეტი არ ჰქონოდესო "[**სახოკია ,1985: 274**]. რუსეთის ხელისუფლებას კი მიაჩნდა, რომ ეს მიწები ხაზინას ეკუთვნოდა, ხოლო შერიფ ბეგი მათი მფლობელი იყო მხოლოდ.

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, აგრეთვე რუსებზე და უცხოელებზე მიწების გადაცემა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას და ბუნებრივ სიმდიდრეებს მტაცებლურად და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ძარცვავდნენ. უგულველყოფილი იყო ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები. მთელი ყურადღება გადატანილი იყო მომპოვებელი მრეწველობის განვითარებასა და ნედლეულის იმპერიის სხვადასხვა რეგიონებსა და საზღვარგარეთ ექსპორტზე. საქართველო ნედლეულის მწარმოებელი და მეტროპოლიაზე ეკონომიკურად დამოკიდებული ქვეყანა უნდა ყოფილიყო, რუსეთის უზარმაზარი იმპერიის განაპირა მხარე. საქართველოს მთელ ტერიტორიას რუსეთის მთავრობა განიხილავდა, როგორც საკუთარ მამულს და თვითნებურად განკარგავდა მის ბუნებრივ რესურსებს [**ვაჭრიძე, 2006: 304**].

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში აჭარის სანაპიროს, მიწების დაუფლების აურაცხელი მსურველი მიაწყდა. ისინი სარგებლობდნენ მუჰაჯირთა მძიმე მდგომარეობით და თურქეთში გადასახლებულ ქართველ მაჰმადიანთა მიწებს მუქთად იგდებდნენ ხელში, ხოლო შემდეგ სარფიანად ყიდდნენ მას. ამის ტიპიური მაგალითია აზნაური მეჩისლავ დე ალფონსი, რომელმაც 1878-1881 წლებში ჩაქვის და აჭკუას მიდამოებში მუჰაჯირებისგან 123 დესეტინა მიწა შეიძინა და შემდეგ სხვადასხვა პირებს მიყიდა [**ქცსა, ფონდი, 18, აღწ. 1, საქმე, 2859: 11-**

22]. სახელმწიფო ქონების ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოში ასობით განცხადება შემოდიოდა ბათუმის მიდამოებში მიწების გამოყოფის შესახებ. მთხოვნელთა აბსოლუტური უმრავლესობა რუსები იყვნენ.

XIX საუკუნის ბოლოს ბათუმის ოკრუგში აღრიცხეს 345.594 დესეტინა მიწა, რომლის უდიდესი ნაწილი სახელმწიფო ხაზინის საკუთრებად იყო გამოცხადებული. მცირე რჩებოდა გლეხების სარგებლობაში და მხოლოდ 13.500 დესეტინა დამტკიცებული ჰქონდა საკუთრებად რუსებს და უცხოელებს [**ბენდიანიშვილი, 2008: 170**].

დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალი ისტორიის წერილობით წყაროებს შორის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს კავკასიის რუსული ადმინისტრაციის ადგილობრივ დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ ზემდგომ ინსტანციებში წარდგენილ სხვადასხვა სახის ანგარიშებს, რომლებიც შეიცავენ კონკრეტულ, ძირითადად სანდო მონაცემებს მხარის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მდგომარეობის შესახებ.

"იმერეთის დროებითი მმართველობის" ფუნქციონირების პერიოდში (1810-1840), XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, ოკრუგის უფროსები და ქუთაისის კომენდანტი ვალდებული იყვნენ მმართველობაში წარედგინათ ყოველთვიური და ყოველწლიური ანგარიშები ჩატარებული მუშაობის და ადგილზე არსებული მდგომარეობის შესახებ [**ვაჭრიძე , 1999: 159**] ერთ-ერთი ასეთი სახის ჩვენთვის ცნობილი პირველი დოკუმენტი არის ქუთაისის კომენდანტის მიერ იმერეთის დროებით მმართველობაში გაგზავნილი 1837 წელს შედგენილი ანგარიში.

გუბერნატორი თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, იმპერატორს და შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგენდა ანგარიშს თანამდებობის მიღების და გუბერნიაში არსებული მდგომარეობის შესახებ. გუბერნატორი კანონით ვალდებული იყო ყოველი წლის ბოლოს იმპერატორთან წარედგინა ანგარიში. სპეციალური

ინსტრუქციით განსაზღვრული იყო ანგარიშის ფორმა და კონკრეტულად რა მონაცემები უნდა შესულიყო მასში.

გუბერნატორი წლიურ ანგარიშს ადგენდა დადგენილი სტანდარტის მიხედვით. ანგარიში საფუძვლად ედო გუბერნიის მიმოხილვასაც. პირველ რიგში დახასიათებული იყო გუბერნიის გეოგრაფიული მდებარეობა. მაგალითად, ქუთაისის გუბერნიის 1903 წლის "მიმოხილვაში" ეს განყოფილება შემდეგი საკითხებითაა წარმოდგენილი: საზღვრები და ტერიტორია, რელიეფი და ნიადაგები, ხელოვნური და ბუნებრივი მორწყვა, კლიმატი, წიაღისეული სიმდიდრეები და მინერალური წყლები, ადმინისტრაციული მოწყობა. მეორე განყოფილება ეძღვნება გუბერნიის მოსახლეობას, რომელიც შეიცავს მონაცემებს მოსახლეობის რაოდენობის, მისი მოძრაობის და საყოფაცხოვრებო თავისებურებათა შესახებ.

საინტერესოა რა ინფორმაციას შეიცავს ქუთაისის გუბერნიის შესახებ (ქუთაისის გუბერნია კი მთელ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილს მოიცავდა) 1894 წლის "მიმოხილვა".

I განყოფილება ეძღვნება გუბერნიის გეოგრაფიულ მდებარეობას, საზღვრებს, ტერიტორიას და ბუნებრივ პირობებს.

II განყოფილება მოიცავს ბუნებრივ და საწარმოო ძალებს და მოსახლეობის ეკონომიკურ საქმიანობას, როგორც თავადაზნაურული, ასევე გლეხური მიწათმფლობელობა მცირემიწიანობით და დაქსაქსულობით ხასიათდებოდა. სახელმწიფო ქონების ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს გამგებლობაში 1.108.055 დესეტინა მიწა იყო, 283.954-ით მეტი ვიდრე გასულ წელს, რაც იმით აიხსნება, რომ სამმართველოს გადაეცა მანამდე სამხედრო-სახალხო მმართველობის განკარგულებაში მყოფი მიწები. სახელმწიფო ქონების სამმართველოს გამგებლობაში ბათუმის ოკრუგში იყო 159.600 დესეტინა, აქედან 76.800 მოიცავდა ტყეებს, 72.800 – საძოვრებს და სხვა სავარგულებს და 10.000 – სახნავ-სათესისათვის უვარგის მიწებს. **[Обзор Кутаисской губернии 1894: 4]**

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქუთაისის გუბერნიაში გავრცელება დაიწყო თამბაქოს კულტურამ. პირველ რიგში თამბაქოს პლანტაციები გაჩნდა სოხუმის, ბათუმის და ართვინის ოკრუგებში. ამ რეგიონებში მოყვანილი პროდუქცია თურქულ თამბაქოს წარმატებით უწევდა კონკურენციას. ბათუმის ოკრუგში პლანტაციების რაოდენობა იყო 445, რომელსაც ეკავა 90 დესეტინა და 2230 საჟენი, ხოლო მოსავალი შეადგენდა 3.809 ფუთს. ფასი მერყეობდა 3 დან 12 მანეთამდე ფუთზე და ერთი დესეტინა თამბაქოს პლანტაცია 212 მანეთ წმინდა მოგებას იძლეოდა.

საინტერესო მონაცემებია ჩაის კულტურის გავრცელების შესახებ ქუთაისის გუბერნიაში, კონკრეტულად ბათუმის ოკრუგში. აქ ჩაის გავრცელების პიონერი და თაოსანი იყო გადამდგარი ინჟინერი, პოლკოვნიკი ალექსანდრე სოლოვცევი, რომელმაც 1886 წელს გამოიწერა და ბათუმის მახლობლად დარგო ჩაის ბუჩქები. ეს ცდა წარმატებით დასრულდა. 1894 წელს ადგილობრივი ადმინისტრაციის თანდასწრებით დაიწყო ჩაის პირველი კრეფა. ა. სოლოვცევმა და მისმა მოურავმა ლისენკომ ბათუმის ოკრუგში ფართოდ გაავრცელეს ჩაის კულტურა.

“მიმოხილვაში” წარმოდგენილია გუბერნიის როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვაჭრობა. საშინაო ვაჭრობა შედარებით სუსტად იყო განვითარებული და თავმოყრილი იყო ძირითადად ქალაქებსა და დაბებში. წლის განმავლობაში გაიცა 10.106 სავაჭრო დოკუმენტი, საიდანაც შემოსავალი 164.735 მანეთს უდრიდა. ბათუმის ოკრუგის ხაზინის მონაცემებით გაიცა 1.394 ნებართვა და მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 32.746 მანეთი. ქალაქ ბათუმში მოქმედებდა 13 საწარმო, მოგება – 27.300 მან.

ქუთაისის გუბერნიას თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, განსაკუთრებით ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის გაყვანის შემდეგ, აღმოსავლეთის ქვეყნებთან რუსეთის სატრანზიტო ვაჭრობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბათუმი და ფოთი უცხოეთის და რუსეთის საქონლის გატანის და შემოტანის ძირითადი პუნქტები გახდნენ. ბათუმის მთავარ სასაწყობო საბაჟოდან

1894 წელს შემოტანილი იქნა 4.174. 279 ფუთი საქონელი, რომლის ღირებულება 3.072.826 მან. უდრიდა, ხოლო გატანილი იქნა 51.341.329 ფუთი საქონელი 19.440.357 მანეთის ღირებულების **[Обзор Кутаисской губернии, 1894: 28]** გუბერნიაში არსებობდა საკრედიტო დაწესებულებები. ქალაქ ბათუმში ფუნქციონირებდა სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება და თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილება.

1894 წელს ქუთაისის გუბერნიის სამშენებლო სამმართველოს განყოფილებამ ბათუმში შეაკეთა სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის ბინა, რაც 788 მანეთი დაჯდა.

გრძელდებოდა ბათუმის პორტის კეთილმოწყობა. იმპერიის სახელმწიფო საბჭომ ასიგნაციის სახით ბათუმისათვის 750.000 მანეთი გამოყო.

ბათუმში ფუნქციონირებდა 2 ბიბლიოთეკა, 2 წიგნის მაღაზია და 4 სტამბა.1894 წლისათვის ქუთაისის გუბერნიაში ორი საქველმოქმედო საზოგადოება არსებობდა – ქუთაისის და ბათუმის. გარდა ამისა, წითელი ჯვრის რუსეთის საზოგადოების ქუთაისის ადგილობრივი განყოფილება და კავკასიის სომხური საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილება.

საინტერესოა ასევე გავეცნოთ 1900 წლის "ქუთაისის გუბერნიის მიმოხილვას". ბათუმს თავისი სამეურნეო ხარჯებისათვის გააჩნდა ორი სახის შემოსავალი: საერთო-საქალაქო და სპეციალური – ნავსადგურიდან მიღებული შემოსავლები, რაც 1891 წლის 12 მარტის და 1900 წლის 6 მარტის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით, ძირითადად განკუთვნილი იყო ნავსადგურთან მისასვლელი გზების და თვით ნავსადგურის კეთილმოწყობისათვის.

1898 წელს იმპერატორის ბრძანებით, ბათუმისათვის გამოყოფილი იქნა 600.000 მანეთი, რომელიც მოხმარდა დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის ვაჟთა გიმნაზიის შენობის მშენებლობას, სახანძრო ნაწილის გაუმჯობესებას, საქალაქო სასწავლებელს, საქალაქო-საზოგადოებრივ სახლს და საქალაქო ლომბარდის ძირითადი კაპიტალის შექმნას.

1900 წლისათვის ბათუმის შემოსავლების პუნქტები :

შემოსავლები **დაგეგმილი**
სინამდვილეში შემოსული

შეფასებითი მოსაკრებელი **105.545**
88.276
სავაჭრო და სამეწარმეო **30.459**
32.850
მოსაკრებელი
საბაჟო მოსაკრებელი **5.769**
8.898
საქალაქო ნაგებობები **22.625**
23.204
და საწარმოები
სხვადასხვა შემოსავლები **8.535**
12.392
სულ: **246.240**
233.340

ქალაქი თავის შემოსავალს ძირითადად ხარჯავდა: სამთავრობო დაწესებულებების, საქალაქო საზოგადოებრივი მმართველობის შესანახად, ციხეების განათების და გათბობისათვის, ყაზარმებისათვის, პოლიციისათვის, სახანძრო ნაწილისათვის, ქალაქის კეთილმოწყობისათვის, საქალაქო შენობებისათვის, სახალხო განათლებისათვის, სამედიცინო, ვეტერინარული და სანიტარული საქმისათვის, ვალების გადახდისათვის. ჯამში – 270.230 მანეთი. 1897 წლის მინისტრთა კომიტეტის დადგენილებით, 1899 წელს ბათუმის შემოგარენში

დაიწყო ჭაობების დაშრობა, რისთვისაც გამოყოფილი იქნა 153.567 მანეთი **[Обзор Кутаисской губернии 1900: 73-76].**

“მიმოხილვები” თავიანთი ფორმით და ნაწილობრივ შინაარსითაც ტრაფარეტულია, ზოგჯერ მასალა მეორდება, მაგრამ მათში თავმოყრილი უხვი სტატისტიკური მონაცემები, რომელთა დალაგება წლების მიხედვით, მოვლენის დინამიკაში შესწავლის საშუალებას იძლევა, რადგანაც “ქუთაისის გუბერნიის მიმოხილვები” დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალი ისტორიის მნიშვნელოვანი წყაროა.

ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია ბათუმის ნოტარიუსის ფონდი (# 12), რომელიც მოიცავს 1879-1919 წლების დოკუმენტებს და მასში გაერთიანებულია 216 საქმე. აღნიშნულ ფონდში თავმოყრილი მასალა თითქმის უცნობია სამეცნიერო წრეებისათვის. დოკუმენტებიდან კარგად ჩანს XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ბათუმში არსებული ან ამ ქალაქთან დაკავშირებული სააქციონერო საზოგადოებების და ფირმების საქმიანობა, მათი როლი ბათუმის ეკონომიკურ და ფინანსურ ცხოვრებაში.

რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკა აჭარაში, როგორც მთელ ამიერკავკასიაში, მთელი XIX და XX საუკუნის დასაწყისში, გზას უხსნიდა უცხოურ კაპიტალს, რომელზედაც თვით იყო დამოკიდებული, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები დაუბრკოლებლად ეძარცვა. შედეგად, რეგიონის ეკონომიკური ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდნენ უცხოური კაპიტალით შექმნილი სააქციო საზოგადოებები და ფირმები. ხშირ შემთხვევაში უგულველყოფილი იყო აჭარის მოსახლეობის ინტერესები. უცხოური კაპიტალის წარმომადგენლები ხელს უშლიდნენ დამამუშავებელი ეროვნული მრეწველობის შექმნას, რადგან მათი მიზანი იყო მომპოვებელი სექტორის (მარგანეცი, ქვანახშირი, ნავთობი) განვითარება და ამით რაც შეიძლება მეტი მოგების მიღება. აქცენტი კეთდებოდა გადაუმუშავებელი ნედლეულის საზღვარგარეთის ქვეყნებში გატანაზე. ამის გამო, ეკონომიკურ განვითარებას ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა. ეკონომიკის წამყვან დარგებს ძირითადად უცხოური კაპიტალის წარმომადგენლებისაგან შემდგარი სააქციო საზოგადოებები და

ფირმები დაეუფლნენ. რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ, მათი დახმარებით, მიზნად დაისახა საერთოკავკასიური ეკონომიკური რეგიონის შექმნა და საერთოიმპერიულ ეკონომიკურ სივრცესთან მისი დაჩქარებული ინტეგრაცია. მთავრობის ჩანაფიქრით, რეგიონის ეკონომიკური პოტენციალი მთლიანად უნდა დაქვემდებარებოდა რუსეთის იმპერიის და საგარეო ბაზრის მოთხოვნებს. ამასთანავე, ხელისუფლება სკეპტიკურად იყო განწყობილი ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ, მიაჩნდა იგი ჩამორჩენილ, ბნელ მასად, ამიტომ რეგიონის ათვისების პროცესში ინტენსიურად ჩართო უცხოელი მეწარმეები.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან რუსეთის იმპერიის ეკონომიკამ სწრაფი განვითარება დაიწყო, რაც რეფორმებთან ერთად განპირობებული იყო უცხოური კაპიტალის მოზიდვით. ამან გამოიწვია ამიერკავკასიის და საქართველოს შედარებითი ეკონომიკური განვითარება. თბილისის შემდეგ საქართველოში ბათუმი წარმოადგენდა უმსხვილეს სამრეწველო ცენტრს.

ჯერ კიდევ პორტო ფრანკოს სტატუსის გაუქმებამდე, 1883 წელს სამტრედია-ბათუმის რკინიგზის მშენებლობა დასრულდა, რითაც ბათუმი ამიერკავკასიის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის პუნქტებს - თბილისს და ბაქოს დაუკავშირდა. 80-იანი წლებიდან ბათუმიდან განხორციელებული ექსპორტის დიდი წილი ბაქოს ნავთობზე მოდიოდა. 1900 წელს საბოლოოდ დასრულდა ნავთობსადენის მშენებლობა ბაქოსა და ბათუმს შორის, რის შემდეგაც ნავთობის ექსპორტი მთლიანად ბათუმიდან წარმოებდა [**მეგრელიძე, 1963:185**].

1886 წელს რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ ბათუმის პორტო ფრანკოს სტატუსი გააუქმა და ქალაქი სრულფასოვნად ჩაერთო რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ სისტემაში. ბათუმის სამრეწველო განვითარება განსაკუთრებით დააჩქარა XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან ბაქოს ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ექსპორტის დაწყებამ. ბათუმის ნავსადგურიდან ხდებოდა ძირითადად ბაქოს ნავთობის ექსპორტი, ამიტომ ქალაქში განვითარებული იყო ნავთობის გადამამუშავებელი და საექსპორტო ჭურჭლის მწარმოებელი ინფრასტრუქტურა.

ბიდონების დამამზადებელ ქარხნებს, საწარმოთა სიდიდით და მუშების რაოდენობით, ბათუმის საწარმოთა შორის პირველი ადგილი ეჭირათ. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველები იყვნენ ბუნგე და პალაშკოვსკი, რომლებმაც 1883 წელს დაარსეს „ბათუმის ნავთობმწარმოებელი და სავაჭრო საზოგადოება“. ისინი ყოველდღიურად აწარმოებდნენ 6.000 ხის ყუთს და 12.000 თუნუქის ბიდონს. 1883 წელს ბათუმიდან გატანილი იქნა 3 მილიონ ფუთზე მეტი ნავთობი. მაგრამ ფინანსური სიძნელეების გამო, 1886 წლიდან აღნიშნული საზოგადოება გადაეცა „კასპია-შავი ზღვის ნავთის სამრეწველო და სავაჭრო საზოგადოებას“, რომელსაც როტშილდების ფრანგული განშტოების მეთაური მაიერ ალფონს დე როტშილდი ფლობდა. მალე როტშილდების კომპანია გახდა სიდიდით მეორე, რომელიც მოიპოვებდა ბაქოს ნავთობს. ამავე დროს როტშილდებმა ბათუმში შექმნეს ნავთობის რეზერვუარების საცავი [**საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970:385**] 1889 წლისათვის „კასპია-შავი ზღვის ნავთის სამრეწველო და სავაჭრო საზოგადოება“ აწარმოებდა 30 მილიონ ფუთ ნავთობს. როტშილდების ნავთობი ბათუმის გავლით გადიოდა: ინგლისში, ავსტრიაში, თურქეთში, ბელგიაში, იაპონიაში, საბერძნეთში, ჩინეთში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, მალტაში, პორტუგალიაში, ალჟირში, ფილიპინებში, ქვემო დუნაის სამთავროებში და ინდოჩინეთში. კომპანიის მმართველობას აწარმოებდა სამეული: მორის ეფრუსი, თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკი (იგი „საქორწილო გენერლის“ ფუნქციას ასრულებდა) და არნოლდ ფეიგელი.[**მუშკუდიანი, 1973: 177**].

როგორც ცნობილია, იმპერატორ ალექსანდრე III-ის 1888 წლის 28 აპრილის ბრძანებულებით, ბათუმში მუშაობა დაიწყო საქალაქო მმართველობამ. ქალაქის მმართველობაში უპირატესობის მოპოვებისათვის ერთმანეთს დაუპირისპირდა ადგილობრივი და უცხოური ბურჟუაზია. არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე ანუ ცენზიან მოქალაქეთა ქონების 1/3-ს აკონტროლებდა ალფონს დე როტშილდი. სარგებლობდა რა ამ უპირატესობით, იგი ცდილობდა ხმოსნებად მისთვის სასურველი კანდიდატები გაეყვანა [**გურული, 2018: 341-342**].

1885 წელს ბათუმში გაიხსნა სიდერიდისის და რიხნერის, ხოლო 1887 წელს - ხაჩატურიანის, მანთაშევის და ძმები ცივიანოვების ქარხნები, რომლებიც ნავთობის ექსპორტისათვის საჭირო ხის ყუთებს და თუნუქის ბიდონებს აწარმოებდნენ. XIX საუკუნის ბოლოს აღნიშნულ საწარმოებში 2 ათასზე მეტი მუშა იყო დასაქმებული და გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 7 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენდა. სულ ბათუმში დაამზადეს 22 მილიონი თუნუქის და 11 მილიონი ხის ყუთი. ბათუმის პორტიდან წლიურად 20 მილიონამდე ნავთობი გადიოდა [**საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970: 385**].

XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან ბათუმის პორტს სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით, რუსეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. როგორც სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებენ, იმპერიის სატრანზიტო და საგარეო ვაჭრობაში ბათუმის მონაწილეობის მასშტაბი ყოველწლიურად იზრდებოდა. 1883-1902 წლებში ბათუმიდან უცხოეთის ქვეყნებში გაიტანეს: 1883 წელს _ 3.348.000 ფუთი ნავთობი, 1886 წელს _ 14.397.000 ფუთი, 1890 წელს როტშილდმა _ 16.000.000 ფუთი, ნობელმა _ 7.000.000 ფუთი, 1891 წელს _ 48.879.000 ფუთი, 1899 წელს _ 66.304.000 ფუთი, 1902 წელს _ 78.338.000 ფუთი. ბათუმის ნავსადგური მსოფლიოს დიდ ნავსადგურთა რიგში ჩადგა. 1900 წელს ნავსადგურში 1.324 ორთქლის და 3.635 იალქნიანი გემი შემოვიდა. 1900 წელს ბათუმიდან რუსეთში გაიტანეს 4.805.000 ფუთი ტვირთი, ევროპის და აზიის ქვეყნებში _ 83.100.000 ფუთი. რუსეთიდან ბათუმში შემოვიდა 9.464.577 ფუთი ტვირთი, ევროპის და აზიის ქვეყნებიდან _ 5.516.000 ფუთი. 1900 წელს ბათუმის ნავსადგურის მთელი ტვირთბრუნვა 103.000.000 ფუთს უდრიდა. 1902 წელს _ 108.000.000 ფუთს. ნავსადგურის ტვირთბრუნვის 80 %-ზე მეტი ნავთობზე მოდიოდა [**გურული, 2018: 341**]. აღსანიშნავია, რომ ბათუმის პორტის გავლით, უკვე 1913 წლისათვის, 30-ზე მეტი სხვადასხვა კომპანია აწარმოებდა რუსეთის იმპერიის საგარეო ვაჭრობას. აქედან 25 იყო უცხოური, ძირითადში: ფრანგული, ინგლისური და გერმანული.

ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული ბათუმის ნოტარიუსის ფონდის მასალებში განხილულია ბათუმში მოქმედი უცხოელი, ძირითადად, ევროპელი ბიზმესმენების მიერ დაარსებული:

ფირმები და სააქციონერო საზოგადოებები

„სიმენსი და ჰალსკე“

„გოლერტი“

„ვარნეკე და კომპანია“

„კორნარო და კომპანია“

„რუსული ნავთობის მოპოვების საზოგადოება“

„რუსული ნავთობისა და თხევადი საწვავის მომპოვებელი საზოგადოება“

„ცემენტის წარმოების საზოგადოება“

„შავი ზღვის ცემენტის წარმოების საზოგადოება“

„ნავთობწარმოების საზოგადოება“

„ნავთობწარმოებელი და სავაჭრო საზოგადოება - მანთაშევი და კომპანია“

„კასპია - შავი ზღვის ნავთობმწარმოებელი და სავაჭრო საზოგადოება“

„ი. შელენგოვსკი და კომპანია“

„კავკასიის ვარსკვლავი“

„ბათუმის ნავთობსამრეწველო საზოგადოება“

„ამხანაგობა ძმები ნობელები“

„ნდობის საზოგადოება ი. შელენგოვსკი და კომპანია“

„ნავთობის წარმოების ამხანაგობა“

„ნობელის ნავთობის წარმოების ამხანაგობა“

„მინერალური ზეთების წარმოების ამხანაგობა“

„ბათუმის ურთიერთნდობის კრედიტის საზოგადოება“

სავაჭრო სახლები:

„ხაჩატრიანცი და კომპანია“

„არამიანი, სარუხანიანი და კომპანია“

„ბერნარტდი და კომპანია“

„ბურკრატდი და კომპანია“

„მაკ ანდრიუსი და ფორბსი“

„მანთაშევი და კომპანია“

„ს. ა. ანისიმოვი და კომპანია“

„ხრუსაკი და გირი“

„ცატუროვი და კომპანია“

„შუტცი და ციმერმანი“

„ბერტმანი და კარპოვსკი“

„ფ. მატიევიჩი“

„ხრუსაკი და რიზი“ [**ქცსა, ბათუმის ნოტარიუსის ფონდი # 12**].

რადგანაც ევროპელების ინტერესები ბათუმისადმი მუდმივად იზრდებოდა, აქედან გამომდინარე, ბათუმში მოქმედებდა ინგლისის, საფრანგეთის, ესპანეთის,

ოსმალეთის, გერმანიის, ავსტრიის, ბელგიის, ამერიკის შეერთებული შტატების და იტალიის დიპლომატიური წარმომადგენლობები.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ბათუმში მრეწველობის განვითარებამ დააჩქარა და საჭირო გახადა საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებების გახსნა. 1886 წელს ბათუმში მუშაობა დაიწყო რუსეთის სახელმწიფო ბანკის განყოფილებამ, 1890 წელს გაიხსნა თბილისის კომერციული ბანკის განყოფილება, 1895 წელს - სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკის განყოფილება. ბათუმში საბანკო-საფინანსო ოპერაციებს ახორციელებდნენ თბილისის და ქუთაისის გუბერნიების სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკები [**გურული, 2018: 342**].

ბათუმის ნოტარიუსის ფონდში დაცული დოკუმენტების შესწავლა და გამოქვეყნება ხელს შეუწყობს XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ბათუმის ეკონომიკური ისტორიის შესწავლას.

დასავლეთ საქართველოში რუსეთს მთელი XIX საუკუნის მანძილზე, ოსმალეთთან გამუდმებული ომების გამო, დიდი რაოდენობით ჯარი ჰყავდა თავმოყრილი. გარდა ამისა, სამთავროების გაუქმების და რუსული ხელისუფლების გაფართოებასთან ერთად, სულ უფრო იზრდებოდა რუსული მმართველობის ბიუროკრატიული აპარატი და რუსული მოსახლეობის რიცხვი. ამასთან დაკავშირებით, საჭირო გახდა ჯერ არმიის, შემდეგ რუსი ჩინოვნიკების და მათი ოჯახების და საერთოდ რუსული მოსახლეობის ცხოვრებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა. ამასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა დაპყრობილ ქვეყანაში პოლიტიკური ბატონობისათვის ეკონომიკური საფუძვლის შექმნა, რაშიც პირველხარისხოვანი როლი უნდა შეესრულებია საადგილმამულო ურთიერთობათა გარდაქმნას, სოფლის მეურნეობის და მრეწველობის იმ დარგების განვითარებას, რომლებიც რუსეთის სახელმწიფოს ჭირდებოდა, სამიმოსვლო გზების მოწესრიგებას და სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესებას. დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო თავისი ბუნებრივ-გეოგრაფიული მონაცემებით: ზღვასთან სიახლოვე, ზომიერი, სუბტროპიკული

კლიმატი, ნოყიერი ნიადაგი, ტყეების დიდი რაოდენობა, წარსულში ადგილობრივი მოსახლეობის მაღალი სამიწათმოქმედო კულტურა და მისი ტრადიციები, წიაღისეული სიმდიდრეების მრავალფეროვნება, შესაძლებელს ხდიდა, რომ ეს რეგიონი რუსეთის სახელმწიფოს ერთ-ერთ ეკონომიკურად დაწინაურებულ მხარედ გადაქცეულიყო. მაგრამ ჩამორჩენილ, ბატონყმურ, ხოლო XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ნახევრადფეოდალურ რუსეთს, რომელიც თვით იყო დამოკიდებული დასავლეთ ევროპის კაპიტალზე, არ შეეძლო და არც მის ინტერესებში შედიოდა ამის გაკეთება. რუსეთის მთავრობის ჩანაფიქრით, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი მთლიანად უნდა დაქვემდებარებოდა იმპერიის მეურნეობის და საგარეო ბაზრის მოთხოვნებს. ეს კარგად ჩანს კავკასიის მთავარმმართველის გენერალ: ი. პასკევიჩის 1830 წლის წერილიდან ფინანსთა მინისტრისადმი კანკრინისადმი: „ქარხნების და ფაბრიკების დამაარსებელთათვის, ზოგიერთი პრივილეგიის მინიჭება საეჭვოა რომ საჭირო იყოს, რადგან მე გადაწყვეტილად მიმაჩნია საკითხი _ საქართველოში ფაბრიკების და ქარხნების წახალისების სარგებლიანობის შესახებ. განა არ უნდა ვუყურებდეთ საქართველოს როგორც კოლონიას? რომელიც ჩვენს ფაბრიკებს მიაწვდიდა ნედლ მასალას (აბრეშუმს, ბამბას და სხვ.), ხოლო რუსეთიდან მიიღებდა მანუფაქტურულ ნაკეთობას. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში ასეთი მანუფაქტურების დაარსებით ბუნებრივად ხომ არ შესუსტდება მისი კავშირი რუსეთთან?“ ამ პოზიციას ეთანხმებოდა სენატორი განიც და თავის მხრივ ამატებდა: „საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში, უნდა განვითარდეს მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მეურნეობა. ფაბრიკების და მანუფაქტურების დაარსება აქ ძალას წაართმევს და შეასუსტებს სოფლის მეურნეობის განვითარებას...ზიანს მიაყენებს რუსეთის მრეწველობას და ვაჭრობას. რაც შეეხება ამიერკავკასიაში მოყვანილ ნედლეულს, მისი გამოყენება და გადამუშავება მხოლოდ რუსეთის მრეწველობას შეუძლია“ **[რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ისტორიიდან საქართველოში 2008: 80]**.

რუსეთის ადმინისტრაცია არ იცნობდა მხარის თავისებურებებს, სკეპტიკურად იყო განწყობილი ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ნიჭის და შესაძლებლობებისადმი, მიაჩნდა იგი ჩამორჩენილ და განუვითარებელ ბნელ მასად, რომლის გარუსება ძნელი საქმე აღმოჩნდა და რომელიც მისთვის პოლიტიკურად არასაიმედო იყო. ამიტომ მან მხარის ეკონომიკური ათვისების პროცესში ჩართო უცხოელი საქმოსნები, რომელთა ძირითადი ნაწილი ავანტიურისტი და იოლი გზით გამდიდრების მაძიებლები იყვნენ. ეს აშკარა გახდა,როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე მრეწველობაში **[ვაჭრიძე, 2006: 194-195]**.

რუსული ხელისუფლების განმტკიცება ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი იქნებოდა მისი ეკონომიკური საყრდენი. ამ უკანასკნელის შექმნა კი სოფლის მეურნეობის აღდგენით და მისი შემდგომი განვითარებით უნდა დაწყებულიყო, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის, მატერიალური დოვლათის ძირითადი მწარმოებლის, გადასახადების გადახდისუნარიან ძალად გადაქცევა, სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა და რუსეთის მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის წარმოება.

დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო, ისტორიულად მრავალდარგოვანი იყო. მის ტრადიციულ დარგებს შეადგენდა: მემინდვრეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მეხილეობა-მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მეფრინველეობა, აბრეშუმის წარმოება, მეფუტკრეობა და სხვა. მთავრობის აგრარული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა სოფლის მეურნეობის იმ დარგების დაწინაურებას და აღმავლობას, რასაც იმპერიის ეკონომიკური ინტერესები მოითხოვდა, ღონისძიებათა მთელი კომპლექსისგან შედგებოდა. სოფლის მეურნეობისადმი მთავრობის ყურადღება, თავდაპირველად, შერეული ტიპის დეკორატიულ-სამეურნეო ხასიათის საცდელი-საჩვენებელი ბაღების და სანერგეების დაარსებაში გამოვლინდა. დეკორატიულ და ეგზოტიკურ მცენარეებთან ერთად რგავდნენ საზღვარგარეთიდან გამოწერილ ხეხილის ხეებს, ვაზს, ადგილობრივი პირობების გათვალისწინების გარეშე, რის გამო ზოგიერთი ვერ ეგუებოდა ახალ

გარემოს და ხმებოდა. ამ საქმეს კურირებდნენ რუსული ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირები, რომელთათვის მებაღეობა ან გატაცება იყო (მაგალითად, კ. ბოროზდინის ცნობით, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ა. გაგარინი) ან კიდევ თავის მოსაწონებელი საქმიანობა, იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ზრუნავდა სამართავად ჩაბარებულ ჩამორჩენილი მხარის კეთილდღეობისათვის.

დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი პირველი ასეთი ბაღი 1820 წელს მოაწყო იმერეთის მმართველმა პ. გორჩაკოვმა. იგი ქალაქის ცენტრში მდებარეობდა და ეკავა დაახლოებით ერთი დესეტინა ფართობი. მისი დაწყებული საქმე გააგრძელა იმერეთის ახალმა მმართველმა ვ. ბებუთოვმა. ასე ჩაეყარა საფუძველი შემდეგდროინდელ ბულვარს, რომელიც საბოლოოდ მოეწყო XIX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ა. გაგარინის დროს [**ბოროზდინი, 1934: 195, Лаврентьев 1858: 92**].

დასავლეთ საქართველოში დეკორატიულ-სამეურნეო მებაღეობას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა 1834 წლის კანონის „კავკასიაში მებაღეობისათვის მიწების გამოყოფის შესახებ“ გამოცემის შემდეგ. მ. ვორონცოვის მეფისნაცვლობის დროს, მისი ინიციატივით, 1846 წელს კავკასიის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც კავკასიაში მებაღეობა და მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მიზნით, რამდენიმე ადგილზე, მათ შორის ქუთაისში, ფოთსა და ოზურგეთში საბაღე სანერგეების დაარსებას ითვალისწინებდა. მ. ვორონცოვი თავის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ სურდა იმერეთსა და გურიაში, საერთოდ ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში ყოფილიყო ისეთი დაწესებულება, რომელიც მსურველებს ყვავილებისა და ხეხილის ნერგებით მოამარაგებდა. 1852 წელს ქუთაისში მართლაც გაკეთდა სახაზინო სანერგე დიდი სანიმუშო-საჩვენებელი ბაღით, ფერმით და სკოლით, რომელსაც იმდროინდელი მოწინავე, პრაქტიკული აგრონომიული ცოდნა-ჩვევები უნდა გაევრცელებინა იმერეთში. 1855 წელს იქვე ჩამოყალიბდა მებაღეობის სკოლა, რითაც მას სასწავლო დანიშნულება მისცეს. ამ სკოლის თანამშრომლები სხვადასხვა დროს იყვნენ: ფრანგი რეგნერი და მიშელ ვერსიე, შოტლანდიელი იაკობ

მარი, ავსტრიელი ბარტონი, ჩეხი გორაჩეკი და სხვები. 1868 წელს მეფისნაცვლის განკარგულებით, ჭომის ფერმა-სანერგე და მასთან არსებული სკოლა ქალაქს გადაეცა.

XIX საუკუნის 60-70-იანი წლების ბურჟუაზიული რეფორმების შემდეგ, მთავრობის ყურადღება სოფლის მეურნეობისადმი კიდევ უფრო გაიზარდა. სახაზინო სანიმუშო-სამეურნეო ბაღებზე ზრუნვასთან ერთად ტარდებოდა ღონისძიებები კერძო პირების მიერ რაციონალური, ბურჟუაზიული ხასიათის მეურნეობების მოწყობის მხარდასაჭერად, რაც, პირველ რიგში, შეღავათიანი კრედიტის მიცემას გულისხმობდა. ქართველ მემამულეთა ერთი ნაწილი, რომელმაც ალღო აუღო ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებს, ენერგიულად შეუდგა თავისი მეურნეობის ბურჟუაზიულ გარდაქმნას.

1894 წელს სახელმწიფო ქონების ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოში შედგა სია ქუთაისის გუბერნიაში არსებული იმ მამულებისა, რომლებიც თავისი მეურნეობით და მიწათმოქმედების კულტურის დონით, სანიმუშო იყვნენ მოსახლეობისათვის და სასარგებლო იყო მათი მონაწილეობა 1896 წელს დაგეგმილ სრულიად რუსეთის XVI სამხატვრო-სამრეწველო გამოფენის (ჩატარდა ნიჟნი ნოვგოროდში) მუშაობაში. მასში შეტანილია შემდეგი სანიმუშო მამულები: ქალაქ ქუთაისში - ფრანგი ჟანიოს, ჩეხი გორაჩეკის და თავად წულუკიძის მამულები; ზუგდიდში - პრინც მიურატის მემკვიდრეების ვაზის და ხეხილის ბაღი, სოხუმის ოკრუგში - დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის, ვედენსკის, ტატარენკოს, პოლკ. ნიკიტინის, სმიტსკების და რეინგარტის მამულები; ბათუმის ოკრუგში - ჩაქვის ახლოს ალექსანდრე სტოიანოვის სამხრეთული მცენარეების დეკორატიული პარკი, ელენე ვუჩინოს დეკორატიული, ხეხილის სამრეწველო ბაღი ჩაის პატარა პლანტაციით, მიჩესლავ დე ’ალფონსის დეკორატიული და ხეხილის ბაღი, პოპოვის ჩაის პლანტაციები; ქალაქ ბათუმში - მიხეილ ბეთანელის საბაღო დაწესებულება [ქცსა, ფ. 18: 24-25] აღნიშნული სია კარგად ასახავს რუსეთის აგრარული პოლიტიკის არსს. კურსი აღებულია უცხოელებზე, რითაც ნაჩვენებია, რომ მხოლოდ ისინი ასრულებდნენ წამყვან როლს მხარის სოფლის მეურნეობის ევროპულ საწყისებზე გარდაქმნის საქმეში.

რუსეთის მთავრობა დაბეჯითებით ცდილობდა დასავლეთ საქართველოში სუბტროპიკული კულტურების, პირველ რიგში, ჩაის გავრცელებას. 1847 წელს მ. ვორონცოვის ინიციატივით, ყირიმიდან ჩაის ბუჩქები შემოიტანეს სოხუმში და ოზურგეთში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებში დაიწყო ჩაის საცდელი ნაკვეთების მოწყობა. ჩაის კულტურით კერძო მრეწველები: ა. სოლოვცევი, ნ. ზეიდლიცი, კ. პოპოვი და სხვ. დაინტერესდნენ, რასაც თან მოყვა აჭარაში ჩაის ორი მსხვილი მეურნეობის -კ. პოპოვის და ჩაქვის საუფლისწულო უწყების შექმნა [**Верц: 1912, 224-234**].

იმპერიაში უდიდეს მიწათმფლობელად ითვლებოდა საუფლისწულო უწყება, რომელიც მთავრობას ეხმარებოდა დაპყრობილი ტერიტორიების კოლონიურ-ეკონომიკურ ათვისებაში. 1865-1897 წლებში რომანოვთა საგვარეულომ საქართველოში იყიდა 100 ათასი დესეტინა მიწა, სადაც ხელსაყრელი პირობები არსებობდა მევენახეობა-მეღვინეობის, მებამბეობის, ჩაის და ციტრუსის მეურნეობის განვითარებისათვის. XIX საუკუნის 90-იანი წლებში საუფლისწულო უწყებამ საფუძველი ჩაუყარა ჩაის და სუბტროპიკული კულტურების დიდ მეურნეობას აჭარაში. 1897 წელს რომანოვთა საგვარეულოს გადაეცა ჩაქვის მიდამოებში არსებული სახაზინო მამული 10.225 დესეტინა ფართობით, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობისაგან უწყებამ შეიძინა 2.228 დესეტინა. ჩაის მზა პროდუქცია თითქმის მთლიანად რუსეთში იგზავნებოდა. უწყების მიზანი იყო ჩინური და ინდური ჩაის იმპორტის ჩანაცვლება საქართველოს შავიზღვისპირეთში დამზადებული პროდუქციით **[რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ისტორიიდან საქართველოში, ტ.I ,2008: 172-173]**.

ქართული მიწების ხელში ჩაგდებას და მფლობელ-მესაკუთრედ გადაქცევას ცდილობდნენ რუსი მრეწველები და ვაჭრები. XIX საუკუნის ბოლოს ბათუმის ოლქში საკმაო რაოდენობით იყვნენ ახალი მფლობელები. 1902 წლის მთავრობის დადგენილებით, მათ საკუთრებაში დაუმტკიცდათ მახინჯაურში, აჩკუაში, ჩაქვში, ქობულეთში შეძენილი მიწები, რადგან მოსულ მფლობელთა დიდი ნაწილი რუსი იყო

და მათ მეურნეობას „კულტურული“ მნიშვნელობა ჰქონდა. მემკვიდრეობითი მფლობელის და მესაკუთრის უფლება მოიპოვეს: ბერტუსონმა, დზიუბენკომ, ლენცმა, მარკოვმა და მხოლოდ ორმა ქრისტიანმა ქართველმა. 1903 წლისთვის ბათუმის ოლქში მათ საკუთრებაში ჰქონდათ 23.500 დესეტინა მიწა **[რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ისტორიიდან საქართველოში,ტ.I, 2008 :173-174]**.

რუსული მმართველობის აგრარული პოლიტიკის სამსახურში იდგა ხელისუფლების მიერ შექმნილი ისეთი სოლიდური ორგანიზაცია, როგორიც იყო „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება“ (1850-1917). იგი წარმოადგენდა კავკასიის ადმინისტრაციის ერთ-ერთ საიმედო დასაყრდენს დაპყრობილი მხარის ეკონომიკური ათვისების პროცესში. აღნიშნული საზოგადოება პერიოდულად აქვეყნებდა სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე სპეციალურ ლიტერატურას, კავკასიის მასშტაბით, თბილისში ყოველწლიურად აწყობდა დარგობრივ ან საერთო ხასიათის სასოფლო-სამეურნეო გამოფენებს. სათავეში ედგა მსოფლიოსა და რუსეთის ანალოგიურ გამოფენებზე საქართველოს მონაწილეობის საქმეს.

„კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ განყოფილებები XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან არსებობდა აჭარაში და აფხაზეთში. მათ სათავეში რუსები და რუსეთის სამსახურში მყოფი უცხოელები იდგნენ, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ ხელისუფლებას აჭარის და აფხაზეთის კოლონიზაციის პოლიტიკის გატარებაში.

მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს, მიუხედავად ცალკეული დადებითი შედეგებისა, საერთოდ არ მოჰყოლია სოფლის მეურნეობის ძირეული გარდაქმნა, მისი მკვეთრი აღმავლობა. რუსულ მმართველობას ქართველი გლეხისათვის არ შეუქმნია მშვიდი, სამართლებრივ-ეკონომიკური გარემო, რომელშიც იგი შეძლებდა გამოემჟღავნებია თავისი სამეურნეო უნარი, ეფიქრა სიახლეებზე სოფლის მეურნეობაში. ყოველივე ამას ემატებოდა სახელმწიფოებრივი მმართველობის აპარატში გამეფებული ზღვარგადასული ბიუროკრატიზმი და მექრთამეობა, განაპირა

მხარეებში ეკონომიკური პოლიტიკის თვითმპყრობელური , წინააღმდეგობრივი და არათანმიმდევრული ხასიათი.

თავი II

ქუთაისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკი

& 1

საბანკო - საფინანსო საქმის დაარსების ისტორიიდან თბილისსა და ქუთაისში XIX საუკუნეში

XIX საუკუნე საქართველოს ისტორიაში მეტად რთული და წინააღმდეგობრივი იყო ეროვნული ინტერესების დაცვის და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების თვალსაზრისით, ჩვენი წინაპრები შეზღუდული შესაძლებლობის პირობებშიც კი ახერხებდნენ საქმიანობას სხვადასხვა სფეროში, საილუსტრაციოდ და განსახილველად ნაშრომში წარმოდგენილია ეკონომიკის სფერო , საბანკო - საფინანსო საქმის წარმოება და ჩამოყალიბების ისტორია საქართველოში.

თანამედროვე საბანკო-საფინანსო სისიტემის საფუძვლების შექმნა ილია ჭავჭავაძის ეპოქას და მის სახელს უკავშირდება XIX-ე საუკუნის მეორე ნახევარი ის გამონაკლისი პერიოდი იყო , როცა დამოუკიდებლობა დაკარგულ საქართველოში საკუთარი ფულის არარსებობის პირობებშიც კი , პირველი ქართული ბანკი მრავალი წლის განმავლობაში ეროვნულ ფუნქციას ინარჩუნებდა და ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის ეკონომიკურ საფუძვლებს ქმნიდა , ბანკს ამ დროისთვის ქართველთა ფიზიკური და ზნეობრივი სიმყარის მისია ეკისრებოდა, ის იყო ერის თვითმოქმედების მატერიალური სარბიელი საქ-ში.

„დღეს შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა, ჩვენთვის მარტო ბანკია ის მოედანი, რომელზეც უნდა აღიზარდოს , ფეხი აიდგას, გაიწურთნოს, გაინავარდოს ჩვენმა თვითმოქმედებამ, ჩვენმა ზნეობრივმა ძალ-ღონემ. ვისაც ჩვენი ქვეყანა გულწრფელად უყვარს და ჩვენთვის კეთილი არ შურს, ის დიდი სიფრთხილით, დიდი მოსაზრებით უნდა ეკიდებოდეს ყოველ საგანს, ყოველს აზრს ბანკის შესახებ“ [**ჭავჭავაძე 1956: 49-50**] -ასეთია ი. ჭავჭავაძის ცნობილი პოსტულატი ბანკის მისიაზე და საბანკო საქმის მნიშვნელობაზე.

საადგილმამულო ბანკის დაარსება დიმიტრი ყიფიანს მოუვიდა თურმე აზრად, შალვა ჩხეტია დიმიტრი ყიფიანის შესახებ ამბობდა: - „უცნაური კაცია დიმიტრი, იგი ახერხებდა თავის თავში შეეთავსებინა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მტერი და ტახტის ერთგული მოხელე, გლეხობის მოსარჩელე და ბატონყმობის მომხრე, სამშობლოს ღირსებისათვის მებრძოლი და რუსული მონარქიზმის მოიმედე, ქართველი პატრიოტი და რუსი თვითმპყრობელი მეფის თაყვანისმცემელი, მას მუდამ ნაირ-ნაირი იდეები უტრიალებდა თავში“. აკაკი წერეთლის სიტყვით: ,,არც ერთი ქართული დაწესებულება არ არის ჩვენში რომ მეთაურობა დიმიტრი ყიფიანს არ ეკუთვნოდეს: ბანკი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თეატრი და სხვანი, სულ მისი ინიციატორობით არის დაწყებული“.

ბატონყმობა რომ გაუქმდა, დიმიტრი ყიფიანი ქართული თავადაზნაურობის კეთილდღეობის გადარჩენის გზებს ეძებდა. იგი ხატოვნად წერდა: „დიდხანს ცხოვრობდაო სასახლეში პატიოსანი კაცის ოჯახი. მართალია, ღარიბად, მაგრამ მშვიდად. სჯეროდა, უკეთესი დროც დადგებაო. უცფათ, ერთ უბედურ დღეს ხუროთმოძღვარმა გამოაცხადა - ეს სასახლე ინგრევა, ახლავე თავს უშველეთ, თორემ ნანგრევებში გაიჭყლიტებითო. მეტი რა გზა იყო, იმ სასახლიდან გარეთ გამოცვივდნენ. მართლაც მალე იჭექა, იქუხა, კედლებს ბზარი გაუჩნდა და სულ ცოტა ხანში დაირღვა კიდეც. ღმერთის ანაბარად დარჩენილნი უკანასკნელ იმედს ებღაუჭებოდნენ, უფალი და ხელმწიფე-იმპერატორი არ გაგვწირავსო“.

დანგრეული სასახლე ბატონყმობა იყო. უსახლკაროდ დარჩენილი პატიოსანი კაცის ოჯახი - ქართველი თავადაზნაურობა, იმედი და მშველელი -იმპერატორი ალექსანდრე მეორე. თუ იგი მოწყალებას არ დაიშურებდა, თავად-აზნაურობა ქვეყნის სამასხარაო არ გახდებოდა. არც დაიშურა: მამრობითი სქესის თითოეული გათავისუფლებული გლეხის ფასად ბატონს 25 მანეთი ეძლეოდა. ვისაც 21 ყმაზე ნაკლები ჰყავდა ეს გასამრჯელო უორმაგდებოდა. ამ გზით თავადაზნაურობას საკმაო თანხა უგროვდებოდა, ვინც ჭკუით მოიქცეოდა, ქონებრივი გასაჭირი არ ელოდა.
ცნობისთვის: აღმოსავლეთ საქართველოს თავადზნაურობამ მთავრობის მიერ გლეხთა გათავისუფლებისთვის საბოლოოდ 1840000 მანეთი, ბანკის დაარსებისთვის კი 160000 მანეთი მიიღო

ამ პირობებში დიმიტრი ყიფიანს თავადაზნაურობის წოდებრივი და ქონებრივი უპირატესობის შენარჩუნების ერთადერთ ბურჯად საადგილმამულო ბანკი მიაჩნდა. ბანკის საქმე რომ აწყობილიყო ,სახელმწიფოს მოძიებულ თანხას ცოტა კიდევ უნდა დამატებოდა. კერძოდ თავადაზნაურობას თითოეულ სულ გლეხზე მიღებული ოცდახუთი მანეთიდან ხუთი მანეთი უნდა შეეწირა. მაშინ ბანკს თავნად, ძირის ფულად თანხა უგროვდებოდა. მერე უკვე ხელმძღვანელობის ოსტატურ საქმიანობაზე იყო დამოკიდებული - რას მოიგებდა, ან რას წააგებდა ბანკი.[**ბაქრაძე, 2006: 54-55**]

ცალსახად დასაფასებელია დიმიტრის იდეაც და ოპტიმიზმიც, ისევე , როგორც მაღალი სოციალური კლასის გადარჩენის თვალსაზრისით, ასევე ქვეყნის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების კუთხითაც, მას დეტალურად და საგანგებოდ ჰქონდა შესწავლილი იმპერიის ფარგლებში არსებული სხვადასხვა ბანკების წესდებათა საფუძვლები, რაც ერთგვარად მყარ საფუძველს და იმედს აძლევდა ამ ახალი, მეტად მნიშვნელოვანი საქმის დასაწყებად

თუ გავითვალისწინებთ იმ მოცემულობას, რომ 1862 წლიდან 1872 წლამდე პერიოდი რუსეთში საბანკო საქმიანობის განუწყვეტელი ისტორიული განვითარების დროდ ითვლება და ამ პერიოდში დაიბადა 33 სააქციო ბანკი, 11 სააქციო მიწის ბანკი, 1873 წლიდან ფუნქციონირებდა 222 საქალაქო საჯარო ბანკი, არსებული

გამოცდილება ყიფიანს ნამდვილად აძლევდა ოპტიმიზმის საფუძველს [**Исмаилова: 50**].

თავდაპირველად დიმიტრი ყიფიანს ასეთი ბანკის შექმნა უნდოდაო - წერს იოველ ასათიანი: ,,თავადაზნაურობა სესხს გამოიტანდა დაბალი სარგებლით, ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში კი დამგირავებელს მამულს არავითარ შემთხვევაში არ გაუყიდდა, იგი დროებით უნდა გადასულიყო ბანკის გამგებლობაში და ვალის დაფარვის შემდეგ მის პატრონს დაუბრუნდებოდა“.

როცა დიმიტრი ყიფიანის პროექტს გაეცნო ა. ზუბალაშვილი, კომერციაში გაწაფული კაცი, მაშინვე მიხვდა თურმე კეთილშობილი მეოცნების შეცდომას. ოდნავ შესამჩნევი ირონიით აცნობებდა ა .ზუბალაშვილი დიმიტრი ყიფიანს: „მამულის გაუსყიდაობის იდეა დიდ ჰუმანიზმად მიმაჩნია, მაგრამ განუხორციელებელიაო. თუ ბანკი არც ვალს გადაახდევინებს და არც მამულს გაუყიდის დამგირავებლებს, მაშინვე გაკოტრდებაო, პროექტის ავტორს განუმარტავდა, გამდიდრების, ანუ კომერციული წესი ყველა ბანკისთვის ერთი და იგივეაო. კომერციულ ბანკსა და საზოგადოებრივ ბანკს შორის განსხვავება მხოლოდ მოგების განაწილებაშია, ე.ი მიზანში და არა საშუალებაშიო“.

ბანკის წესდების ხუთი პროექტი შეადგინა დიმიტრი ყიფიანმა, წლების მანძილზე იწვალა და იდავიდარაბა, მაგრამ როცა 1870 წლის მაისში იგი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის პოსტიდან გადადგა, ბანკი დაარსებული მაინც არ იყო. იმთავითვე არ უნდოდა ზოგიერთს დიმიტრი ყიფიანის მარშლად არჩევა. იგი აზნაური იყო და მუხრან-ბატონებს, ორბელიანებს, ზოგიერთ სხვასაც ერცხვინებოდათ მისი წინამძღოლად დასმა. ანტონ ფურცელაძე გვიამბობს, რა ამბავი დატრიალებულა იმ კრებაზე, რომელმაც დ. ყიფიანი თავადაზნაურობის წინამძღოლად აირჩია.

პირველი დიმიტრი ყიფიანის წინააღმდეგ გრიგოლ ორბელიანი გამოსულა: ჯერ უთქვამს, სირცხვილიაო უბრალო აზნაურის წინამძღოლად არჩევა. როცა ამ არგუმენტს არ გაუჭრია, დაუმატებია, დიმიტრი ყიფიანი, როგორც არასაიმედო კაცი, დათხოვნილიაო სამსახურიდან. ეს განცხადება საზოგადოებას არ მოსწონებია და

პროტესტის ნიშნად ყვირილი აუტეხია. როგორ თუ პროტესტს აცხადებთო, გადარეულა ივანე მუხრან-ბატონი, სკამიდან წამოვარდნილა და ხაფი ხმით დაუყვირია: რას ბედავთ, რა არის ეს? ჯანყი? ვის უბედავთ ამხედრებას? Бунтовшик-ი გინდათ აირჩიოთ თავადაზნაურობის წინამძღოლად? ახლავე მოუხმეთ პროკურორს! ჯანყის, Бунтовшик-ის, პროკურორის ხსენებას საშინლად დაუფრთხია შეკრებილი საზოგადოება. შიშით ყველას ხმა გაუკმედია. ის-ის იყო დიმიტრი ყიფიანის არჩევის საქმე უნდა ჩაშლილიყო, რომ ფეხზე წამომხტარა ახალგაზრდა ოფიცერი ალექსანდრე არღუთაშვილი და შეუტევია: „ვინ უწოდებს თავადაზნაურთა კრებას ჯანყს? ვინ უხმობს ჩვენს კრებაზე პროკურორს? ვინ გვნათლავს Бунтовшик-ებად იმიტომ, რომ დიდ უმრავლესობას არ სურს გაიზიაროს ერთი მუჭმა უმცირესობის აზრი? Бунтовшик-ები უმცირესობაა, რომელნიც არ ეთანხმებიან უმრავლესობას. ვისაც არ სურს არჩევნებში მონაწილეობა, შეუძლია კრება დატოვოს. ამგვარ შემოტევას ივანე მუხრან-ბატონი არ მოელოდა, გაოგნებულს ენა ჩავარდნია მუცელში. კრება კი გათამამებულა და დარბაზში ისმოდა შეძახილები: გარეთ გააგდეთ მუხრან-ბატონი! გარეთ გააგდეთ!

მაშინ დაბოღმილ გრიგოლ ორბელიანს უთქვამს ,,საქართველო მაშინ დაიღუპა როცა მე და წვიმატიძე ერთმანეთს შეგვასწორესო“

დიმიტრი ყიფიანი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად აირჩიეს. საზოგადოება არ მოტყუებულა. სასახელოდ იმარშლა , მაგრამ 1870 წელს, როცა ხელახალი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო, მდგომარეობა შეიცვალა. იმ ხანებში საქართველოში სტუმრად ელოდნენ იმპერატორ ალექსანდრე მეორეს. ისევ აწუწუნებულან დიმიტრი ყიფიანის მტრები: „სტუმრად ხელმწიფე მობრძანდება და იქნებ რაიმე მოწყალებაც გაიღოს. თავის მოჭრა იქნებაო უბრალო აზნაური დავახვედროთ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად“ ასეთი მითქმა-მოთქმა დ. ყიფიანს ესმოდა. მან უარი თქვა მარშლობაზე. მართალია, ბევრი ემუდარებოდა, დარჩენილიყო წინამძღოლად, მაგრამ გადაწყვეტილება აღარ შეცვალა. თავს იმართლებდა: ყველა დარწმუნებულია, სტუმრად ჩამოსული იმპერატორი

რასმეს გვიბოძებსო. ეს იმედი რომ არ გამართლდეს, მე დამაბრალებენ და საზოგადოების წინაშე დამნაშავე გამოვალო.

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად გენერალ-ადიუტანტი რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი აირჩიეს. 1871 წელს იმპერატორი საქართველოში ჩამობრძანდა. მის უდიდებულესობას არავითარი მოწყალება არ გაუღია. ქართველი არისტოკრატია პირში ჩალაგამოვლებული დარჩა. ვერც რევაზ ანდრონიკაშვილის მარშლობამ უშველა და ვერც პურ-მარილმა.

ახალი წინამძღოლის ხელშიც ბანკის დაარსების საქმე ჭიანურდებოდა. მაშინ თერგდალეულებმა გადაწყვიტეს ეს საქმე ილია ჭავჭავაძისათვის მიენდოთ.

1872 წლის 25 ნოემბერს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრება ჩატარდა. ამ კრებაზე ილიას სიტყვა წარმოუთქვამს. მას საზოგადოების დიდი მოწონება დაუმსახურებია. ილიას ისე მწარედ გაუკრიტიკებია ძველი კომისიის მუშაობა, რომ ანტონ ფურცელაძის გადმოცემით, მისი წევრები ერთმანეთის მიყოლებით კრებიდან გაპარულან.

უპრიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ ილიას თავკაცობით ძირეულად შემუშავდა საადგილმამულო ბანკის ახალი წესდება, მაგრამ, თუ ეს საქმე შედარებით იოლი გასაკეთებელი აღმოჩნდა, ძალიან გართულდა და დიდი ოფლის ღვრა მოითხოვა პროექტის დამტკიცებამ. 1872 წლის 5 დეკემბრიდან 1874 წლის 28 მაისამდე დრო მოსკოვსა და პეტერბურგში მოსვლა-მოსვლას, იქ ტრიალს და ბიუროკრატიულ კიბეზე აღმა-დაღმა სიარულს დასჭირდა.[**ბაქრაძე, 2006: 56-60**]

ილიას მტკიცე ხასიათზე , პრინციპულობაზე, საქმის მიმართ თავდადებულ დამოკიდებულებაზე მისი ცხოვრების ეს მომენტიც მოწმობს, იგი მოწყდა ყოველ საქმეს თავისას, ორი წელი დაჰყო რუსეთში, გაუძლო ათასგვარ იმედგაცრუებას, თუმცა დაწყებული ამბავი ბოლომდე მიიყვანა

ზოგჯერ სასოწარკვეთილი ილია საქმის მიტოვებას და შინ გამოქცევას ფიქრობდა. აკი ვერ გაუძლეს წვალებას დიმიტრი ყაზბეგმა და დავით ყიფიანმა. ისინი, როგორც ბანკის დირექტორები რუსეთში ახლდნენ ილიას წესდების დასამტკიცებლად. ,,

ყიფიანი და ყაზბეგი ხომ ჯერ, მკათათვეში ერთი, და მეორე აგვისტოში გაიქცნენ აქედამა და დამაგდეს მე მარტო“, - წერდა 1873 წლის 10 ოქტომბერს გულდაწყვეტილი ილია ცოლს.

ილიას იმჟამინდელ განწყობილებას ზუსტად გადმოგვცემს მისი ბარათები ოლღა გურამიშვილისადმი.

1873 წელი, 28 ივლისი. ილია ოლღას:

,,თუმცა ეს მოსკოვი დიდი ქალაქია, მაგრამ მე თითქოს სრულიად მოწყენილი ვარ, პირველი იმიტომ, რომ მე ყველა დიდი ქალაქი საზოგადოდ და მოსკოვი განსაკუთრებით, ფრიად მეჯავრება, მეორე იმიტომ, რომ არაფერი აქაური სიამოვნება არ მიზიდავს[**ბაქრაძე, 2006: 61**]

ასე უსაშველოდ გაძნელდა საადგილმამულო ბანკის წესდების დამტკიცება, მაგრამ ილია არაფრით არ მოეშვა საქმეს. მაინც თავისი გაიტანა და ბოლოს, როგორც იქნა 1874 წლის 28 მაისს თბილისის საადგილმამულო ბანკის წესდება დამტკიცდა. სექტემბერში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საერთო კრებას ეცნობა წესდების დამტკიცება. გააცნეს ბანკის მმართველობისა და მუშაობის სისტემა. აირჩიეს ბანკის მმართველი და დირექტორები. ამ კრებამ მმართველად ილია აირჩია. კენჭისყრის შედეგად ილიას მომხრე იყო 138 კაცი, წინააღმდეგი - 12.

1875 წლის იანვარ-თებერვალში კი თბილისის საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელი კრება ჩატარდა. ბანკმა არსებობა დაიწყო [**ბაქრაძე, 2006: :67**]

მას შემდეგ რაც ილია აირჩიეს ქართული ბანკის თავმჯდომარედ 1875 წელს, ილიამ მთელი 1875 წელი დეა 1876 წლის პირველი ნახევარი ბანკის-ამ ახალი საქმის ორგანიზებას მოანდომა. მხოლოდ 1876 წლის ნახევრიდან ილიამ შესძლო მოეცალა იმისთვის, რომ შედგომოდა მთავარი საქმის -თავისი ძველი განზრახვის განხორციელებას-პერიოდული ორგანოს გამოცემას.

1876 წლის ივნისში ილიამ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ მიეღო ნებართვა ყოველკვირეული გაზეთის გამოცემისა ფართო პროგრამით. 1876 წლის სექტემბერში ილიამ მიიღო ნებართვა გამოეშვა 1877 წლიდან თბილისში

პოლიტიკურ-ლიტერატურული ყოველკვირეული გაზეთი“ივერია“ [**ინგოროყვა 1957: 124**]

ილია ჭავჭავაძე არაერთხელ გამხდარა უსამართლო კრიტიკის ობიეტი ბანკის არსებობის პერიოდში , შემორჩენილია არქივებში არაერთი წერილი , საპასუხო გამოსარჩლების , როგორც გლეხთა უფლებების დამცველის, პასუხი უსამართლო კრიტიკაზე და ა. შ.

სიტყვა ილია ჭავჭავაძისა ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე 20 მაისს, 1895 წელს

მე, ბატონებო, გუშინ და გუშინწინ ვერ დავესწარი კრებას ბანკისავე საჭირო საქმის გამო. გაზეთებიდან და კრების ოქმიდან შევიტყვე, რომ გუშინწინ ჩემი ქება-დიდება მოგისმენიათ ერთის ორატორისაგან. რაც ამ ორატორს უნებებია ჩემი უკადრისად ხსენება, მე იმას ყურადღებას არ ვაქცევ. ხოლო თქმულა ერთი რამ ისეთი, რომელმაც შეაძრუწუნა ჩემი მამულიშვილური გრძნობა და ეს არ შემიძლიან აღუნიშნავად დავტოვო. აქ ერთს ორატორს მეორეზედ უთქვამს: ეგ მოსული არისო და ჩვენთან არავითარი კავშირი არა აქვსო. მე არ ვახსენებ, ვის უთქვამს ეს. მე მთქმელთან საქმე არა მაქვს-რა. მე ვებრძვი აზრს და ამ აზრის გამოსარკვევად მარტო საჭიროა ვიცოდეთ ის კი არა , ვინ სთქვა, არამედ ის, ვის უთხრეს. ეს უთხრეს იმიერ ქართველს. როგორ? იმიერი ქართველი აქ, ჩვენს კრებაში, ამ ჩვენს საქართველოში-მოსულია, უცხოა და არა სახლიკაცი, არა სისხლ-ხორცი იმ დიდ ოჯახისა, რომელსაც საქართველო ჰქვიან! არა ბატონებო!... ყოველს ქართველს საქართველოს ნაწილისას,-გურული იქნება, მეგრელი, იმერელი, კახელი, თუ ქართლელი,- ჩვენის ერთიანის ოჯახის კარი ღია აქვს, რომე ჩვენს საერთო ჭირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა მიიღოს. ეს არამცთუ უფლებაა თვითეულის ჩვენგანისა, უუწმინდესი მოვალეობაა. ძმობა და ერთობა ამაშია. ეგ ძმობა და ერთობა არის იგი კლდე, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენის ცხოვრებისა.

ეს თითქმის ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც საქართველო დაირღვა, დანაწილდა. ეს ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც ჩვენი მამა-პაპანი, ჩვენნი უკეთესნი და უდიდესნი მამულისშვილნი, ჩვენი გენიოსები, ჩვენნი ვაჟკაცნი და მეომარნი, ჩვენნი სწავლულნი და მეცნიერნი, სისხლის ღვრით იღვწოდნენ, რომ მკვდრეთით აღედგინათ ჟამთა ვითარებისგან დარღვეული და დამხობილი ძმობა და ერთობა. ამას შესწირეს თავისი სახელოვანი სიცოცხლე, თავისის სისხლით და ღვაწლით შემოსეს და აკურთხეს.

მთელმა თაობამ მეცხრამეტე საუკუნისამ ამას შეალია თავისი პატიოსანი ძალ-ღონე, თავისი სისხლი და ხორცი, თავისი ნიჭი საქმისა და მეტყველებისა. აწ გასვენებულმა ჩვენმა მწერალმა ვახტანგ ორბელიანმა მთელის თავისის მხურვალე გულისძგერით აღთქმად დასდვა, ანდერძად დაგვიტოვა, რომ ძმობა და ერთობა კლდეა და ამაზედ ააშენეთ თქვენი ბედნიერებაო, ამაშია ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება.

დღეს სხვას გვეუბნებიან. დღეს უნდათ, ერთმა ნაწილმა საქართველოსამ მეორეს უთხრას: შენ ჩვენ შორის მოსული ხარო! სამართლიანი გულისწყრომა მამულისშვილობისა ამ აზრს ვერ მიიკარებს. მე ამით ვაცხადებ ჩემ მაგიერ და ჩემთა თანამოაზრეთა სახელით, რომ მამულისშვილურ გრძნობით წყევლა-კრულვით ჩვენ ზურგი შეგვიქცევია ამ უკეთურ აზრისათვის. თქვენც მოგიწევთ, ასე მოიქეცით. დეე ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა. [ჭავჭავაძე, 1957:261-262]

ილია ამ წერილით ერთგვარად მისტირის მე-6 საუკუნის წინ დაკარგულ ერთიანობას, აღნიშნვს, რომ ერთობის დეფიციტი საზოგადოებაში კვლავაც აქტუალურია, რომ ქართველთა ნაწილს ვერ გაუსიგრძეგანებია კეთილი საქმის მნიშვნელობა საზოგადოდ ქვეყნისთვის და არა ერთეულ კაცისთვის

ილია ჭავჭავაძის სიტყვის მოკლე ჩანაწერი თავად-აზნაურობის კერძო თათბირზე 6 მარტს, 1905წ.

,,თავადი ი.გ ჭავჭავაძეც ამტკიცებს, რომ მიზეზი გლეხკაცთა მოძრაობისა სულ სხვა გარემოებაში უნდა ვეძიოთო, და მოჰყავს რამდენიმე მაგალითი იმ უსამართლობისა, რომელიც მთავრობამ ჩაიდინა. ,, სახელმწიფოს ბევრი ადგილ-მამული აქვს, რომელიც მთავრობამ ჩვენს ქართველ გლეხს წაართვა, სხვა ტომის ხალხს მისცა და ზედ დაასახლაო. ქართველ გლეხისათვის მიწა არ არის, ხოლო ნემეცისთვის, ფრანგისთვის, რუსისთვის და სომეხისთვის ბევრია. ბარიატინსკის დროს ჩვენ გვითხრეს, გლეხები გაანთავისუფლეთ, ადგილ-მამული მიეცით და ჩვენ ორი მილიონი დესტინა გვაქვს და იმას მოგცემთო. ჩვენ მაშინ ჭკუა არა გვქონდა და ამაზე არ დავთანხმდით. ეს იყო ჩვენი დიდი შეცდომა და ახლა უნდა გავასწოროთ. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ მთავრობისგან ეს ადგილები. ჩვენ ვიცით, რომ გლეხკაცი ვერსად ვერ წავა, როგორც რუსი და სხვა ტომის ხალხი სჩადის. ის მიჯაჭვულია იმ მიწაზე, რომელიც მისი სისხლით არის მორწყული და ეს სისხლით მორწყული ადგილები ქართველ გლეხს უნდა მიეცეს და არა გადმოსახლებულებსაო. ჩვენს გლეხს ადგილი არა აქვს, რომ თონე ჩააგდოს, იმის გვერდით კი გაშენდა გოლიცინი, სვეჩინი, ვარანცოვი და სხვა მრავალი სოფელი. სახელმწიფოს აქვს დიდი ადგილები შავი ზღვის ნაპირებზე, სადაც სხვა ტომის ხალხს ასახლებენ. თუვინიცობაა ჩვენი გლეხკაცი იქ არ წავა, მოგვცენ ჩვენ, თავად-აზნაურობას, ეს ადგილები, და აქ რაცა რამა გვაქვს გლეხკაცს მივცემთ, ჩვენ კი იქ წავალთო. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ეს, უნდა ავუხსნათ მთავრობას, რომ, თუ არ ამ გზით, გლეხკაცის მოძრაობას ვერც ძალა, ვერც მემამულეების მხრივ ყოველნაირი დათმობა, ვერაფერი ვერ შეაჩერებსო“. - ,, ბატონებო,- სთქვა ბოლოს ი. ჭავჭავაძემ, - ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლიან თამამად მოვითხოვოთ უბრალო, ბუნებრივი რამე, რომ ქართველის მიწა ქართველისთვის იყოს, ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლია მოვითხოვოთ, რომ კანონები, რომელიც ეხლა პეტერბურგში იწერება, აქვე ადგილობრივ იწერებოდეს,

რადგან, რაც რუსისთვის სასარგებლოა, ის შეიძლება ქართველისთვის მავნე [ჭავჭავაძე, 1957: 263-264]

თავადაზნაურთა კერძო თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში ილია ისევ და ისევ პრობლემურ და აქტუალურ საკითხებს განიხილავს, რომელიც მწვავედ დგას საქართველოში : უსამართლო კანონმდებლობა, ქართველი გლეხკაცის უმიწოდ დაგდება, ტერიტორიული ექსპანსია და სახელმწიფოებრიობის დაკარგვა

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გუშინდელს ,,ივერიაში“ (№20) დაბეჭდილია ვითომდა ჩემი ნალაპარაკევი თავად-აზნაურთა კერძო თათბირზე და, სწორედ მოგახსენოთ, ჩემი ნათქვამი მე ძლივს ვიცანი. ბევრს სხვას რომ არას გამოვუდგე, საკმაოდ ვრაცხ მარტო ორი მაგალითი მოვიყვანო, რომელთა შორის ერთი ისეა გადმოცემული, რომ მისი გამგონი ან გიჟებში ჩამთვლის, ან მტკნარ სულელობაში ჩამომართმევს. აი ეს მაგალითი: თქვენი გაზეთი იუწყება, ვითომც მე მეთქვას: ,, სახელმწიფოს აქვს დიდი ადგილები შავი ზღვის პირას...“ ,, თუ ვინიცობაა ჩვენი გლეხი იქ არ წავა, მოგვცენ ჩვენ, თავად-აზნაურობას, ეს ადგილები და აქ რაცა გვაქვს გლეხკაც მივცემთ, ჩვენ კი იქ წავალთო“ (?!)

ღმერთი-რჯული,- ჯერ ჭკუიდამ არ შევმცდარვარ, რომ ეგ ბრტყელი და ყოვლად უმსგავსო სულელობა გამომეთქვა. მე ეგ -კი არ ვთქვი, მე ეს მოვახსენე კრებას: მოგვცენ ქართველებს ჩვენგან წართმეული ჩვენი მიწა-წყალი, რომელიც ეხლა ხაზინასა აქვს დაჩემებული და რომელსაც ყველას ურიგებს, ქართველს გარდა, და მაშინ იქნება ზოგმა ჩვენგანმა დაუთმოს გლეხკაცს თავისი ადგილებიდან ზოგი რამ იმ პირობით, რომ სამაგიერო მიიღო ხაზინის პირობებში: ისიც შესაძლოა, - იმისთანა გლეხკაცნიც გამოჩნდნენ, რომ თვითონ მოინდომონ ჩვენის ქვეყნის სახაზინო მამულებში

გადასახლება და დაბინავება, ოღონდ კი- საკმაო მიწა-წყალი აუჩინონ და ის მზრუნველობა გაუწიონ, რასაც უცხოელებს უწევენ, როცა ქართველის სისხლით მორწყულ მიწებს ურიგებენ. აი ჩემი აზრი.

თქვენც თვითონ, ბატონო რედაქტორო, მიხვდებით,- რომ ეს ჩემი აზრი, და თქვენის გაზეთის მიერ გადმოცემული, ერთი და იგივე არ არის და ,,შუა უზის დიდი ზღვარი". აი მეორე მაგალითიც, საცა ჩემი ნათქვამი აზრი თუმცა უმსგავსოდ გადასხვაფერებული არ არის ზემოხსენებულისამებრ, მაგრამ ისე შეკვეცილია და ბოლომოგლეჯილი, რომ თავისი ფერი აღარ შერჩენია. თქვენი გაზეთი იუწყება,- ვითომც მე ბოლოს მეთქვას: ,, ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლიან მოვითხოვოთ, რომ კანონები, რომელიც ეხლა პეტერბურგში იწერება (რა თქმა უნდა ჩვენი ქვეყნისთვის), აქვე ადგილობრივ იწერებოდესო".

სასურველია, რასაკვირველია, რომ ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე, ჩვენში იწერებოდეს, მაგრამ მარტო ამით არა გვეშლება-რა. მე ვთქვი და კიდევ ყველგან ვიტყვი: ,, ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს ჩვენის ქვეყნის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა კრებულისგან" -აი ეს ხაზგასმული სიტყვები დაუმატეთ და ჩემი აზრი სავსებით გამოთქმული იქნება.

გთხოვთ, ბატონო რედაქტორო, ჩემი ეს წერილი დაბეჭდოთ და ნება მიბოძოთ გაგიბედოთ და ერთი სარჩელი მოგახსენოთ. დღეს ისეთი დღეა, რომ თვითეულს სიტყვას დიდის სიფრთხილით უნდა მოვექცეთ, და ვიდრე სხვისა თქმულს ბეჭდვით საჯაროდ განვიმეორებდეთ, ავწონ-დავწონოთ, რა თქმულა და როგორ თქმულა. დღეს ისეთი დროა, რომ თვითეული ჩვენგანი უნდა განკითხულ იყოს და პასუხის მგებელი ჩვენი ქვეყნის წინაშე თავისის სიტყვისა და საქმისაებრ და არა იმისაებრ, რასაც სხვანი ან დაუდევრობით, ან წინდაუხედაობით თავზე მოახევენ.[**ჭავჭავაძე,1957: 264-266**]

ამჯერად ილია რედაქციის და რედაქტორის მისამართით იყენებს თავის ბასრ კალამს და ჩვეული გაბედულებით მოუწოდებს მათ კერძოდ ივერიის რედაქტორს, რომ მის მიერ წარმოთქმული სიტყვები საზოგადოებას სწორედ იმ შინაარსით

მიაწოდონ, როგორც ილია გულისხმობდა თავის ნათქვაში: ყოველივეს ქართველი გლეხკაცის საკეთილდღეოდ

XX საუკუნის დასაწყისი მთელ ევროპასა და რუსეთში ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისით ხასიათდება. გლეხთა მოძრაობა იწყება საქართველოშიც. შეფერხდა ან შეჩერდა სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა მუშაობა თბილისში, ბათუმში, გორში. მემამულეები მიწებს ბანკში აგირავებდნენ. არსებულ ვითარებაში, საბანკო-საკრედიტო საქმიანობა საქართველოში საკმაოდ გართულდა. თბილისის ქართულ საადგილმამულო ბანკში, ოპოზიციურ ძალთა მხრივ, მძაფრი ხასიათი მიიღო კრიტიკამ ბანკის წარუმატებლობის გამო, რაც, ილიას რწმენით, მხოლოდ საყოველთაო ობიექტური ვითარებით იყო განპირობებული. მას მოჰყავს მაგალითები ბესარაბიის, პეტერბურგ-ტულის, დონის, ვილენის საადგილმამულო ბანკების წარუმატებელი საქმიანობისა და კრიზისის შესახებ, რაც ასევე მამულების ბანკებში დატოვებით არის გამოწვეული, მაგრამ, „ზოგიერთ კაცთა“ სუბიექტური მოტივები, როგორც საბაბი, ყოველთვის პოულობს გასაქანს კრიტიკულ სიტუაციებში, თუნდაც პრობლემის მიზეზი სრულიად ნათელი და ცხადი ობიექტური ფაქტორები იყოს. ადამიანთა განწყობის ეს საყოველთაო ფსიქოლოგიური მოტივაცია, ზედმიწევნით და მრავალჯერ აისახა თბილისის ქართული სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის ცხოვრებაში.ბანკის საქმიანობის საკმაოდ ხანგრძლივ ისტორიაში განსაკუთრებული იყო 1905 წლის კრების უკანასკნელი - 23 ივნისის სხდომა. ილია ჭავჭავაძის მოტივები საყოველთაო კრიზისის შესახებ კრებამ არ გაიზიარა. შედეგად, ბანკის გამგეობის თავმჯდომარის რეაქცია რადიკალური და მოულოდნელი აღმოჩნდა. მან გააკეთა განცხადება გადადგომის შესახებ, მადლობა მოახსენა კოლეგებს თანამშრომლობისათვის, დაემშვიდობა დარბაზს და დატოვა სხდომა. საბაბი, ალბათ, აქაც ფორმალური იყო. ცხადია, იყო მრავალჯერადი, ერთსულოვანი მოწოდება-მობოდიშება, სპეციალურად შერჩეული დეპუტაციის გაგზავნა თხოვნით, უარი ეთქვა ილიას თანამდებობიდან გადადგომაზე, მაგრამ გადაწყვეტილება მტკიცე და საბოლოო აღმოჩნდა.

ილიას საბოლოო გადაწყვეტილებას საბანკო საქმიანობის დასრულების შესახებ ყოველთვის ჰქონდა არაერთგვაროვანი შეფასება, თუმცა მას როგორც ლიდერს და მესაჭეს არ დაუტოვეს შესაძლებლობა იმისა, რომ მდგომარეობა გამოესწორებინა, გაუძლო არაერთ უსამართლო შემოტევას, არაერთგზის გადაარჩინა ბანკის ფინანსები, გასწია უდიდესი ქველმოქმედება ბანკის მოგების ნაწილიდან, იყო არაერთი ღირსეული საქმის ინიციატორი და იდეოლოგი, თუმცა 1905 წელს საბოლოოდ დაასრულა 30 წლიანი მოღვაწეობა საბანკო სფეროში.

1875-1905 წლებში, ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებათა ნუსხა, რომელთა რეალიზაციისთვის ფინანსური მხარდაჭერა უშუალოდ უკავშირდება თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის უპირველეს ამოცანათა სფეროს, საკმაოდ ფართოა. ფაქტობრივად, ეს ბანკის დაარსების ძირითად მიზანთა რეალიზაცია იყო, რაც საქართველოს საერთო ეკონომიკურ და კულტურულ მშენებლობაში ეფექტიანად აისახა.

ამ ნუსხაში განსაკუთრებით გამოსაყოფია:

1. ბანკის მოღვაწეობა განათლების სფეროსა და ეროვნული კადრების მომზადების მხარდასაჭერად, რაც მეფის მთავრობის რუსიფიკატორულ პოლიტიკას უნდა დაპირისპირებოდა. აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის დიდი დაინტერესება ზოგადად ფართო განათლების, სასოფლო-სამეურნეო სკოლების, თვითმმართველობის, მეცნიერების, თეატრისა და საერთოდ - ცხოვრების ევროპიზაციის საკითხებით, რასაც საბოლოოდ ეკონომიკური წარმატების საწინდრად განიხილავდა.

2. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება და ორგანიზაციულად ჩამოყალიბება, რაც ბანკის მხარდაჭერის ერთ-ერთ პრიორიტეტად განიხილებოდა. ეს უმნიშვნელოვანესი საქმე ხალხის ინიციატივით, თითო მანეთის შეგროვებით და ერთი სკოლის დაარსებით დაიწყო სოფელ ხოვლეში (გორის მაზრაში), ჯავახიშვილების მხარდაჭერით.

3. კახეთის რკინიგზის მშენებლობისათვის მოსამზადებელი სამუშაოების წამოწყება და ფინანსურ-იდეოლოგიური უზრუნველყოფა.

4. ქართული თეატრის განვითარებისთვის ზრუნვა, რაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და თვითშემოქმედების განვითარების საწრთვნელ სკოლად განიხილებოდა.

საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში თითქმის არ დარჩენილა სფერო, სადაც ქართულ საადგილმამულო ბანკს თავისი მიზანდასახული პოლიტიკა არ გაეტარებინა. ბანკი, სპეციალურად შექმნილი საერთო სარგებლობის, სასოფლო-სამეურნეო და ექსტრაორდინალური ფონდებიდან აფინანსებდა საქველმოქმედო ორგანიზაციებს, სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებს, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, მოსწავლეებს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებს და გაზეთებს, საეკლესიო დაწესებულებებს, სტიქიით დაზარალებულებს, კერძო პირებს და ა.შ. სულ 1875-1909 წწ. ბანკს საზოგადო საჭიროებისათვის გაუღია 1944 136 მანეთი და 38 კაპ [**მიხანაშვილი: 2014** https://for.ge/view/32428/evropuli-arCevanis-erovnuli-safuZvlebi---saqarTvelos-sabanko-sistemis-saTaveebTan.html]

&2

ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის დაარსების ისტორიიდან

ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დაარსების ისტორია 1866 წლიდან იწყება, გაზეთი დროება მკითხველებს აუწყებდა, რომ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობას ბანკის დაფუძნება განუზრახავს და ამ მიზნით კომისია აურჩევია ბანკის წესდების შესადგენად(შეიქმნა 24 კაციანი კომისია) სამწუხაროდ 6 წლიანი არსებობის მანძილზე კომისიამ ვერ შეძლო წესდების შექმნა. ბანკის დაფუძნება იმერეთისთვის ამ დროს მეტად სარგებლიანი საქმე იქნებოდა , როგორც ფულის სესხების თვალსაზრისით , ასევე ქვეყნის ეკონომიკური

წინსვლისთვის. 1867 წელს ხელისუფლება დათანხმდა ბანკის გახსნას ქუთაისში , დაარსების პროცესში სამეგრელოს თავადაზნაურობამ საკითხი დააყენა საკუთარი საკრედიტო დაწესებულების დაარსების შესახებ [**„დროება“ 1868**] ამ მხრივ გარკვეული მუშაობა გაიშალა კიდეც , მაგრამ შემდეგ სამეგრელოს თავადაზნაურობამ სძლია თავის ვიწრო კუთხურ განკერძოების ტენდენციას და გადაწყვიტა თავისი ხვედრი , საბანკო კაპიტალი დას. საქართველოს ერთიან საადგილმამული ბანკში გაეერთიანებინა.

1873 წელს ქუთაისის ბანკის პროექტი ნიკოლოზ ღოღობერიძემ შეადგინა რუსეთის სხვადასხვა ბანკის საფუძველზე , როგორც თავად აღნიშნავს ის ამ საქმისთვის თავად სპეციალურად გაემგზავრა პეტერბურგს, რათა მცოდნე სპეციალისტებისგან სათანადო რჩევა მიეღო [**ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები 1993 :82**]

საადგილმამულო ბანკის გახსნამდე , მუშაობის პროცესში ნიკოლოზ ღოღობერიძესთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართული (ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, სერგეი მესხი) , თუმცა როცა ბანკი უკვე გაიხსნა (1876წელი) აღნიშნული საზოგადოება , მათ შორის ილია ჭავჭავაძეც ღოღობერიძის მოწინააღმდეგეთა რიგებში აღმოჩნდნენ, ისინი თვლიდნენ , რომ ბ. ღოღობერიძე არ იყო ამ საქმისთვის შესაფერი კანდიდატი , მოგვიანებით ილია ღოღობერიძეს მიემხრო , ჩათვალა, რომ საქმის მცოდნე იყო და მისი პროფესია დაეხმარებოდა ბანკის მართვაში

ამ დავიდარაბაში და შეუთანხმებლობაში ქუთაისის საადგილმამულო ბანკი 1976 წელს დაარსდა , თავმჯდომარედ პირველ წელს არჩეულ იქნა: ბესარიონ ღოღობერიძე , წევრები: (ნიკო ტარიელის ძე დადიანი, დავით გრიგოლის ძე ერისთავი) ერთი წლის შემდეგ ბესარიონ ღოღობერიძე მისმა შვილმა ნიკოლოზ ღოღობერიძემ შეცვალა , იგი ბანკს 5 წელი მართავდა (1879-1884) მეტად განათლებული და ღირსეული პიროვნება გახლდათ , 5 წლის შემდეგ თანამდებობა

დატოვა და ხელი მიჰყო ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას , ბანკის თავმჯდომარეობა კი იტვირთა დიმიტრი ელიზბარის ძე დადიანმა.

საქართველოს რეფორმის შემდგომი ქალაქების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში უდიდესი როლი ითამაშეს საკრედიტო დაწესებულებებმა, რომელთა შორის თავიანთი ოპერაციების მასშტაბითა და ხასიათით გამოირჩეოდნენ თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკები. საადგილმამულო ბანკების ისტორიის შესწავლას ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში 60-იანი წლებიდან მიექცა ყურადღება. 1967 წელს გამოქვეყნდა ნ. შველიძის ნაშრომი - საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან(1864-1921 წწ), რომელშიც გაშუქებულია საქართველოში საადგილმამულო ბანკების (ქუთაისის და თბილისის) დაარსების, ორგანიზაციულო წყობისა და მოღვაწეობის შესახებ. თბილისის სათავადაზნაურო ბანკს განიხილავს თავის ნაშრომში (თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკი, 1979) ი. ასათიანი.

საადგილმამულო ბანკებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს სამეურნეო-ეკონომიკურ განვითარებაში. ამავე დროს ამ ბანკების საქმიანობა ხელს უწყობდა ეროვნულ და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას. ისინი არსებითად განსხვავდებოდა რუსეთის იმდროინდელი საადგილმამულო ბანკებისაგან. XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოში თითქმის არ ყოფილა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ და კულტურული განვითარების არცერთი საყურადღებო საკითხი, რომელიც ამა თუ იმ თვალსაზრისით საადგილმამულო ბანკის მეტად მრავალმხრივ მოღვაწეობას არ დაკავშირებოდა. საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ თავადაზნაურობას ხაზინიდან მიეცა ყმების გამოსასყიდი ფული და იქიდან 10% გადადებული იქნა საადგილმამულო ბანკის დასაარსებლად. ბანკის დანიშნულება იყო მემამულეებისთვის მიეცა გრძელვადიანი სესხი მამულის გასაუმჯობესებლად და შენობების ასაგებად. ცხადია, თავადაზნაურობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის ამ სესხს და მის გამოყენებას ხსენებული დანიშნულებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ როგორც

შემდეგ დავინახავთ ქართველმა თავადაზნაურობამ ამ შეღავათით ვერ ისარგებლა, ისინი მამულებს აგირავებდნენ, ფულს ღებულობდნენ, მაგრამ თავადაზნაურობა ამ ფულს გონივრულად არ იყენებდა, დროსტარებაში ხარჯავდა. სანამ ნასესხები ფული გასწვდებოდა მას სარგებელი შეჰქონდა ბანკში, როცა შემოაკლდებოდა კიდევ ახალ-ახალ ნაკვეთებს აგირავებდა. თუ ამ საშუალებას მოკლებული იყო დამგირავებელი, ბანკის გამგეობა, ვადაგადაცილებულ დაგირავებულ მამულს, საჯარო ვაჭრობით ყიდდა და ასე ეცლებოდათ მათ თავიანთი ადგილ-მამული ხელიდან. ამ მდგომარეობის გამო მემამულეები ბანკის გამგეობაზე უკმაყოფილო რჩებოდნენ და მათ შორის დამოკიდებულება თანდათან იძაბებოდა. რევოლუციამდელი პერიოდის საკრედიტო დაწესებულებანი საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან ობიექტებს წარმოადგენდნენ. ამიტომაც იყო, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკები მთელი საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. აქტიურად იყვნენ ამ საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობაში ჩაბმული მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, ჩვენი ერის საამაყო შვილები: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე, ნ. ნიკოლაძე, ბ. ღოღობერიძე და სხვები. ი. ჭავჭავაძე 30 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის საადგილმამულო ბანკს, ხოლო კ. ლორთქიფანიძე 40 წელი ქუთაისის ურთიერთ ნდობის ბანკს ედგა სათავეში. საბანკო საკითხებით განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდა პერიოდული პრესა - გაზეთები: ,, დროება“, ,,ივერია“, ,,შრომა“, ,,კვალი“ და სხვ.

დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე, პირველყოვლისა, ბუნებრივია, ქუთაისის გუბერნიის ცენტრში - ქუთაისში მოქმედი ბანკები ახდენდნენ გავლენას და ამიტომ ჩვენ მათს საქმიანობას შევეხებით: საქართველოში სამიწათმოქმედო ბანკის დაარსებს იდეა ჯერ კიდევ საგლეხო რეფორმის ხანაში, ე. ი. 60-იან წლებში წარმოიშვა. ,, იმ დროს ფეოდალური მეურნეობის რღვევისა და კაპიტალისტური ურთიერთობის გამარჯვების პროცესი ისე შორს იყო წარსული, - წერს პ. რატიანი, - რომ მამულის პატრონმა თავადაზნაურობამ

თვალნათლივ დაინახა მის წინაშე აღმართული უდიდესი საფრთხე. ძველი წყობილების ეკონომიკური საფუძვლები საბოლოოდ შეირყა, კაპიტალიზმმა ყველაფერი ყიდვა-გაყიდვის საგნად აქცია, თვით მიწაც კი, რაც ფეოდალური წყობის საფუძველს შეადგენდა თავადაზნაურობას ხელიდან ეცლებოდა და ოდესღაც ძლიერი ქართული ფეოდალური არისტოკრატია სწრაფი ეკონომიკური დაცემისა და დაუძლურების გზაზე იდგა. ეს პროცესი 70-იან წლებში სწრაფად მიმდინარეობდა. ამიტომ თავადაზნაურობა შეეცადა გამოენახა ეკონომიკური დაქვეითებისაგან თავის დაღწევის საშუალებანი, გარდაექმნა ფეოდალური მეურნეობა კაპიტალისტური ურთიერთობის საფუძველზე. აი ასეთ ვითარებაში ჩაისახა სათავადაზნაურო ბანკის დაარსების იდეა.

ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის უმთავრესი საფუძვლები მდგომარეობდა იმაში, რომ ქვეყნის ეკონომიკური პირობები საჭიროებდა ისეთ ბანკს, რომელიც გირაოდ მიწას და უძრავ მამულს მიიღებდა. ამ ბანკს უნდა ჰქონოდა გირაოს ფურცლების გაცემის უფლება. გირაოს ფურცლები, ეს იყო ვექსილი რომელსაც აძლევდა ბანკი ფულის პატრონს, სესხის ამღების მაგივრად. სესხის ამღები არის პასუხისმგებელი ბანკთან და ბანკი ფურცლის პატრონთან. ქუთაისის გირაოს ფურცლები აძლევდნენ პატრონებს წელიწადში 6%-ს. ე. ი მანეთზე 6 კაპიკს.

ბანკის უპირველესი საზრუნავი იყო გირაოს მაღალი კურსი, მის კარგ ფასზე დამოკიდებული იყო ბანკის ბედი. საზოგადოება ნ. ღოღობერიძის მიერ შედგენილი ბანკის პროექტი კმაყოფილებით მიიღო. ამის შესახებ იტყობინებოდა ს. მესხი. ქუთაისიდან ბანკის პროექტი გაიგზავნა კავკასიის მთავარსამმართველოში, ხოლო ამ უკანასკნელიდან გაგზავნილი იქნა პეტერბურგში. მიუხედავად ამისა ქუთაისის საადგილმამულო ბანკის გარშემო დაუსრულებელი კამათი და დისკუსიები იმართებოდა. შეიძლება ითქვას გადაუჭარბებლად, რომ საქართველოში არც ერთ სხვა საკითხზე იმდენი დავა და კამათი არ ყოფილა როგორც თბილისისა და ქუთაისის ბანკის გარშემო იმართებოდა. კაცი ვერ მოთვლის - წერდა ს. მესხი, - რამდენი ერთმანეთის მსგავსი და მოწინააღმდეგე აზრის გამო ითქვა როგორც ეს

სათავადაზნაურო ბანკების დაარსების თუ მათი დანიშნულების თაობაზე გამოითქვა. ზოგი იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ქართველ თავადაზნაურობას ბანკი და კრედიტი არ გამოადგებაო. ბანკის გარშემო ძირითადად, ქართველი საზოგადო მოღვაწეები მსჯელობდნენ. თბილისსა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკების დაარსებამდე დაწყებული კამათი, მათი დაარსების შემდეგაც გრძელდებოდა, გაზეთები ,, დროება“ და ,,ივერია“ სისტემატურად აქვეყნებდნენ მასალებს საბანკო საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ. ამჟამად ჩვენ არ ვისახავთ მიზნად შევეხოთ ყველა მოღვაწის შეხედულებას, მაგრამ ერთ-ერთ მათგანს გვერდს ვერ აუვლით. ეს არის ბანკის თაობაზე ი. ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც გაზეთ ,, დროებაში“ დაიბეჭდა 1875 წელს. როგორც აღვნიშნეთ ი. ჭავჭავაძე თვითონ იყო თბილისის საადგილმამულო ბანკის დამაარსებელი და მისი უცვლელი ხელმძღვანელი 30 წლის მანძილზე და ცხადია მას ყველაზე ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ქვეყნისთვის ბანკის როლი და დანიშნულება. ,, შეუძლებელია - ამბობს ილია, რომ ბანკმა თვითეულს ჩვენთაგანს ცალკე სესხის მეტი სხვა რამ შემწეობა მოუტანოს, უწინაც მითქვამს და ახლაც მოგახსენებთ, რომ ბანკი ამ მხრით, ე. ი. იმით რომ ფულს ასესხებს კაცის ამშენებელიც არის და დამღუპველიც. ვინც ბეჯითია და მხნე, ვისაც გონება აქვს, გულმოდგინე შრომის სურვილი და მხოლოდ ფული აკლია, რომ თავის საქმე წარმართოს, ღვითის წყალობა თქვენა გაქვთ, რომ იმისათვის ბანკი ყოვლად მხსნელი სახსარი იყოს... კაცი ბეჯითი, მხნე, შრომისმოყვარე რამოდენსაც თავისთავს შეჰმატებს ჩვენის ბანკის შემწეობით, იმოდენას შეჰმატებს ჩვენს ქვეყანასაცა. თავის შემოსავალს ოცი კოდიც რომ მიუმატოს, ჩვენი ქვეყანა უწინდელზედ ოცი კოდით უფრო მდიდარი შეიქმნება, ამის მეოხებით და ჩვენი ბანკის შემწეობით“. ,,ისინი კი, - განაგრძობს ილია, - ვისაც ბანკი უხარიათ მარტო იმისთვის რომ ფულებს მალე ვისესხებთ და იმ ფულებით ქეიფს გავწევთო იმათთვის არამც თუ ჩვენი ბანკი, ყოველგვარი ბანკი წინდაწინვე გათხრილი სამარეა“. ასეთია ი. ჭავჭავაძის შეხედულება ბანკის შესახებ, ასე ესმოდა მას ბანკის დანიშნულება. სამწუხაროდ ბანკის დამფუძნებელ

თავადაზნაურთა უმრავლესობა ვერ გამოიყენა რაციონალურად ბანკის შემწეობა და მას ის შედეგი მოჰყვა, რასაც ი . ჭავჭავაძე იმთავითვე მეტყველებდა.

ქუთაისის საადგილმამულო ბანკს დიდი იმედით შეჰყურებდა მთელი ქართველი საზოგადოება. 1873 წელს ნ. ნიკოლაძე წერდა: ,, ამ დღეებში გადაწყდა ქუთაისში ექვსი წლის გაჭიანურებული, დაუბოლავებელი და თავმოუბმელი ,,ბანკის საქმე". ამ გადაწყვეტილებაზე დამოკიდებულია ჩვენი საზოგადოების აზრით, ჩვენი ქვეყნის მომავალი თუ არა ჩვენი აზნაურობის ბედი ხომ მაინც მომავალი ბანკიდან გაკეთებას და სულის ჩადგმას ელის ჩვენი გაღატაკებული და ურიის ვალში ჩავარდნილი საზოგადოება. იმას წელი უნდა გაუმაგროს ჩვენს ახლანდელ აზნაურობას და მომავალი დაუმზადოს შემდგე თაობას, იმაზე ბრუნავს მთელი მხარის იმედი და იმასვე შეჩერებია, მისგან დახსნას მოელის, მთელი ჩვენი ქვეყანა. ასეთი იყო საზოგადოებრივი აზრი მომავალი ბანკის შესახებ, როგორც ჩანს თვით ნ. ნიკოლაძე არ იზიარებდა ასეთ აზრს, მან საადგილმამულო ბანკის ოფიციალურ გახსნამდე სამი წლით ადრე გამოთქვა მეტად საგულისხმო მოსაზრება, - ,, მოიცადეთ ორიოდ-სამი წელიწადი, როცა თავად აზნაურობის სახელით ნაშოვნ ფულებს ვაჭრები და ურიები ისევ თავადაზნაურობას მიასესხებენ ძველებურის სარგებლით და როცა თავადაზნაურობა დაკარგავს თავის ადგილ-მამულს, მაშინ წარვსდგეთ მის წინაშე მე და თქვენ უფ. ჭავჭავაძე და მაშინ ვკითხოთ ამ თავადაზნაურობას: ჩვენში ვინ სტყუოდა და ვინ ამართლებდა მას". ჩვენ შემდეგ დავრწმუნდებით რომ ნ. ნიკოლაძის წინასწარმეტყველებაც რამდენადმე გამართლდა: თავადაზნაურობის ნაწილს გამოეცალა ხელიდან თავისი უძრავი ქონება. ის გაიყიდა ბანკის ვალში და გადავიდა სხვა წოდების ხელში.[**ქ. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზემის მასალები 1993: 183-185**]

& 3

ქუთაისური „ბანკოვიადა“

ქუთაისის საადგილმამულო ბანკი, როგორც უკვე აღინიშნა, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს, უფრო კონკრეტულად, დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ–კულტურულ ცხოვრებაში. მაგრამ ამით არ ამოიწურებოდა მისი როლი და მნიშვნელობა ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის საქმეში. საადგილმამულო ბანკის გარშემო ატეხილ პოლემიკას და დაჯგუფებათა ბრძოლას, რის ასპარეზს საბანკო კრებები წარმოადგენდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული გრძნობებისა და აზრის გამოღვიძებისთვის, საზოგადოებრივი ცხოვრების აღორძინებისათვის. საბანკო კრებები განსაკუთრებით მწვავე და საინტერესო გახდა XIX საუკუნის 80–იანი წლების ბოლოდან, როცა ერთმანეთს მკვეთრად დაუპირისპირდა ოპოზიცია – ცნობილი იურისტის კ.ჩიკვაძისა და პოზიცია – დ.დადიანის მეთაურობით, რამაც წარმოშვა ე.წ. „ქუთაისური ბანკოვიადა“. მართალია, ამ ბრძოლასა და პოლემიკას ზოგჯერ თან ახლდა ზნეობრივ–მორალური თვალსაზრისით მიუღებელი მეთოდები, მაგრამ იგი მაინც აფხიზლებდა და ავითარებდა ეროვნულ აზრსა და თვითშეგნებას. საბანკო კრებები იყო ფართო ასპარეზი, სადაც ქართველი საზოგადო მოღვაწეები პირდაპირ თუ შეფარვით მსჯელობდნენ ეროვნულად დაჩაგრული თავიანთი ქვეყნის ჭირ–ვარამზე, სოციალურ–ეკონომიკური საკითხების მოგვარებაზე, დაკარგული ეროვნული თავისუფლების მოპოვების გზებსა და საშუალებებზე. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქართული ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი ქუთაისის საადგილმამულო ბანკის გარშემო იყო დარაზმული, დაძაბულად ადევნებდა თვალყურს მის საქმიანობას და აქტიურად მონაწილეობდა მასში. თავისი შეხედულებანი ქუთაისის საადგილმამულო ბანკის შესახებ პრესაში თუ საბანკო კრებებზე, როგორც ქვემოთ დავინახავთ გამოთქმული აქვთ: ი.ჭავჭავაძეს, ა.წერეთელს, ნ.ნიკოლაძეს, გ.ზდანოვიჩ–მაიაშვილს, გ.წერეთელს, ს.მესხს, კ.აბაშიძეს

და სხვებს. მაგალითად, ნიკო ნიკოლაძის აზრით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბანკო კრებებს, როგორც საზოგადოების დემოკრატიულად აღზრდის სკოლას. იგი წერდა: "ეს კრებანი ჩინებულ კრებად მიგვაჩნდა საზოგადოებისათვის... ყველას, ვისაც კი სიყრმიდანვე მარტო მამულის სიკეთისათვის გვიცემდა გული, ვიმედოვნებდით, რომ ეს კრება შეაგროვებდა და საერთო გრძნობას გაუღვიძებდა ჩვენს განცალკავებულს, დაფანტულს, გზადაკარგულ ეროვნებას. დაე, პირველ ხანებში შეცდომაც შეეპაროს ბანკის მმართველობას, დაე, რამდენიმე ათასი მანეთი ნაკლები მოგება დარჩეს ბანკს, ვფიქრობდით, დაე, ორიოდე უღირსი პირი იქნას ამორჩეული, რა ვუყოთ, ეს წვრილმანი ნაკლი არაფრად ჩასაგდებია საზოგადო სიკეთესთან შედარებით, საერთო გრძნობების გაღვიძების გვერდით."

საბანკო კრებების მნიშვნელობაზე გაზეთი „დროება" ჯერ კიდევ 1881წელს აღნიშნავდა: "თეატრის შემდეგ, რომელიც უკვე ღრმა ძილით განისვენებს ქუთაისში, ზემოთ ხსენებული ბანკი არის ერთადერთი დაწესებულება, სადაც სუფევს ქართული ენა, სადაც შეუძლია ქართველ ახალგაზრდობას და ინტელიგენციას ერთად შეიკრიბოს, თავისი აზრი გაუზიაროს და თვით შეიმეცნოს საზოგადოების შეხედულება იმისთანა უაღრესად მნიშვნელოვან საგანზედ, როგორიც არის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა საზოგადოდ და ქუთაისის აზნაურთა ბანკის საქმე, კერძოდ."

საბანკო კრებებზე გამგეობის ფინანსური ანგარიშების განხილვისას თუ საქველმოქმედო თანხების განაწილების დროს აზრთა შეხლა–შემოხლა და კამათი, როგორც წესი, მსხვილდებოდა ვიწრო წოდებრივი და უწყებრივი დაინტერესების სფეროს და ეროვნული მნიშვნელობის საკითხს და ფართო მასშტაბით განხილვა–მსჯელობაში გადაიზრდებოდა ხოლმე. ქუთაისში საბანკო კრებაზე, რომელიც ხშირად 1000-ზე მეტი ნიშნულისგან შედგებოდა, საზოგადოების წინაშე გამოდიოდნენ და ქვეყნის ავ–კარგზე, იმდროინდელი ეროვნული საკითხების ირგვლივ მსჯელობდნენ, ქართული საზოგადოებრივი აზრის გამოჩენილი წარმომადგენლები.

ამიტომ იყო, რომ საადგილმამულო ბანკების საკითხმა ჩვენს საზოგადოებაში თითქმის სრულიად დაჩრდილა სხვა საკითხები, უფრო სწორად ყველა საკითხმა აქ მოიყარა თავი, რადგან ფართო საზოგადოებრივი მსჯელობა ეროვნულ ტკივილზე არსად არ შეიძლებოდა იმხანად, გარდა ბანკებისა. ამასთან დაკავშირებით ცნობილი მეცნიერი ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა:"ბანკს უყურებდნენ, როგორც დიდ ერონულ დაწესებულებას. იქ ანგარიშის შესახებ უფრო მეტს ლაპარაკობდნენ, ვიდრე მორალზე. ბანკში სამსახური ითვლებოდა ერის სამსახურად."

& 4

ილია ჭავჭავაძე ქუთაისის საადგილმამულო ბანკის შესახებ

ილია ჭავჭავაძეს მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქუთაისთან, მის საზოგადოებასთან. იგი ყოველთვის საქმის კურსში იყო, რა ხდებოდა ქუთაისში, როგორ მუშაობდა წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გახსნილი სკოლა, რა პიესები იდგმებოდა თეატრში, რატომ ბრკოლდებოდა ჟურნალ–გაზეთებისა და წიგნების გამოცემის საქმე... მოკლედ, ქუთაისის ეკონომიკური და საზოგადოებრივ–კულტურული ცხოვრება ილიას „ივერიის" ყურადღების ცენტრში იყო. ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ქუთაისის საადგილმამულო ბანკის მოღვაწეობასთან დაკავშირებული საკითხებისადმი, რადგან მიაჩნდა, რომ ქუთაისის საადგილმამულო ბანკი თბილისის ბანკთან ერთად, რომელსაც იგი ედგა სათავეში, საქართველოში ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ეკონომიკური და მატერიალური დასაყრდენი უნდა ყოფილიყო. ილია წერდა: "ბანკი დიდი საქმეა ჩვენი ქვეყნისათვის... ბანკს, გარდა საკრედიტო მნიშვნელობისა, ბევრი იმისთანა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რომელსაც არ შეიძლება არ ჩაუფიქრდეს ჩვენი საზოგადოებრიობა თავის დროზე."

ილია ჭავჭავაძეს 1873წლის დასაწყისში განზრახული ჰქონდა სათავადაზნაურო ბანკის საქმეების გამო ქუთაისის გავლით პეტერბურგში ჩასულიყო. თებერვალში

ილია ბაქოში მყოფ მეუღლეს წერდა: "რაც შენ წასულხარ ჩვენი ბანკისა არა შემიტყვია რა, არ ვიცი როდის მომიხდება ან ქუთაისს ან რუსეთს ჩასვლა." 23თებერვალს კი მეუღლეს აცნობებდა: "ჩვენი ქუთაისში წასვლა აღარ მოხერხდება, არავინ იცის როდის მომიხდება რუსეთში წასვლა." 1873წლის დასაწყისში ილიას ქუთაისში ჩამოსვლა უნდოდა იმისათვის,რომ მონაწილეობა მიეღო ქუთაისის ბანკის დასაარსებლად დაწყებულ ინტენსიურ მუშაობაში. მაგრამ იმ ხანად ილიამ ქუთაისში ჩამოსვლა ვერ მოახერხა. იგი 1873წლის ივნისში ბაქოს გავლით რუსეთში წავიდა და 10თვე იქ დარჩა. მან მოსკოვში ყოფნის დროს გაზეთ „დროების" საშუალებით გაიგო, რომ ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის წესდების პროექტთან დაკავშირებით ერთმანეთს დაპირისპირებია ცნობილი საზოგადო მოღვაწეები – ნიკო ნიკოლაძე და ბესარიონ ღოღობერიძე. 1873წლის 24 აგვისტოს ილია მოსკოვიდან ივანე მაჩაბელის ძმას, ვასილ მაჩაბელს წერდა:"ეხლა იმას გეხვეწები, ჩვენი გაზეთის „დროების" N26 გამომიგზავნე. ნიკოლაძისა და ღოღობერიძის კრივში მეც უნდა ჩავერიო და ცოტაოდენი ქვაც გავურიო." 1874წლის 19 მარტს კი ილია მეუღლეს აცნობებდა:"მე წამოვალ პეტერბურგიდან ან დიდ შაბათს ან ორ აპრილს უსათუოდ და გადაწყვეტილად... ქუთაისზე გამოვივლი. ოთხიოდე დღე იქ დავრჩები საქმეები მაქვს."

ილია ჭავჭავაძე მართლაც ენერგიულად ჩაერია ქუთაისის საადგილმამულო ბანკის გახსნასთან დაკავშირებულ დავაში. 1876 წლის 20 აპრილს, როგორც ცნობილია, უნდა გახსნილიყო ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელთა კრება, რომელსაც საბოლოოდ უნდა გაეფორმებია ბანკი და აერჩია მისი ხელმძღვანელი ორგანოები. კრების გახსნის წინ, 11აპრილს გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნდა ნიკო ნიკოლაძის ვრცელი და მეტად კრიტიკული სტატია სათაურით: "ქუთაისის ბანკის საქმე". ეს სტატია იმდენად ტენდენციურად და არაობიექტურად ჩათვალა გაზეთმა „დროებამ", რომლის მუდმივი თანამშრომელი ნიკო ნიკოლაძე იყო, ვერ გაბედა მისი დაბეჭდვა შენიშვნის გარეშე. „თუმცა ამ სტატიას ვბეჭდავთ, – ნათქვამია „დროების" შენიშვნაში, – მაგრამ სიმართლე ვალსა გვდებს გამოვაცხადოთ, რომ მაგ სტატიაში გამოქვეყნებულ აზრებსა და მსჯელობას არ ვეთანხმებით".

თავის ვრცელ სტატიაში ნიკო ნიკოლაძე ეხებოდა ქუთაისის საადგილმამულო ბანკის წესდების ავკარგიანობას, მკაცრად აკრიტიკებდა მის ავტორს, უკვე ქუთაისის ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს ბესარიონ ღოღობერიძეს, რომელსაც ბრალს სდებდა იმაში, რომ ბანკის წესდება გადმოწერილია რუსეთის გუბერნიის ბანკების წესდებიდანო.

ილია ჭავჭავაძეს ქუთაისის ბანკის კრიტიკაში დაინახა თბილისის ბანკის კრიტიკაც, რადგან ორივე ბანკის წესდებები ერთნაირ პრინციპზე იყო აგებული. მან ნიკო ნიკოლაძეს უპასუხა სტატიით „უფალი ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე“. ილია წერილის დასაწყისშივე მიუთითებდა, რომ ნ.ნიკოლაძის სტატია „ამ საგანზე იმისთანა აზრებს ქადაგებს, რომელსაც შეუძლია საქმის წახდენა არა მარტო ქუთაისის, არამედ თბილისის გუბერნიაშიც. ამიტომ მე ჩემ უწმინდეს ვალად ვრაცხ პირდაპირ აღვუდგე ამ სტატიას.

ილია ჭავჭავაძემ ნიკო ნიკოლაძის სტატიის კრიტიკა კრედიტის ეკონომიური არსის კრიტიკით დაიწყო. ილიას აზრით, „ეკონომიკური საგანი კრედიტისა ის არის, რომ იგი უსათუოდ უნდა მოიხმაროს კაცმა იმ ეკონომიკურ ღონედ, რომლის მეოხებითაც ქვეყნის ნივთიერი კეთილდღეობა და სიმდიდრე მატულობდეს. მასაშადამე, კრედიტი გარდა წმინდა ეკონომიკური თვისებისა, იმისთანა რამ არის, რომლის ძალითაც ფული ერთი ხელიდან მეორეში გადადის, მარტო იმ აზრით, რომ ეკონომიკური წარმოება გაამლიეროს... მიწის სამოქმედო კრედიტს კი საგნად უნდა ჰქონდეს გაუმჯობესოს მიწათმოქმედება, რომ ხანგძლივად, განუწყვეტლად და თანდათანობით მოგება მატულობდეს... მაშასადამე, მიწის სამოქმედო კრედიტს სამი უსათუო თვისება უნდა ჰქონდეს: 1. ხანგძლივი იყოს, 2. ცოტ–ცოტაობით და თანდათანობით გადასახადი და 3. მიწით დაიმედებული“.

ამგვარად, ილია ჭავჭავაძემ ბანკის კრედიტი მიიჩნია იმ საშუალებად, რომელიც ყველა წოდების გამრჯე და შრომისმოყვარე ადამიანს დაეხმარებოდა თავისი მეურნეობის მოწყობა–გაძლიერებაში. ილია ჭავჭავაძე ნიკო ნიკოლაძის არც სხვა

მოსაზრებანი გაიზიარა და გააკრიტიკა ისინი. ურთიერთობა მათ შორის კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც ქუთაისის ბანკის გამგეობის თავჯდომარედ თავადაზნაურობამ ბესარიონ ღოღობერიძე აირჩია. ილია ჭავჭავაძე მხარს უჭერდა ბესარიონ ღოღობერიძის კანდიდატურას, რადგან მას იგი მიაჩნდა უანგარო მამულიშვილად და საქმის მცოდნე პიროვნებად. თავად–აზნაურთა კრებაზე ,რომელმაც ბესარიონ ღოღობერიძე ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია, ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი და სერგეი მესხი ბესარიონ ღოღობერიძის მოწინააღმდეგე პარტიას შეუერთდნენ. ამის შესახებ სერგეი მესხი თავის მეუღლეს აცნობებდა :"ჩვენ, ე. ი. მე, ნიკოლაძესა და აკაკის ერთი მხრივ ილია ჭავჭავაძეს და საზოგადოდ ღოღობერიძეებს შორის მეორე მხრივ, ცოტაოდენი კინკლაობა მოგვივიდა. ქუთაისში დაიწყო საქმე, სადაც ჩვენ ერთი მხრივ ვიყავით, ცალკე პარტია შევადგინეთ და ღოღობერიძეები მეორე მხრივ". შემდეგ წერილში ს.მესხი უფრო გასაგებად ლაპარაკობდა, რომ მისი ი.ჭავჭავაძესთან დაშორება „ბესარიონ ღოღობერიძისადმი ილიას მიმხრობამ გამოიწვია. ამიტომ ჩვენ შორის ხომალდები დავწვით და ყველაფერი გათავდა".

ამგვარად, ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს შორის რამდენიმე ხნის წინათ ჩასახული უთანხმოება 1876 წლის აპრილში ქუთაისის ბანკის საზოგადო კრებაზე მათი გათიშვით დამთავრდა. ამან კიდევ უფრო გააძლიერა ილია ჭავჭავაძის ყურადღება ქუთაისის საადგილმამულო ბანკისადმი, რომელსაც მან მიუძღვნა წერილების სერია, რომელიც იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში", 1890 წელს კი გამოქვეყნდა ცალკე წიგნად საერთო სათაურით – „ქუთაისის ბანკის საქმე". მასში ილიამ დეტალურად გაარჩია ქუთაისის საადგილმამულო ბანკის საერთო კრების მიერ 1889 წელს მიღებული გადაწყვეტილებები. აღნიშნულმა კრებამ ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ დიმიტრი დადიანის ნაცვლად აირჩია ცნობილი ქუთაისელი ვექილი კალისტრატე ჩიკვაიძე. ამ ფაქტმა წარმოშვა ე. წ. „ქუთაისური ბანკოვიადა" კრების გადაწყვეტილებამ ქუთაისში და საერთოდ, საქართველოში დიდი მითქმა–მოთქმა

გამოიწვია. დ.დადიანის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ არჩევნები ბანკის წესდების უხეში დარღვევით ჩატარდა.

ილია ჭავჭავაძის წერილებიდან აშკარად ჩანს, რომ იგი 1889წლის ზაფხულში ჩატარებული ქუთაისის ბანკის გამგეობის თავმჯდომარის არჩევნებით კმაყოფილი არაა. მას მიაჩნია, რომ ახალმა თავმჯდომარემ თავისი საქმიანობა თვითნებობითა და ურჩობით დაიწყო, რასაც შედეგად მოჰყვა ბანკის ზედამხედველ კომიტეტსა და გამგეობას შორის ურთიერთობის გაუარესება. განსაკუთრებით აღუშფოთებია ი.ჭავჭავაძე 1889 წლის 16 ივნისის გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნებულ კ.ჩიკვაიძის ვრცელ ე. წ. „კონფიდენციალურ“ წერილს, რომელშიც ავტორი ყოველნაირად ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ თითქოსდა მოწინააღმდეგეები მას ებრძოდნენ იმის გამო, რომ იგი თავადიშვილი არ იყო. კ.ჩიკვაიძის აზრით, გამგეობის თავმჯდომარედ აზნაურთა წრიდან გამოსული პიროვნების არჩევა დემოკრატიის გამარჯვება იყო, ხოლო ი.ჭავჭავაძე თვლიდა, რომ, საკმარისია, კაცმა წაიკითხოს ეს წერილი, რომ თავზე ხელი წაივლოს უარესის მოლოდინითა და შეჰკივლოს: ეს რა ღვთის წყრომა გვეწვია და ვის ხელში ჩაგვიგდია ბანკიო! ამისთანა კადნიერი, ამისთანა უმართებელი, ამისთანა უწმაწური წერილი ძნელად დასაჯერებელია, რომ გამგეობის თავმჯდომარის ხელიდან იყოს გამოსული, ე. ი. იმ კაცის ხელიდან, რომელიც საზოგადოებას საზოგადო საქმის მოთავედ დაუყენებია.

„არ გვესმის, რისთვის არის დაწერილი ეს ამოდენა წერილი დავისთვის? ამ წერილებიდან უფრო ისა სჩანს, რომ მის დამწერს კრილოვის ზღაპრები კარგად სცოდნია და ბანკისა – კი მაგრე რიგად არა. აბა, რა მოსატანი იყო ბანკის საქმეში: ჩემის ამორჩევით საზოგადოებამ დაამტკიცაო, რომ დღეს ცუდმედიდობად გვარიშვილობისას და დიდ–კაცობისას ადგილი დააცლევინა და დაულოცა ვითომ–და ადამიანის ღირსებასაო. დეე, ამით გაბრიყვდეს, ვინც გასაბრიყვებელია და ჩვენ კი ვწუხვართ, რომ ახლად ამორჩეულს თავმჯდომარეს დიდპატარაობისას საღერღელის ამშლელი მიზეზი ასე უადგილო ადგილას საბუთად მოუხმარებია.“

ქუთაისის ბანკის გარშემო ატეხილ პოლემიკაში ოპოზიცია ამტკიცებდა, რომ თითქოს კ. ჩიკვაიძის წინააღმდეგ ბრძოლას საფუძვლად ედო მისი არათავადური წარმოშობა. ი.ჭავჭავაძემ ამხილა ასეთი ბრალდების უნიადაგობა და აჩვენა, რომ კ.ჩიკვაიძის წინააღმდეგ იბრძოდნენ არა იმიტომ, რომ აზნაური იყო, არამედ იმის გამო, რომ იგი თვითნებურად და საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლად მართავდა ბანკს. ილიას დასახელებულ ნაშრომში განსაკუთრებით საყურადღებოა ორი გარემოება: 1. იგი დეტალურად იცნობს ბანკის გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის საქმიანობის ამსახველ დოკუმენტაციას, ანალიზს უკეთებს მას და 2. ქუთაისი ბანკი საერთო ქართულ საქმეს ემსახურებოდა და ამის გამო მისი ბედით ყველა უნდა დაინტერესებულიყო, ვისაც საქართველოს კეთილდღეობა აინტერესებდა. ი.ჭავჭავაძე პირდაპირ წერდა,“ ქუთაისის ბანკის საქმე საერთო საქმედ მივიჩნიეთ და ჩვენც ისე გვაწუხებს, როგორც თითოეულ წევრს ქუთაისის საზოგადოებრიობისა, იმიტომ, რომ ამიერი და იმიერი არავის გაუყვია და იქაური ტკივილი ჩვენი ტკივილიც არის, რადგან ერთ–სულნი და ერთ–ხორცნი ვართ ერთმანეთის საბედნიეროდ“.

ილია ჭავჭავაძე საერთო ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მოწადინებული იყო ისევე მდგარიყო ქართველი ხალხის სამსახურში, როგორც თბილისის საადგილმამულო ბანკი, რომელსაც იგი ათეული წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა. **{ქებულაძე , 2009: 36-43]**

მიუხედავად იმისა, რომ საბანკო საკითხში ი. ჭავჭავაძისა და ნ. ნიკოლაძის შეხედულებანი ერთმანეთს არ ემთხვეოდა, მაგრამ საბოლოოდ მათი შეხედულებანი ძირითადად გამომდინარეობდნენ თერგდალეულთა სოციალურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობიდან. საქართველოს მაშინდელ ვითარებაში, როცა ქართველი ხალხი ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდა ი. ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეებს ხსენებული ბანკები მიაჩნდათ ერთი მხრივ ხალხის ცხოვრების მშვიდობიანი გარდაქმნის ერთ-ერთ საშუალებად - სამართლიანი საზოგადოების შექმნის გზად

ხოლო მეორე მხრივ , ქართული კულტურის გადარჩენის, მისი ძალადობისგან დაცვისა და შემდგომი განვითარების ერთ-ერთ საშუალებად; მათთვის ბანკი იყო მთელი ქართველი ერისათვის სასარგებლო დაწესებულება, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ქართველი ხალხის, მისი ყველა წოდების ეკონომიკური გაძლიერებისა და საერთო ეროვნული კულტურულ- საზოგადოებრივი დაწესებულებების საქმიანობისათვის.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში ქუთაისის საკრედიტო დაწესებულებებთან ახლო ურთიერთობაში იყო ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთი წარმომადგენელი, საზოგადო მოღვაწე ივანე პურადაშვილი. იგი ხანგრძლივი დროის მანძილზე მუშაობდა ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკში, ამიტომ მის მოგონებებს ქუთაისის ბანკების შესახებ დოკუმენტური მნიშვნელობა აქვს. ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის შესახებ იგი გადმოგვცემს, რომ მისი დანიშნულება იყო მემამულეებისათვის მიეცათ გრძელვადიანი სესხი მამულის გასაუმჯობესებლად და შენობების ასაგებად. სამწუხაროდ, თავადაზნაურობამ ეს პირობები ვერ გამოიყენა. იგი მამულს აგირავებდა, ფულს ღებულობდა და მამულის გაუმჯობესების მაგიერ ხარჯავდა დროს გატარებაში, ქეიფში და ტანსაცმელში. თავადაზნაურობას სანამდის ნასესხი ფული გასწვდებოდა, შეჰქონდა ბანკში სარგებელი და როცა გამოელეოდა იგი იღებდა კიდევ ახალ-ახალ ნაკვეთებს და თუ ამ საშუალებას იყო მოკლებული ბანკის გამგეობა გადაცილებულ დაგირავებულ მამულს საჯარო ვაჭრობით ყიდდა და ასე ეცლებოდათ მათ ხელიდან თავიანთი ადგილ-მამული. ცხადია, მამულის მეპატრონეები ამით ბანკის გამგეობაზე უკმაყოფილო რჩებოდა და მათ შორის მდგომარეობა თანდათან იძაბებოდა.

ქუთაისის საადგილმამულო ბანკი 1876 წელს დაარსდა, ბანკს ხელმძღვანელობდა გამგეობა, რომლის თავმჯდომარედ პირველად არჩეული იქნია ბესარიონ ღოღობერიძე, წევრები ნიკო ტარიელის ძე დადიანი და დავით გრიგოლის ძე ერისთავი. ეს გამგეობა ერთი წლის შემდგე შეიცვალა. მეორე წლიდან ბესარიონ ღოღობერიძე მისმა შვილმა ნიკოლოზ ღოღობერიძემ შეცვალა, ის იყო დიდად

განათლებული პიროვნება. გამგეობის წევრად ნ დადიანის ნაცვლად აირჩიეს ახალგაზრდა ვექილი მელქისედექ ფაღავა. ნ. ღოღობერიძე ედგა სათავეში ქუთაისის ,,სათავადაზნაურო“ ბანკს 5 წლის განმავლობაში (1879- 1884), ამის შემდეგ ნ. ღოღობერიძე თვითონ ჩამოშორდა ბაღს და ხელი მიჰყო ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას. ნიკოლოზ ღოღობერიძეს და მის ძმებს გიორგი და სიმონ ღოღობერიძეებს მარგანეცის საკუთარი მადნები ჰქონდათ ჭიათურაში და რადგან 80-იან წლებიდან მის მოპოვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის, მან ეს საქმე ამჯობინა და ბანკის თავმჯდომარეობა დიმიტრი ელიზბარის ძე დადიანს დაუთმო.

თავადაზნაურობამ გლეხების გათავისუფლების დროს მთვარობის დეკრეტის ძალით ხაზინიდან მიიღო გამოსყიდვის საფასური, სულზე საშუალოდ 25 მანეთი. ამ ფულიდან, როგორც ითქვა, 10% გადადებული იყო საადგილმამულო ბანკის დაარსებისათვის.

ბანკის მოქმედების დაწყების ჟამს ძირის თანხად დადებული იქნა 437.306 მან. აქედან 426.507 მან. შეტანილი იყო თავადაზნაურთაგან, ბანკის დამფუძნებელ წევრთაგან, ხოლო დანარჩენი 10.779 მან. იყო სარგებელი, შეკრებილი იმ ხანიდან როცა თავადაზნაურებმა გაიღეს ფული იმ დრომდე, სანამ ბანკი მოქმედებას დაიწყებდა.

პირველ წლებში ქუთაისის ბანკი საკმაო სიფრთხილით მოქმედებდა. ფაქტიურად ბანკმა მოქმედება 1876 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო და 1877 წლის დამლევამდე გასცა 334 ათასი მანეთი, აქედან სოფლის მამულებში 144 ათასი მანეთი, ქალაქისაში - 190 ათასი მანეთი, 1878 წელში გასცა 253 ათასი მანეთი, აქედან 137 ათასი მანეთი მოდიოდა სოფლის მამულებზე, ხოლო 80 ათასი მანეთი ქალაქის მამულებზე. 1879 წელს ქუთაისის ბანკს გაუცია 292 ათასი მანეთი სესხი, აქედან სოფლის მამულებში 90 ათასი მანეთი, ქალაქისაში 200 ათასი მანეთი. 1880 წლიდან ქუთაისის ბანკის მოქმედებაში მოხდა შესანიშნავი ცვლილება, აქედან იგი იწყებს ხელგაშლილად სესხის გაცემას, განსაკუთრებით ქალაქის მამულებში, მარტო ქუთაისის ქალაქის მამულებში სამი წლის განმავლობაში გაუცია 2 მილიონ 787 ათასი მანეთი. 1880 წელს

ბანკმა გაასესხა ერთი მილიონ 26 ათასი მანეთი, აქედან 897 ათასი მანეთი ქალაქის მამულებში, 128 ათასი მანეთი სოფლის მამულებში. 1881 წელს გასესხებულია მილიონ 315 ათასი მანეთი, სოფლის მამულზე- 180 ათასი მანეთი, 1882 წელს გაიცა სესხად ქალაქის მამულებში 755 ათასი მანეთი, სოფლის მამულებში 18 ათასი მანეთი. სულ 940 ათასი მანეთი. გ. მაიაშვილი აღნიშნავს, რომ 1882 წელს ქუთაისის ბანკმა 2260 ათასი მანეთი გასცა ქალაქის მამულებზეო.

ქალაქის მამულებში აგრე უხვად გაცემულ სესხს ეჭვში შეუყვანია სამინისტრო. საქმე ეხებოდა მცირე ქალაქებს და ასეთ შემთხვევაში ქალაქის მამულებს მცირე შემოსავალი ჰქონდათ და რატომ იყო დაინტერესებული ბანკი მცირე მოგების შემომტანი სესხის გაცემითო.

1881 წლის დამლევს ბანკის გამგეობამ ითხოვა 205 ათასი მანეთის გირაოს ფურცლების გამოცემის ნება. ქალაქის ადგილები, რომელთა გირაოს ქვეშ ეს ფული იცემოდა, იმნაირად იყო შეფასებული, რომ მათი წმიდა შემოსავალი ან სესხზედ წლიურად ბანკში შესატან თანხას უდრიდა, ან რამდენიმე მანეთით მასზე მეტი იყო, მაშინ როდესაც წესდების ძალით სესხად უნდა გაეცათ ადგილის შეფასების 60% და ამ სესხზედ წლიური შესატანი თანხა შემოსავლის 60% -ს არ უნდა აღმატებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში რა ანგარიში იქნებოდა ადგილის პატრონს ისეთი საშუალება ეხმარა, რომ მას ადგილი არ დაკარგოდა და შემოსავალი მთლიანად ბანკისთვის ეძლია. სამინისტროს აზრით, კავკასიის ქალაქებში მამულების შემოსავალი ყოველთვის საიმედო არ არის და ამიტომ ასე უანგაროდ სესხის გაცემა ბანკისთვის საზარალოა.

სოფლის ადგილებშიც სესხის გაცემა არასწორად წარმოებდა, ადგილები ერთობ ძვირად ფასდებოდა, თითოეულ დესეტინას ბანკი აფასებდა 500-700 მანეთად. მაშინ როდესაც ამის საფუძველი არ იყო, ცოტა შემოსავალი ჰქონდა. ზოგჯერ პირიქით, ადგილს საკმაო შემოსავალი ჰქონდა მაგრამ იაფად იყო შეფასებული. ამის გამო ფინანსთა სამინისტრომ მოითხოვა ქუთაისი საადგილმამულო ბანკს შეეჩერებინა სესხის გაცემა 1882 წელს. გ. მაიაშვილი ადარებს რა, ერთმანეთს თბილისის და

ქუთაისის საადგილმამულო ბანკების საქმიანობას, აღნიშნავს, რომ 1880 წელს თბილისის ბანკმა ორჯერ მეტი სესხი გასცა ვიდრე ქუთაისისამ: ასე, მაგალითად, ამ წელს თბილისის ბანკს გაცემული ჰქონდა 684 ათასი მანეთი .,ქუთაისისას - 374 ათასი მანეთი , ერთი წლის შემდეგ ქუთაისის ბანკი მილიონამდე ადის და უკან იტოვებს თბილისის ბანკს. ის გასცემს ქალაქის ადგილებზე 1. 222 ათას მანეთს, თბილისის ბანკი გასცემს 2207 ათას მანეთს. ქუთაისის ბანკი- 2260 ათას მანეთს. 1883 წელს თბილისის ბანკის მიერ გაცემული სესხი 2449 ათას მანეთს შეადგენდა, ქუთაისის ბანკის- 2702 ათას მან. მაგრამ ამ წელს იწყება ქუთაისის ბანკის ოპერაციების შესუსტება, ხოლო თბილისის ბანკის ოპერაციები სულ უფრო და უფრო იზრდება. როგორც ჩანს ფინანსთა სამინისტროს განკარგულებას, სესხის გაცემის აკრძალვის შესახებ, საგრძნობლად შეურყევია ქუთაისის ბანკი საქმიანობ ა და იგი იწყებს დაქვეითებას. ბანკის გამგეობის თავჯდომარის ნ. ღოღობერიძის მცდელობას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ამიტომ ნ. ღოღობერიძემ ადვილად დაუთმო ბანკის თავმჯდომარეობა დიმიტრი დადიანს და თვითონ ჭიათურის მარგანეცის საქმეს მოკიდა ხელი. დ. დადიანის, ცხადია, შეეცადა ბანკის მდგომარეობა გამოესწორებინა, მაგრამ საბანკო საქმის გარშემო შექმნილმა დაჯგუფებებმა ხელი შეუშალა მას მიეღწია წარმატებას, თუმცა 1886 წელს მაინც მიაღწია იმას, რომ ფინანსთა მინისტრმა გასცა განკარგულება ბანკისთვის სესხის გაცემის ნებართვის შესახებ.

80-იან წლებიდან ადგილმამულის ფასი გაძვირდა, ამის გამო გახშირდა სახლების მშენებლობა. მაგრამ ამ მდგომარეობას მოჰყვა სახლების ფასების დაცემა, რადგან მათი შემოსავალი კლებულობდა. ამ მდგომარეობას დაერთო, აგრეთვე ის, რომ 1883 წელს გაუქმდა კავკასიაში მეფის ნაცვლის თანამდებობა, ამის შემდეგ შემცირდა ხარჯები, ბაქოსა და ბათუმის რკინიგზის გაყვანამ კი სერიოზულად დააქვეითა ქუთაისის მრეწველობა და ვაჭრობა. დ. დადიანი შეეცადა ბანკის მდგომარეობა გამოესწორებია, ღებულობდა ზომების წინანდელი შეცდომებისგან თავის დასაღწევად, ბანკის ხელმძღვანელობა იჩენდა სიფრთხილეს მამულების შეფასებისა და გირაოს მიღების საქმეში, მაგრამ ამ განზრახვამ ნაყოფი ვერ გამოიღო. ქუთაისის საადგილმამულო

ბანკის მოწინააღმდეგეთა ბანაკის ერთ-ერთი წარმომადგენელი ქ. გელოვანი 1883 წელს გაზეთ ,,შრომაში“ წერდა: ,, ,, ჩვენმა საადგილმამულო ბანკებმა ვერ მოგვიტანეს ის სარგებლობა, რომელიც მათგან მოსალოდნელი იყო: ვერ წასწიეს წინ და ვერ გააუმჯობესეს ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა''.

1889 წლისათვის ქუთასის ბაკს დაარსებიდან გაცემული ჰქონია 3 მილიონ ნახევარი მანეთის სესხი, მაშინ როდესაც თბილისის ბანკის სესხი 8 მილიონამდე იყო ასული. მარტო 1889 წლის განმავლობაში თბილისის ბანკს გაუცია მილიონ 800 ათასი მანეთი. სესხი, მაშინ როდესაც ქუთაისის ბანკის მიერ გაცემული სესხი 228 ათას მანეთს შეადგენდა. წლიური მოგება ქუთაისი ბანკისა არ აღემატებოდა 95 ათას მანეთს, თბილისის ბანკის მოგება კი 200 ათას მანეთამდე ავიდა. რა იყო უმთავრესი მიზეზი ქუთაისის ბანკის დაქვეითებისა? ბანკის გამგეობის თავმჯდომარე დ. დადიანი ამ მიზეზს ასე ხსნის: ,, უსათუოდ საქმის უცოდინარობა და ამის გამო ერთმანეთს უნდობლობა და უსაფუძვლო შიში. რამდენჯერ მომიხსენებია სიტყვიერად თუ წერილობით- ბანკის მოქმედება სხვა გუბერნიაზედაც გავავრცელოთ მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ კაცს ყურადღება არ მიუქცევია. ჩვენ, როგორც ძუნწი ოცკლიტულში უნდა გვქონდეს შენახული ჩვენი ქონება, რომ თვალი არ ეცეს. დავხარჯოთ, საქმეს მოვახმაროთ, ისეთ რამეს მოვახმაროთ, რომ შემდეგში ათეული და ასეული ნაყოფი მოგვცეს, ამას ვინ გაბედავს, ყველას შიშით კბილები უკანკალებს, - ვაი თუ ვიზარალოთ, ვაი თუ ქურდობა შეგვწამონ. შევტირით ერთმანეთს, არა თუ ჩვენ სიმუხდლეს და საქმის უცოდინარობას, არამედ ბანკის უნაყოფობას. ოპერაციის გავრცელებისა და მოგების მიერ ჩვენი ბანკი სულ უკან და უკან მიდის და ან რა სიკეთე მოყვება, როცა ქუთაისს ვერ გასცილებია. საზოგადოება ყოველსავე თავისს საჭიროებას და ხარჯს ბანკსა სთხოვს. როგორ უნდა მოხდეს ეს, თუ კი ბანკს სესხის გამრავლების ნებას არ მისცემენ და საკმაო მოგება არ ექნება?

დ. დადიანი შემდეგ მიუთითებს, რომ ახლა თბილისში სახელმწიფო ბანკი უნდა დაარსდეს და ამით სათავადაზნაურო ბანკს დიდი განსაცდელი მოელისო. ახალი ბანკი მეტ შეღავათს აძლევს თავადაზნაურობას და ამიტომ ჩვენ ბანკში

დაგირავებულთაგან ბევრი მამული გადავა სახელმწიფო ბანკშიო. ამიტომ საჭიროა ჩვენი ბანკის ოპერაციების გავრცელება სხვა გუბერნიაშიც . ანდა უნდა შევუერთდეთ თბილისის ბანკსო.

დ. დადიანი ქუთაისის ბანკის წარუმატებლობის მიზეზს სწორად ვერ ხსნის. სინამდვილეში ბანკის საქმიანობას დაქვეითება იმის შემდეგ იყო, რომ ბანკის მმართველ გამგეობას თავიდანვე ოპოზიციაში ედგა თავადაზნაურთა ძლიერი დაჯგუფება, ხელს უშლიდა მას საქმიანობას . თავადაზნაურთა დაჯგუფებამ, გამუდმებულმა საჩივრებმა, ბანკი უნდობლობის გარემოში მოაქცია, მისი კეთილდღეობა მამულების შემფასებელი კომიტეტის კეთილსინდისიერებაზე იყო დამოკიდებული და სწორედ ამ დარგში ჰქონდა ქუთაისის ბანკს ყველაზე დიდი ნაკლი. შემფასებელი კომისიის უმრავლესობა არ იჩენდა საჭირო ობიექტურობას და კეთილსინდისიერებას. ძირითადი ბრალდება ის იყო, რომ გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი ნაკლებად სანდო პირებს ირჩევდნენ მამულების შემფასებლად. ბანკის გართულებული მდგომარეობით ისარგებლა ოპოზიციამ და გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია განათლებით იურისტი, ქუთაისში განთქმული ვექილი: კირილე ჩიკვაიძე, რომელიც მანამდე თავისი მომხრეებით ოპოზიციაში ედგა ბანკის ხელმძღვანელობას. ახლა მისი თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ მდგომარეობა იცვლება: ბანკის წინანდელი მესვეურები იკავებენ ოპოზიციის ადგილს. მაგრამ ამან მაინც ვერ უშველა ქუთაისის ბანკს, კიდევ მეტი კ. ჩიკვაიძის ხელმძღვანელობის პერიოდში(1889-1902წწ) ქუთაისის ბანკი დაღმავლობას დაადგა. თუ ადრე წესდების მოთხოვნის თანახმად მკაცრად ეპყრობოდნენ ბანკის მსესხებლებს, სთხოვდნენ გადასახადების დროზე შეტანას და წინააღმდეგ შემთხვევაში მამულსაც კი უყიდიდნენ, ახლა ჩიკვაიძემ სულ სხვა გეზი აიღო. ის მსესხებლების მიმართ იჩენდა შემწყნარებლობას, შედიოდა მათ მდგომარეობაში და ჯერდებოდა შემოსატანის მცირე ნაწილსაც, მათი ადგილმამულები იხსნებოდა საჯარო ვაჭრობიდან ასეთი მეთოდით მსესხებლები ძლიერ მადლიერი რჩებოდნენ, მაგრამ ბანკის საფინანსო მდგომარეობა უარესდებოდა. იგი თანდათან

კარგავდა თავის პოზიციას ბირჟაზე, ეცემოდა გირაოს ფურცლების ფასი, თუ წინად ქუთაისი ბანკის ფურცლები პეტერბურგის ბირჟაზე თბილისი ბანკის ფურცელზე უფრო მეტად ფასობდა, ახლა მათი ფასი საგრძნობლად დაეცა. ბანკზე დაცემული მამულების რიცხვი და ვადაგადაცილებული სესხები ძლიერ გაიზარდა. სავალდებულო ყოველწლიური გადასახადები ბანკში არ შედიოდა და იზრდებოდა ნარჩენების რიცხვი. ადგილის ყიდვის დროს მყიდველებს უნდა შეეტანათ ნარჩენები სრულიად და შემდეგ ყოველწლიურად უნდა შეეტანათ განსაზღვრული რაოდენობის თანხა. ქალაქის მამულებზე უფრო მძიმე ტვირთად აწვა ბანკს სოფლის მამულები. დასავლეთ საქართველოში მსხვილი და შეძლებული მემამულენი ძლიერ ცოტა იყო. წვრილი მემამულენი კი თავად იყვნენ დავალებულნი. ერთი სიტყვით აღნიშნულ პერიოდში ქუთაისის ბანკი დაღუპვის გზაზე იყო დამდგარი კ. ჩიკვაიძე კი ,მორიგ არჩევნებში თავისი მომხრეების წყალობით ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა.

როგორც აღვნიშნეთ 1883 წლიდან იწყება დასუსტება ქუთაისის ბანკისა და ძლიერდება თბილისის ბანკი. თბილისი ბანკის მიერ გაცემული სესხი ადის 12 მილიონამდე. ქუთაისის ბანკი კი იძულებულია სანახევროდ შეამციროს თავისი ოპერაცია უძრავ ქონებაზე სესხის გაცემისა. თბილისის ბანკმა ჩამოაცილა ქუთაისი ბანკს მსესხებელნი. 1891 წლიდან 1894 წლამდე სულ გადმოვიდა მამულები თბილისის ბანკში 488.934 მან. ვალით.

1894-95 წლებში თბილისის ბანკმა გამოსტაცა ქუთაისის ბანკს 840.400 მან. სესხი. ამის მიზეზი იყო ის, რომ ქუთაისის ბანკში ქალაქის მამულებზე მსესხებელი 100 მანეთ ვალზე ყოველწლიურად იხდიდა 3 მანეთს. თბილისის ბანკი ერთმანეთს ახდევინებდა. ეს იყო შეღავათი და ამიტომ გადადიოდნენ თბილისის ბანკში გარდა ამისა ქუთაისი ბანკში იყო გამწვავებული სადავო ბრძოლა და ამიტომ ფრთხილი მსესხებელნი ამჯობინებდნენ გაცლოდნენ ამ გაუთავებელ დავას.

ქუთაისის ბანკს მოქმედების დაწყებისას (1997წ) ძირის თანხა ჰქონდა 437.306. მან. ხოლო აღნიშნული წლიდან 1895 წლამდე მისი საერთო მოგება შედგენდა

1.672.196 მანეთს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბანკმა 487 ათასი მანეთის შემწეობით მოახერხა გაეცა ამ 19 წლის განმავლობაში მილიონ ნახევარზე მეტი ფული და თანაც ხელუხლებლად შეინახა თავისი ძირის თანხა. ეს მოგება შესდგებოდა შემდეგი ნაწილებისაგან: 1. მსესხებელთაგან ბანკის სასარგებლოს შესატანი თანხა (1%), 2. ერთგზის შესატანი ბანკის სასარგებლოდ (1%), 3.გირავნობის ფურცლებიდან შემოსული სარგებელი 4. სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებებიდან შემოსული სარგებელი, 5. ჯარიმების სახით შემოსული თანხა. როგორი იყო ქუთაისის ბანკის ხარჯი? ბანკის ხარჯებიდან ყველაზე შესამჩნევ ნაწილს შედგენდა ჯამაგირებისა და ბანკის გამგებლობის ხარჯი 1877 წლიდან 1895 წლამდე იგი შედგენდა 502 629 მანეთს. დაახლოებით მოგების ერთი მესამედი. ცხადია, რომ მოგების 30% ჯამაგირებისა და ბანკის გამგებლობისათვის მეტისმეტად დიდია. გ. მაიაშვილს თავისი ნაშრომში მოჰყავს ბანკის რევიზიის მონაცემები, საიდანაც ირკვევა, რომ 1893წ. პეტერბურგის ბანკში ჯამაგირებზე იხარჯებოდა მოგების 25%, მოსკოვში 12 %, თბილისის ბანკში 29%. თბილისის ბანკს 1894 წელს შემოსვლია 266384 მანეთი. 1885წელს - 384 მანეთი. ჯამაგირების სახით გაუციათ 1894 წელს - 78985 მანეთი, 1895 წელს 87. 592 მანეთი (31%).

19 წლის განმავლობაში ქუთაისის ბანკმა საზოგადო საჭიროებისათვის გაიღო 502. 283 მან. თბილისისამ - 448. 692 მან. ასეთი სხვაობა აიხსნება იმით რომ ქუთაისის ბანკი იძლეოდა საზოგადო საჭიროებისათის მოგების 60%, ხოლო თბილისის ბანკი- 35%. თბილისი ბანკმა 1881 წელს მოიპოვა უფლება თავისი ოპერაციების გაფართოებისათვის და თავისი მოქმედების გავრცელებისა თბილისის გუბერნიის გარდა ერევნის, ბაქოს, განჯის და ქუთაისის გუბერნიაშიც. აგრეთვე სოხუმის სამხედრო განყოფილებაში, ხოლო 1893 წელს ქ. ქუთაისშიც. ამასთან ერთად თბილისი ბანკს ნება მიეცა გირავნობის ფურცელთა განუსაზღვრელი რაოდენობით გამოცემისა, რადგან წესდებაში ჩართული იყო მუხლი ურთიერთობისა ყოველთა მსესხებელთა საურთიერთო თავდებობისა.

ქუთაისის ბანკი იმ წრეზე იდგა 1896 წელს რა წრეზეც იდგა 1880 წელს. არავითარი დიდი შემატება მას არ ჰქონია გარდა იმისა, რაც მან მოიპოვა 1880 წელს (ემოქმედა თბილისის გუბერნიაში), ხოლო 1895 წელს მოიპოვა ბათუმში მოქმედების უფლება. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ 1893-1895 წლებში ქუთაისის ბანკის წმინდა მოგება შეადგენდა 93.510 მანეთს, თბილისის ბანკის კი- 614.580 მან. ე .ი. თბილისის ბანკი 1 წლის განმავლობაში იღებს იმდენ მოგებას რამდენსაც ქუთაისი ბანკი იღებს 6,5 წელიწადში. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ბანკი წმინდა მოგების 35 პროცენტს სდებდა საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, ქუთაისი ბანკი კი თითქმის 2-ჯერ მეტს (60%), მაინც საზოგადო საჭიროებისათვის გადადებული თანხა 90-იან წლებში ბევრად მეტი იყო თბილისის ბანკში, ვიდრე ქუთაისში. მაგალითად: 1893-1895 წლებში ქუთაისის ბანკმა ქვეყნის სასარგებლოდ გადასდო 56.105 მან. თბილისისამ- 221.755 გ. მაიაშვილი ამას იმით ხსნის, რომ თბილისის ბანკის მესვეურები უფრო გონივრულად და გულმოდგინედ უდგებოდნენ საქმეს ვიდრე ქუთაისის ბანკის ხელმძღვანელობა. ცხადია, ამ მხრივ თბილისის ბანკს ქუთაისის ბანკთან შედარებით დიდი უპირატესობა ჰქონდა რადგან თბილისის ბანკს სათავეში ი.ჭავჭავაძე ედგა, ხოლო ქუთაისის ბანკი კ. ჩიკვაიძის ხელში დაცემის გზაზე იყო დამდგარი, რის შესახებაც ზემოთ საუბარი გვქონდა.

ბანკის ასეთი მდგომარეობით ისარგებლეს გამგეობის ოპოზიციაში მდგომმა პირებმა და მთავრობას მიმართეს დახმარებისათვის. მთავარმმართველის შუადმგომლობით მთავრობამ კ. ჩიკვაიძე 1902 წელს გადააყენა თანამდებობიდან და მის მაგიერ დანიშნეს სამინისტროს წარმომადგენელი - მელნიკოვი. ეს უკანასკნელი მალე შეცვალეს ერემეევით.

როცა მოქალაქე მელნიკოვი ქუთაისში ჩამოვიდა კარგად მოეწყო, საზოგადოებამ იგი მიიღო, ყველგან პატივს სცემდნენ, მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, ამ ყოველივეს თან სდევდა ქართული ჩვეული მასპინძლობაც, ისიც შეეჩვია თავის ახალ მდგომარეობას, ხშირად იყო თავდავიწყებამდე შექეიფებული, რასაც თავისი ცუდი შედეგებიც მოჰყვა, მას სასამართლომ დარღვევისთვის 7 დღით პატიმრობა

მიუსაჯა, ეს ყოველივე საზოგადოებას ამცნო გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“. მელნიკოვს უკვე აკონტროლებდნენ , ის ქუთაისში დიდხანს აღარ დარჩენილა, გადაიყვანეს სხვა რეგიონში, მის მაგიერ კი მოვლინებულ იქნა მოქალაქე ერემეევი.

ეს უკანასკნელი გამოდგა თავდაჭერილი, საქმის მცოდნე და შეგნებული ადამიანი. მალევე დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება, ბანკის საქმეები თანდათან უკეთ და უკეთ მიდიოდა, ბანკმა მოიპოვა ნდობა და გირაოს ფურცლები კვლავ ბირჟაზე გამოიტანეს. 1910 წლის ივლისში ერემეევმა თბილისი დატოვა და როსტოვში გადავიდა [**პურადაშვილი, 2009 : 220**]

ცნობის ფურცელში გამოქვეყნებულია მცირე სტატია ასეთი სათაურით: „თავმჯდომარე ქუთაისის მიხეილის სათავადაზნაურო ბანკისა“ ამით ვაცხადებ, რომ ვისაც სურს დააგირაოს ქუთაისის ბანკში ტფილისის გუბერნიის სოფლისა და ქალაქების უძრავი მამულები, შუძლიან მიჰმართოს ბანკის მმართველობისაგან აგენტად დანიშნულს ნ. ს. გუგუშვილს, რომელიც სცხოვრობს სტფილისში ცერკოვნი ქუჩაზე № 22. (თავმჯდომარე მმართველობისა გიორგი მელნიკოვი)[**„ცნობის ფურცელი“ 1903 #2087**]

ამ მდგომარეობამ შესაძლებელი გახადა ქუთაისის ბანკის საქმიანობის გაგრძელება. 1903 წელს ბანკის მიერ გატარებულ იქნა გრძელვადიანი სესხი: 509.700 მანეთის რაოდენობით, მათგან ქალაქის მამულებზე 2306100 მანეთი . სოფლის მამულებში- 203600 მანეთი მოკლევადიანი სესხი გაცემული იქნა 736600 მანეთი , მთლიანად გაცემული სესხი შეადგენდა 2583300 მანეთს გრძელვადიანი სესხიდან დაფარული იქნა 266582 მანეთი, მოკლევადიანი სესხიდან _ 65150 მანეთი , ბანკმა მიიღო 143453 მანეთი შემოსავალი , ბანკს სუფთა მოგება დარჩა 72193 მანეთი. მმართველობისა და გასავლის სხვა ხარჯების შემდეგ. 1904 წელს ბანკის მიერ მიღებული იქნა გირაოს ქვეშ 39 მამული, რომელზედაც გაცემული იქნა 105100 მანეთი. სულ 1904 წლის 1 იანვრისთვის ბანკზე ირიცხებოდა გირაოს ქვეშ 1152

მამული რომელთა ფართობი შეადგენდა 129065 დესეტინას. მათი ღირებულება შეადგენდა 3638400 მანეთს, სესხი - 945700 მანეთს.

აქედან ჩანს რომ ქუთაისის ბანკის ოპერაციები ამ წლებში მყარ ნიადაგზე იდგა. მიწათმფლობელები ღებულობდნენ კრედიტს იაფად და ბანკიც სარგებლობას ნახულობდა. შესაძლებელი შეიქმნა მოგებიდან მიღებული სახსრები ბანკს გამოეყო სხვადასხვა საზოგადოებრივ საჭიროებაზე. მაგრამ თავადაზნაურობა მაინც ვერ იყენებდა ამ სესხის პირდაპირი დანიშნულებისთვის, რის გამო ისინი ბანკის დავალიანებაში და მამულები სხვის ხელში გადადიოდა. ქუთაისის გუბერნიაში იზრდებოდა უმიწო და მცირე მიწიანი თავადაზნაურთა რიცხვი. ერემეევის თავმჯდომარეობის დროს (1905-1911წწ). ქუთაისის ბანკის საქმიანობა გამოკეთდა, მან ნდომა მოიპოვა, გირაოს ფურცლები კვლავ გამოიტანეს ბირჟაზე და მიუხედავად ქვეყანაში მიმდინარე 1905-1907 წლების ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევოლუციისა და რეაქციის პერიოდისა ბანკის ქაღალდების ფასი თანდათან მატულობდა .საბანკო ბალანსის გაუმჯობესების შედეგად საზოგადოების შუამავლობის საფუძველზე ბანკს მოეხსნა მთავრობის მეურვეობა. 1910 წელს ერემეევი მ. ფაღავამ შეცვალა და ქუთაისის ბანკმა ავად თუ კარგად შეძლო ემოქმედა 1917 წლამდე.[**ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, 1993 : 80-90**]

ქუთაისის საადგილმამულო ბანკმა 1921 წლამდე ოფიციალურად იარსება და თავისი არსით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა რუსეთში არსებული ანალოგიური დაწესებულებებისგან ის ევროპული ტიპის პირველი მსხვილი საკრედიტო დაწესებულება იყო, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, ქუთაისის ბანკი დასავლეთ საქართველოში ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მატერიალურ დასაყრდენს და მის ორგანულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია აღნიშნული ბანკის 8803 შესანახი ერთეული, რომლებიც სრულად ასახავენ აღნიშნული დაწესებულების საქმიანობას, ფონდში დაცული დოკუმენტები მრავალფეროვანია, დაცულია მასალები ბანკში

დაგირავებულ ქონებაზე, დამგირავებლებზე, მხოლოდ ქუთაისის შესახებ დაცულია 140 გეგმა პროექტი, ბათუმის 51, სოხუმის-45, ფითის-29, თბილისის-84 და დოკუმენტები, რომლებიც ბანკის სხვადასხვა დაწესებულებასთან ურთიერთობას ასახავს ბანკი წლების განმავლობაში აფინანსებდა სათავადანაურო გიმნაზიას, რამდენიმე სკოლას, ქართულ თეატრს, ქართული წიგნის გამოცემას, დაცულია ცნობები ბანკში დაგირავებულ ქონებაზედა დამგირავებლებზე, დიდი მისი როლი ქალაქის განვითარების და მატერიალური კეთილდრეობის საქმეში. [**საქართველოს ეროვნული არქივი: 2015**]

მიუხედავად იმისა, რომ საადგილმამულო ბანკების მოღვაწეობამ თავიდანვე მიიპყრო ქართული საზოგადოებრიობის ყურადღება, მათ შესახებ არსებული ისტორიოგრაფია არც თუ ისე მდიდარია. გარდა ნ.შველიძის საფუძვლიანი და საინტერესო მონოგრაფიისა „საქართველოს სოციალ–ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან“, რომელშიც განხილულია თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკების მოღვაწეობა და რომლის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი, ცალკე ქუთაისის საადგილმამულო ბანკის შესახებ, ამ სახის სხვა ნაშრომი არ გვაქვს.

საადგილმამულო ბანკების შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ალექსანდრე წულუკიძეს, იოსებ სტალინს, არჩილ ჯორჯაძეს, ნოე ჟორდანიას და სხვებს. ა.წულუკიძის აზრით ქუთაისის საადგილმამულო ბანკის ირგვლივ გამართულ ბრძოლაში აშკარად იგრძნობოდა კლასობრივი ინტერესების შეჯახება და რომ მასში ახლად აღორძინებულმა ბურჟუაზიულმა კლასმა მოიდგა ფეხი. ა.წულუკიძე და ი.სტალინი საადგილმამულო ბანკებში ხედავდნენ კაპიტალისტური განვითარებისთვის ხელშემწყობ ორგანოებს, რომლებიც გასცდნენ ვიწრო წოდებრივ დაწესებულებათა სფეროს და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სამსახურში ჩადგნენ.

საადგილმამულო ბანკების შესახებ საწინააღმდეგო შეხედულებანი განავითარა ქართული საზოგადოებრივი აზრის ერთ–ერთმა თვალსაჩინო მკვლევარმა, ცნობილმა

პუბლიცისტმა არჩილ ჯორჯაძემ. მისი აზრით, სათავადაზნაურო ბანკები საქართველოში წოდებრივი დაწესებულებები იყო ,რომლებიც თავადაზნაურობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. ა.ჯორჯაძეს მიაჩნდა, რომ თავადაზნაურობა საზოგადოების მცირე ნაწილს შეადგენდა და მათი დახმარება მწარმოებელი კლასის პროტესტს გამოიწვევდა. ა.ჯორჯაძე თვლიდა, რომ ი.ჭავჭავაძეს არასოდეს შეუხედავს ბანკებისთვის ამ თვალსაზრისით და ამიტომ იყო, რომ მან ბანკს შეალია მთელი თავისი გონებრივი და ზნეობრივი ძალა. ა.ჯორჯაძის შეხედულება საადგილმამულო ბანკების მნიშვნელობაზე, რასაკვირველია ცალმხრივია და არ არის გაზიარებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

საადგილმამულო ბანკების შესახებ არასწორი შეხედულებანი განავითარა ქართველ ბოლშევიკთა ერთ–ერთმა ლიდერმა ფილიპე მახარაძემ ალექსანდრე წულუკიძისადმი მიძღვნილ სტატიაში, რომელიც 1927წელს დაიბეჭდა. „ერთ–ერთი საკითხი, რომელიც იმ ხანებში იპყრობდა მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის და პრესის უდიდეს ყურადღებას, – წერდა იგი – ბანკის საკითხი იყო, უფრო სისწორით რომ ვთქვათ თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკების ბედი... შეიძლება ითქვას, რომ მაშინდელი ინტელიგენცია ბანკების საკითხში ორ ბანკად იყო გაყოფილი, მაგრამ არ გეგონოთ რომ ამ მხრივ მას რაიმე პრინციპული საკითხი ყოფდა. აქ იყო მხოლოდ პირადი ინტერესები. თბილისის ბანკის ირგვლივ ერთმანეთს ებრძოდა ორი თავადი ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი და მათი ამყოლ–დამყოლნი. ქუთაისის ბანკის ხელში ჩასაგდებად იბრძოდნენ თავადი დადიანი და აზნაური ჩიკვაიძე. საქმე მხოლოდ იმაში იყო, თუ ვინ ან რომელი ჯგუფი ჩაიგდებდა ხელში სათავადაზნაურო ბანკს, რადგან ეს კარგა მოზრდილი და გემრიელი ლუკმა იყო.

საადგილმამულო ბანკების მოღვაწეობის შეფასება სცადა გ.გიორგაძემ თავის შრომაში „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე“ ,რომელიც 1928წელს გამოქვეყნდა. მკვლევარი სწორად აღნიშნავდა ,რომ ბანკი, რომელიც თავადაზნაურული

მეურნეობის ხელშეწყობის მიზნით დაარსდა, ცხოვრების ულმობელმა ობიექტურმა პირობებმა სულ სხვა გზით წარმართა, რომ იგი გამოვიდა წოდებრიობის ვიწრო ფარგლებიდან და წმინდა საკრედიტო დაწესებულებად იქცა. მაგრამ ავტორი საბანკო ბრძოლას, როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში თავადაზნაურობის შიგნით არსებული ინტრიგებით ხსნის. მას მთელი „ბანკობიადა“ პირად კინკლაობამდე დაჰყავდა. მისი აზრით „პირადი ინტერესების, ინტრიგანობის და მტრობის ზღვაში ცურავდნენ“ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ყიფიანი, ივანე მაჩაბელი და სხვები.

თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი ს.ხუნდაძე, იკვლევდა რა ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, დიმიტრი ყოფიანის, გიორგი წერეთლის, ივანე მაჩაბლის და სხვა მოღვაწეთა საზოგადოებრივ–ეკონომიკურ შეხედულებებს თავის შრომებში შეეხო, აგრეთვე, სათავადაზნაურო ბანკებისა და მათ ირგვლივ ატეხილი ბრძოლის საკითხსაც. მან მონოგრაფიაში „დიმიტრი ყოფიანი“, რომელიც 1935წელს გამოაქვეყნა, განსაკუთრებით, ფართოდ განიხილა 80_იანი წლების საბანკო ბრძოლა დიმიტრი ყიფიანსა და ილია ჭავჭავაძეს შორის. იგი თვლიდა, რომ ილია ჭავჭავაძეცა და დიმიტრი ყიფიანიც თავადაზნაურული წოდებრივი თვალსაზრისის გამომხატველები იყვნენ. ავტორის მიხედვით, ი.ჭავჭავაძე მსხვილი თავადაზნაურობის იდეოლოგია, დ.ყიფიანი კი თავადაზნაურობის ინტერესების დამცველი. ასევე მას მიაჩნდა, რომ 90_იანი წლების „ბანკობიადაში“ არავითარ კლასობრივ ბრძოლას არ ჰქონდა ადგილი ილიაცა და ივანე მაჩაბელიც ერთი და იგივე კლასის იდეოლოგები იყვნენ. ამასთან ერთად, ივანე მაჩაბელი ბევრად უფრო პროგრესული იყო, ვიდრე ილია.

ზემოთ დასახელებული ავტორები საადგილმამულო ბანკების საქმიანობის შეფასებისას თითქმის არაფერს ამბობდნენ იმ დიდ კულტურულ–საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობაზე, რომლებსაც ისინი ეწეოდნენ მოწინავე ინტელიგენციის თაოსნობით.

საადგილმამულო ბანკების შესახებ ისტორიოგრაფიაში ძირითადად სწორი შეხედულებაა დამკვიდრებული. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი **ა.კიკვიძე თავის შრომებში „საქართველოს ისტორია XIX–XX საუკუნეებისა“ ნაწილი II(გამოქვეყნდა 1959წელს) და „საქართველოს ისტორია 1801–1890 წლებში“ (გამოქვეყნდა 1977წელს)** საადგილმამულო ბანკების მოღვაწეობას განიხილავს როგორც საკრედიტო დაწესებულებას და აფასებს არა მარტო ქვეყნის სამეურნეო–ეკონომიკურ ცხოვრებაში, არამედ ხაზგასმით აღნიშნავს იმ თვალსაჩინო დამსახურებასაც, რაც ბანკებმა შეასრულეს ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ა.კიკვიძის აზრით „ბანკი ადრევე გასცილდა წოდებრივ ფარგლებს. წინააღმდეგ თავის დამფუძნებელ თავადაზნაურების ინტერესებისა და და იგი იქცა კომერციულ–ბურჟუაზიულ დაწესებულებად, რომელმაც ძირი გამოუთხარა თავადაზნაურობის მემამულობას და დააჩქარა მისი ეკონომიკური დაცემა“. ავტორმა სწორად განსაზღვრა, აგრეთვე, საადგილმამულო ბანკების გარშემო ატეხილი ბრძოლის ხასიათი. „ქართული საადგილმამულო ბანკის მუშაობის მწვავე ხასიათი ჰქონდა ფრაქციულ ბრძოლას, რასაც „ბანკობიადა“ უწოდეს, – წერდა იგი. გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, ეს არ იყო ცალკეულ პირთა უპრინციპო ბრძოლა, არამედ იგი გამოხატავდა ქართული თავადაზნაურობის სხვადასხვა ფენის და სხვადასხვა საბანკო პოლიტიკის მომხრეთა შორის არსებულ წინააღმდეგობას.

ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ–ეკონომიკურ შეხედულებათა განხილვის დროს საადგილმამულო ბანკების საკითხს ეხება პროფ. პ.რატიანი. ავტორის აზრით „თბილისის სათავადაზნაურო–სამიწათმოქმედო ბანკი არ ყოფილა ჩვეულებრივი ტიპის საკრედიტო დაწესებულება. ის, ისევე როგორც ქუთაისის ბანკი, უაღრესად თავისებური დაწესებულება იყო, რომლის დაარსება და საქმიანობა განსაზღვრა საქართველოს ცხოვრების იმდროინდელმა უაღრესად თავისებურმა პირობებმა“, რომ „თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკები და აგრეთვე ის ბრძოლა, რომელიც მათ ირგვლივ იყო გაჩაღებული, მიჩნეული უნდა იქნას, როგორც თავის დროისათვის უაღრესად დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენა,

რომელშიაც გამოხატულება ჰპოვა ქართული საზოგადოების სხვადასხვა კლასის ინტერესთა დაპირისპირებამ.

საადგილმამულო ბანკების შესახებ ცალკეული საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული პროფ. ვ.ბახტაძეს ,პროფ. ლ.გორგილაძეს და სხვებს.

თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკების, როგორც საკრედიტო დაწესებულებების მოღვაწეობა ვრცლად აქვს განხილული პროფ. **პ.გუგუშვილს თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX -XX საუკუნეებში“ (ტომი II)**

საადგილმამულო ბანკების როლსა და მნიშვნელობაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული შეხედულებანი ერთგვარად შეჯამებულია საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში,(გამოქვეყნდა 2004წელს),საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო მეორე ტომსა და საქართველოს ისტორიის მე–5ტომში(რედაქტორი ირაკლი ანთელავა).

„საქართველოს საადგილმამულო ბანკების თავდაპირველ მიზანს სასოფლო სამეურნეო კრედიტის გაცემა შეადგენდა, მაგრამ ვაჭრობა–მრეწველობის აღმავლობისა და ქალაქების ზრდის პირობებში მათ იკისრეს კომუნალური და კომერციული ბანკების ზოგი ფუნქციაც“ – ნათქვამია საქართველოს ისტორიის ნარკვევებში. საადგილმამულო ბანკები და საერთოდ საკრედიტო დაწესებულებები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ კაპიტალისტური მეურნეობის სისტემებში. ისინი აწარმოებდნენ საშუამავლო ოპერაციებს, ანგარიშსწორებას კაპიტალისტსა და სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკების მოღვაწეობასა და ისტორიას სპეციალური ნაშრომი მიუძღვა, როგორც უკვე აღინიშნა, **ნოდარ შველიძემ, რომელიც 1967წელს გამოქვეყნდა სახელწოდებით „საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან“(1864–1921).** ნაშრომი შედგება შესავლისა და

4თავისაგან.შესავლის პირველ ნაწილში ავტორი განიხილავს საადგილმამულო ბანკების შესახებ არსებულ წყაროებს და ლიტერატურას, ხოლო მეორე ნაწილში ზოგადად წარმოგვიდგენს რეფორმის შემდეგდროინდელ ხანაში მეფის მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას საქართველოში. ავტორის სავსებით სამართლიანი მტკიცებით, საქართველოს პოლიტიკური დაპყრობის შემდეგ, ცარიზმი ენერგიულად შეუდგა ქვეყნის ეკონომიკურ დაპყრობას. აქ მეფის მთავრობას სერიოზული კონკურენტები ჰყავდა(საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია). საქართველოს ეკონომიკური ათვისება რუსეთთან მჭიდრო სავაჭრო–ეკონომიკურ ურთიერთობას გულისხმობდა. საქართველო უნდა მოქცეულიყო რუსეთის ერთიანი სავაჭრო–სამრეწველო ეკონომიკური ურთიერთობის მთლიან სისტემაში, როგორც მისი ერთი შემადგენელი ნაწილი. ამ საქმეში, ავტორის აზრით, დიდი როლი უნდა შეესრულებინა საკრედიტო დაწესებულებებს, მათ შორის, საადგილმამულო ბანკებს. ავტორის განმარტებით, რუსეთის საკრედიტო სისტემაში და საერთოდ, ცარიზმის ეკონომიკურ პოლიტიკაში საქართველოს მიმართ შემობრუნება ხდება მე–19 საუკუნის 60–იანი წლებიდან საგლეხო რეფორმის გატარებისა და ერთიანი კაპიტალისტური საკრედიტო სისტემების შემოღების შემდეგ.

საგლეხო რეფორმა საქართველოში როგორც ცნობილია, მებატონე–თავადაზნაურობისათვის უფრო ხელსაყრელ პირობებში გატარდა, ვიდრე რუსეთში. მაგრამ, მიუხედავად ამისა საგლეხო რეფორმის შემდეგ კაპიტალიზმის განვითარების პირობებში, სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა თავადაზნაურობისა და მისი მეურნეობის დაქვეითების პროცესი. ცარიზმი ცდილობდა ამ პროცესის შეჩერებას და ახალი პირობებისადმი მათ შეგუებას. იგი ფართოდ იყენებდა საკრედიტო დაწესებულებებსა და პირველ რიგში საადგილმამულო ბანკებს. „მეფის მთავრობა კმაყოფილებით შეხვდა, წერს ნ.შველიძე, ქართველი თავადაზნაურობის ინიციატივას საკრედიტო დაწესებულებების დაარსების შესახებ, რადგან მემამულური მიწათმფლობელობის შენარჩუნება–განახლებისათვის ზრუნვა ცარიზმის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა, ხოლო

საქართველოს სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკები ამ პოლიტიკისათვის შესაბამისი და სავსებით მისაღები დაწესებულებანი იქნებოდა.

თბილისის და ქუთაისის საადგილმამულო ბანკები ფინანსთა სამინისტროს კონტროლქვეშ აწარმოებდნენ სასესხო ოპერაციებს. ეს იმას ნიშნავდა, რომ მათი, როგორც საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობა არ ეწინააღმდეგებოდა მეფის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებას უფრო მეტიც, ისინი ადგილზე ამ პოლიტიკის გატარების ერთ–ერთ რგოლად უნდა ქცეულიყვნენ“.

ნოდარ შველიძის ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება თბილისის და და ქუთაისის საადგილმამულო ბანკების დაარსებას, მათ წესდებას და ორგანიზაციულ წყობას. ავტორი დეტალურად განიხილავს იმ მიზეზს, რამაც ასეთი ბანკების წარმოშობა განაპირობა. დაწვრილებით აქვს გარჩეული საადგილმამულო ბანკები წესდება და ორგანიზაციული წყობის ევოლუცია. განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება იგი თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკების შეერთების შესაძლებლობების საკითხზე. ავტორს მოაქვს იმდროინდელ პრესაში(დროება, შრომა) გამოქვეყნებული მასალები. თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკების შეერთების ცდა, – წერს ავტორი – მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო, ერთი მხრივ საქართველოში კაპიტალისტური კრედიტის ცენტრალიზაციისა და განმტკიცების საქმეში, ხოლო მეორე მხრივ, ქართულ ეროვნულ მთლიანობაზე ზრუნვისა და შეგნების საქმეში.

ნოდარ შველიძის ნაშრომის მეორე თავი ეძღვნება საადგილმამულო ბანკების საკრედიტო მოღვაწეობას. ავტორი ამ დარგში თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკების საქმიანობის შედარებისას ასახელებს იმ კონკრეტულ მიზეზებსაც ,რამაც ქუთაისის ბანკს თბილისის ბანკთან შედარებით ხელი შეუშალა თავისი საქმეების აწყობაში და ამის გამო ზოგჯერ ტენდენციური, მაგრამ ძირითადად სამართლიანი კრიტიკის ობიექტი გახდა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხს ავტორი სპეციალურად ეხება ნაშრომის მესამე თავში, რომელიც ასეა დასათაურებული: “საადგილმამულო ბანკების საკითხი

ქართველ საზოგადოებრიობაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში“(გვ 144–149). აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ პოლემიკას, რომელიც საადგილმამულო ბანკების გარშემო იყო გაშლილი XIX საუკუნის 70_იანი წლებიდან XX საუკუნის 10-იანი წლების ჩათვლით. ავტორი „ბანკოვიადაზე“ თუ „ბანკობიადაზე“ საუბარს იწყებს იმ პოლემიკით, რომელიც ჯერ კიდევ 1873წელს დაიწყო ბესარიონ ღოღობერიძესა და ნიკო ნიკოლაძეს შორის ქუთაისის საადგილმამულო ბანკის წესდებასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, კამათმა შემდეგ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო და საადგილმამულო ბანკების როლის საკითხი ქართულ საზოგადოებრივი აზრის ერთ–ერთ ძირითად პრობლემად იქცა.

ნოდარ შველიძის ნაშრომის მეოთხე თავში წარმოდგენილია საადგილმამულო ბანკების კულტურულ–საგანმანათლებლო საქმიანობა(გვ. 193–235),ნაჩვენებია ის დიდი როლი, რომელიც, როგორც თბილისის, ასევე ქუთაისის საადგილმამულო ბანკებმა შეასრულეს ამ მიმართულებით. ავტორი საგანგებოდ განიხილავს საადგილმამულო ბანკებისა და ისეთი სოლიდური ეროვნული დაწესებულებების, როგორიც იყო ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება(დაარსდა 1879წელს) ურთიერთობას. „წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა და საადგილმამულო ბანკებს შორის 80-იანი წლებიდან, – წერს ავტორი, – მართალია, თითქმის შეწყდა ფინანსური ურთიერთობა, მაგრამ მათი საზოგადოებრივ–ეროვნული მოღვაწეობის მიმართულება არასდროს არ დაშორებია ერთმანეთს“.

1977წელს გამოქვეყნდა არკადი გოგუაძის სადოქტორო დისერტაცია „ფეოდალური მეურნეობის რღვევა და მამულების ტიპები რეფორმის შემდგომი პერიოდის დასავლეთ საქართველოში“(1865–1912 წწ.),რომელშიც ავტორი სპეციალურ პარაგრაფს უძღვნის „ქუთაისის საადგილმამულო ბანკის როლს სათავადაზნაურო მამულების „გადარჩენის“ საქმეში“ ..ნაშრომში მოტანილია დიდძალი სტატისტიკური მასალა ქუთაისის საადგილმამულო ბანკის საკრედიტო საქმიანობის შესახებ და

გამოტანილია დასკვნა, რომ ბანკმა, რომელიც დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურების ადგილ–მამულების შენარჩუნებისა და მათი შერყეული ეკონომიკური მდგომარეობის განსამტკიცებლად იყო დაფუძნებული, პირიქით, დააჩქარა ფეოდალური მიწისმფლობელობის რღვევა და გამოიწვია თავადაზნაურობის ეკონომიკური დაცემა. აღნიშნულმა ბანკმა ხელი შეუწყო კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას სოფლად.

ჩვენთვის საინტერესო თემაზე საყურადღებო მასალებია წარმოდგენილი **ავთანდილ თელიას ნაშრომში „ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე“ (გამოქვეყნდა 1989წელს).** მართალია, მასში განხილულია ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით თბილისის სათავადაზნაურო ბანკის მოღვაწეობა, მაგრამ ამასთანავე ავტორი მსჯელობს საერთოდ სათავადაზნაურო ბანკების როლსა და მნიშვნელობაზე, მკითხველს აცნობს ქართველ მოღვაწეთა შეხედულებებს მათზე, მაგალითად, მას საგანგებოდ აქვს წარმოდგენილი ნიკო ნიკოლაძის მოსაზრებანი ბანკზე (1875–1881 წწ.).

უახლეს გამოკვლევას ქუთაისის საადგილმამულო ბანკის შესახებ წარმოადგენს პროფ. მიხეილ ნიკოლეიშვილის შრომა „ქართველი საზოგადო მოღვაწეები და ქუთაისის საკრედიტო დაწესებულებანი XIX საუკუნეში“. ავტორი საკმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობს ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დაარსების ისტორიაზე და წარმოაჩენს ქართველ საზოგადო მოღვაწეთა დამოკიდებულებას მისი საკრედიტო საქმიანობისადმი. განსაკუთრებით საინტერესოდაა წარმოდგენილი ამ სოლიდური საკრედიტო დაწესებულების ცალკეულ ხელმძღვანელთა (ბ.ღოღობერიძე, დ.დადიანი, კ.ჩიკვაიძე, ერემიევი,მ.ფაღავა) საბანკო პოლიტიკა. **[ქებულაძე , 2009: 8-17]**

თავი III

ქუთაისის ურთიერთნდობის საკრედიტო ბანკი

&1

ქუთაისის ურთიერთნდობის საკრედიტო საზოგადოების ჩამოყალიბება და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

ქუთაისში პუშკინის ქუჩა ერთ-ერთი უძველესია, ქუჩა დღესდღეობით წარმოადგენს ტურისტულ უბანს და ქალაქის ისტორიულ ცენტრს. 19-ე საუკუნეში ოფიციალურად იგი აფთიაქის ქუჩად მოიხსენიებოდა, სადაც დღემდე არსებობს №4 აფთიაქის უნიკალური შენობა - ვიტუშინსკის აფთიაქი. მე- 19 საუკუნის ბოლოს ვიტუშინსკიმ , რომელიც პროვიზორი გახლდათ, თავად ნიკოლოზ აბაშიძისგან 1851 წელს 2 სართულიანი ქვის სახლი თავისი ბაღით იყიდა. შენობის დღევანდელი არქიტექტურული გადაწყვეტა ცხადყოფს, რომ იგი 19-ე საუკუნეში ქუთაისის უნიკალური შენობა იყო. აფთიაქი პირველ სართულზე ჰქონდა, მეორეზე კი თავად ცხოვრობდა. თეთრი და ვარდისფერი ეკლარით მოპირკეთებული შენობის დაგეგმარება და ფასადი დეკორატიული ელემენტებით სახლს ბაროკოს სტილს ანიჭებს. ეს ერთადერთი აფთიაქია ქუთაისში, სადაც წამლებს დღესაც ძველებური რეცეპტებით ამზადებენ. აქ დღემდე შემონახულია ლათინურ და გერმანულ ენებზე შედგენილი ძველი სამედიცინო წიგნები. შენობა დღეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია.

პუშკინის ქუჩაზე სხვა უამრავი საინტერსო და ძველი შენობა დგას, თითოეული მათგანი დიდ ისტორიას ინახავს და თავისებურად საინტერესოა ისევე, როგორც კულტურული თვალსაზრისით, ასევე თანამედროვე ფუნქციონალური დატვირთვით. ამ ისტორიულ ქუჩაზე , დღესდღეობით იქვე , აფთიაქის მიმდებარედ დგას ეროვნული მუზეუმის შენობა განსხვავებული უძველესი მოდერნისტული არქიტექტურით (აღნიშნულ შენობაში განთავსებული იყო ურთიერთნდობის ბანკი)

1879 წლის 16 ნოემბერს რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა ქუთაისის საკრედიტო საზოგადოების წესდება, რომლის საფუძველზეც ქუთაისში 1880 წელს მუშაობა დაიწყო 15 პირის მიერ დაფუძნებულმა ურთიერთნდობის ბანკმა. თავდაპირველად ბანკი განთავსებული იყო გაბრიელ ანდრონიკაშვილის სახლში, თუმცა მას შემდეგ რაც მისი მუშაობა თვალსაჩინო გახდა გამგეობამ ბანკისთვის საკუთარი შენობის აგება გადაწყვიტა. ამის გამო პუშკინის და ბალახვნის ქუჩის (წერეთლის ქუჩა) კუთხეში შეიძინეს მედიცინის დოქტორის ვილჰელმ სტრუვეს მამული. 1894-1896 წლებში ინჟინერ სახაროვის პროექტით ააგეს ბანკის შენობა, ამჟამად კი აქ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმია განთავსებული. 1904 წელს ეს შენობა საკრედიტო საზოგადოებამ თავის კუთვნილ სხვა უძრავ ქონებასთან ერთად გირაოდ ჩადო მიხეილის სახელობის ქუთაისის საადგილმამულო -სათავადაზნაურო ბანკში.

1921 წელს გასაბჭოების შემდეგ მასში განთავსებულ იქნა ქუთაისის გუბერნიის მილიცია, 1927 წელს შენობაში ბინა დაიდო სახელმწიფო ბანკის ქუთაისის განყოფილებამ , 1992 წლიდან შენობაში საქართველოს ეროვნული ბანკის ქუთაისის ფილიალი იყო. 2011 წელს კი შენობაში სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი განთავსდა. აღნიშნული შენობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს [**უცნობი ქუთაისი 2017** https://www.facebook.com/UnknownKutaisi/?locale=ka_GE]

ქუთაისის სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულა ურთიერთნდობის საზოგადოებამ ანუ ურთიერთნდობის ბანკმა. მისი დაარსების შესახებ საკითხი წამოიჭრა მალე ქუთაისის საადგილმამულო ბანკის გახსნის შემდეგ (1876 წ.). ამ საქმის ინიციატორები იყვნენ ვაჭართა და მრეწველთა საზოგადოების წარმომადგენლები, ქართველი საზოგადო მოღვაწეები. 1879 წელს გაზეთი ,,დროება“ წერდა, რომ, რამდენიმე პირთ შეუდგენიათ აქ ურთიერთნდობის საზოგადოების წესდება და ფინანსთა სამინისტროში წარუდგენიათ დასამტკიცებლად. საურთიერთო ნდობის ბანკი მოკლევადიანი კრედიტისათვის იყო განკუთვნილი. ქუთაისის

საკრედიტო საზოგადოების წესდება განიხილეს ფინანსთა სამინისტროში, სადაც მას მნიშვნელოვანი ცვლილება განუცდია. ამ ცვლილების მიღების შემდეგ ქალაქის საზოგადოებრიობამ კვლავ განიხილა იგი და ისევ გააგზავნა თავისი შენიშვნებით ფინანსთა სამინისტროში საბოლოოდ დასამტკიცებლად. ძირითადი მიზანი ურთიერთნდობის საზოგადოებისა იმაში მდგომარეობდა, რომ სხვადასხვა ვადით ფულს სესხულობდეს თავისი წევრების გარანტიით, მათი ქონების პასუხისმგებლობით და ამ ნასესხებ ფულს ასესხებდეს ხოლმე თავის წევრებს თამასუქით და მოძრავი ქონების გირავნობით ვაჭრობისათვის, თუ სხვა რაიმე აღებ-მიცემობისათვის. საზოგადოების წესდება 1879 წლის 16 ნოემბერს დაამტკიცა ფინანსთა მინისტრმა. წესდების პირველ პარაგრაფში განსაზღვრულია ქუთაისის ურთიერთნდობის საზოგადოების მიზანი, მასში აღნიშნულია, რომ ის იქმნება იმ მიზნით, რომ შესაძლებლობა მისცეს თავის წევრებს შეიტანოს ბანკში თავისი დანაზოგი და მიიღოს სესხად ვაჭრობისა და მრეწველობისათვის მათი საბრუნავი კაპიტალი.

ყოველი წევრი ვალდებული იყო პასუხისმგებლობა ეკისრა საზოგადოების ოპერაციებისათვის იმ თანხით, რომელიც განსაზღვრულ იქნებოდა მიმღები კომიტეტის მიერ, შეეტანა საზოგადოების სალაროში ამ თანხის 10%, ამ უკანასკნელი თანხიდან იქმნებოდა ძირითადი კაპიტალი, ხოლო თანხა, რომელსაც თავის თავზე ღებულობდნენ საზოგადოების წევრები შეადგენდა კაპიტალს, რომელიც უზრუნველყოფდა საზოგადოების ოპერაციებს. ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებას ხელმძღვანელობდა გამგეობა, რომელშიც შედიოდნენ გუბერნიის სამმართველოს მოხელე მალევსკი, გამგეობის წევრებად არჩეული იქნენ ლევან ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი და კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე. ცოტა ხნის შემდეგ გამგეობა შეიცვალა. მის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ლ. თუმანიშვილის ძმა პავლე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი. ხოლო გამგეობის წევრებად ან დირექტორებად არჩეულ იყვნენ კ. ბ ლორთქიფანიძე და დიმიტრი ელიზბარის ძე დადიანი. ეს უკანასკნელი მალე არჩეულ იქნა საადგილ-მამულო ბანკის თავმჯდომარედ, ხოლო

მისი ადგილი დაიკავა მიხეილ ქუთათელაძემ. კირილე ლორთქიფანიძე თავდაპირველად წინააღმდეგი იყო ბანკის დირექტორობაზე თავისი კანდიდატურა წამოეყენებინა, მაგრამ საზოგადოების მოთხოვნით იგი ბოლოს დათანხმებულა. იგი აღნიშნავს, რომ ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის საქმეების არევდარევამ მაიძულა საზოგადოების მოთხოვნილებას დავმორჩილებოდი. გადმოგვცემენ, რომ საბანკო საქმეების მთელი სიმძიმე კ. ლორთქიფანიძის მხრებზე გადადიოდა. გამგეობას გვერდით ედგა ზედამხედველი კომიტეტი, ე. წ. საბჭო „რჩევა“ შემდგარი საზოგადოების საერთო კრების მიერ არჩეული 7 დეპუტატისაგან, მასში შედიოდნენ ინტელიგენციის და ვაჭართა საზოგადოების წარმომადგენლები. საზოგადოების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა საერთო კრება, რომელსაც შეადგენდა საზოგადოების ყველა წევრი, საერთო კრება იწვეოდა წელიწადში ერთხელ არა უგვიანეს მარტისა, განსაკუთრებულ შემთხვევაში იწვევდნენ საგანგებო საერთო კრებას, საერთო კრების გადაწყვეტილება სავალდებულო იყო საზოგადოების გამგეობის, საბჭოს, მიმღები კომიტეტისა და ყველა წევრისათვის. საზოგადოების გამგეობა და საბჭო ირჩეოდა საერთო კრების მიერ სამი წლის ვადით. საზოგადოების წევრთა მიღებას, თამასუქების სარგებლიანობისა და თანხების რაოდენობის განსაზღვრას ახდენდა მიმღები კომიტეტი, რომელსაც ირჩევდა საბჭო საზოგადოების 10 წევრისაგან.

საზოგადოების საერთო ოპერაციებიდან მიღებული წლიური მოგება ყველა გაწეული ხარჯის შემდეგ ნაწილდებოდა შემდეგნაირად, მოგების ერთი მეათედი შეადგენდა სამარაგო კაპიტალს, ერთი მეათედი გადადიოდა გამგეობის განკარგულებაში, ქუთაისის მოსახლეობის ტექნიკური და სახელოსნო განათლების განვითარებისათვის. დანარჩენი გამოიყენებოდა საზოგადოების წევრთა სასარგებლოდ. იგი დივიდენდების სახით ნაწილდებოდა მათ მიერ შემოტანილი 10%-ის პროპორციულად, თუ დივიდენდის რაოდენობა არ აღემატებოდა შემოტანილი თანხის 7 პროცენტს, თუ 7 პროცენტს გადარჩებოდა, ის იყოფოდა ორ ნაწილად: 50 პროცენტი ნაწილდებოდა საზოგადოების ყველა წევრზე, ხოლო მეორე 50% ქმნიდა

პრემიას, რომელიც ეძლეოდა საზოგადოების იმ წევრებს, რომლებიც წლის განმავლობაში თამასუქების, სესხის, მიმდინარე ანგარიშების და ანაბრების აღრიცხვას აწარმოებდნენ.

ქუთაისის ურთიერთნდობის საკრედიტო საზოგადოების დანიშნულების შესახებ საინტერესოა გამგეობის თავმჯდომარის პ. თუმანიშვილის აზრი. ის აღნიშნავდა: უმთავრესი მიზანი ჩვენი ბანკისა ის არის, რომ ფულის სასარგებლოდ შემომტანს თავის წევრს რიგიანი სარგებელი აძლიოს და მტკიცედ შეუსრულოს მას პირობა სარგებლის, თუ თავნის დანიშნულ დროზე, ან პირველსავე მოთხოვნილებით პირობისამებრ მიცემისა და რომელ წევრსაც ფული ეჭირვება რაიმე საქმისთვის ის ფული მას უშოვნოს და მიასესხოს მსუბუქ სარგებლით, მაგრამ ისე სიფრთხილით, რომ მისესხებული ფული ბანკს არ დაეკარგოს.

1880 წელს, როგორც ითქვა, დაიწყო მოქმედება ქუთაისის საკრედიტო ბანკმა, მუშაობის დაწყებისას მას ჰყავდა 150 წევრი, პირველ სამ თვეში მას 54 წევრი მოემატა. 10 წლის განმავლობაში წევრთა რაოდენობა გაიზარდა 573-მდე, მათგან 250 ვაჭართა წოდებას ეკუთვნოდა, დანარჩენი 323 წევრი-სხვადასხვა წოდებას. 483 ქუთაისში მცხოვრები იყო 90 ქალაქის გარეთ მცხოვრები. წესდების ძალით საზოგადოების წევრებს შეიძლებოდა მიცემოდათ კრედიტი 15 ათასი მანეთის რაოდენობით, მაგრამ ფულის სიმცირისა და სიფრთხილის გამო არავის არ ჰქონდა გახსნილი კრედიტი 3 ათას მანეთზე მეტი და ეს კრედიტიც გახსნილი იყო იმ პირობით თუ თავნად შემოტანილ ფულზე ეძლეოდა ერთი ათად კი არა, როგორც წესდება მოითხოვდა, არამედ ერთი ექვსად, ესე იგი თავნად შემოტანილ ას მანეთზე ეძლეოდა კრედიტი არა ათასი მანეთისა, არამედ ექვსასი მანეთი. 1890 წელს 573 წევრიდან კრედიტი ასე ნაწილდებოდა: 3 ათასი მანეთის კრედიტი ჰქონდა 26 წევრს, 2400 მანეთის - 20 წევრს, 1800 მანეთის - 23 წევრს, 1500, 960, 420 და 240 მანეთის თითო წევრს. 1200 მანეთის - 74 წევრს, 600 მანეთის - 189 წევრს, 300 მანეთის - 59 წევრს, 180 მანეთის - 162 წევრს, ასეთი სიმცირე კრედიტისა თავდები იყო იმისა თუ რომელიმე წევრს შეემთხვეოდა რაიმე

ნივთიერი უბედურება, მისგან რაიმე მოსალოდნელი ბანკის ზარალი ადვილად ასატანი იქნებოდა ბანკისთვის, ასე რომ არცერთი წევრისაგან თავისი კრედიტის სიმცირის გამო ბანკს არავითარი რაიმე ხელისშემშლელი ზიანი არ მოელოდა.

1880 წლის 1 იანვრისათვის საზოგადოების 150 წევრს შემოტანილი ჰქონდა ბანკის სალაროში თავნის სახით 256050 მანეთი, 10 წლის განმავლობაში მას მოემატა 89.115 მანეთი, მოაკლდა 40895 მანეთი, ე. ი 1890 წელს პირველ იანვარს საზოგადოების კუთვნილი თავნი შეადგენდა 73870 მანეთს. როგორი იყო საზოგადოების წევრთა თავდებობისაგან პასუხიმგებლობის საკითხი ბანკის ოპერაციებში? 1880 წლის პირველი იანვრისათვის საზოგადოების 150 წევრს ჰქონდათ დადებული პირობა, რომ ისინი კისრულობდნენ საზოგადოების ოპერაციებში 280850 მანეთის პასუხიმგებლობას. 10 წლის განმავლობაში დადებულ პირობას მოემატა კიდევ 802035 მანეთი, მოაკლდა 368055 მანეთი, 1890 წლის იანვრისათვის ბანკის 573 წევრთა დადებულმა პირობამ შეადგინა 664830 მანეთი. ზემოხსენებული თავნი 73870 მანეთი არის ის თანხა, რომლითაც ბანკი აწარმოებდა სხვადასხვა ოპერაციებს საზოგადოების წვერთა თავდებობის საშუალებით და საქმეების სწორად წარმართვით. ბანკს გამართული ჰქონდა ფულის ანგარიშები, ფულის აღებ-მიცემა სხვადასხვა ქალაქებში. თუ წერილებითა, თუ ჩეკებით, თუ ვექსილით, თუ დეპეშით სხვადასხვა ბანკებთან.

ათი წლის განმავლობაში ბანკის სალაროში შემოსულია და გასულია მისგან 64.345486 მან. 10 წლის განმავლობაში აღებ-მიცემობა ყოფილა 200 მილიონზე მეტი, წესდების ძალით, როგორც აღვნიშნეთ წლიური წმინდა მოგებიდან მეათედი უნდა გადადებულიყო საჭირნახულო თავნის შესადგენად, იმავე წესდებით ეს თავნი შენახული უნდა ყოფილიყო სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდებად და რაც ამ სარგებლიან ქაღალდებს სარგებელი ეძლეოდათ კუპონებითა, ის ემატებოდა ამავე საჭირნახულო თავნს. პირველი წლის მოგებიდან ამ საჭირნახულო თავნს ერგო 266 მან. შემდეგ ამ თავნს ყოველწლიურად ემატებოდა და 9 წლის განმავლობაში მისთვის გადადებული ყოფილა 8976 მანეთი, ამ თავნს კიდევ თავისი პროცენტებით მომატებია,

ქაღალდებიდან კუპონებით სარგებელი 1.922 მან. ასე რომ 9 წლის ოპერაციიდან საჭირნახულო თავნი შედგა 70.798 მანეთის. მე-10 წლის ანგარიშიდან მას მოემატა 1371 მან და მივიღეთ 10 წლის საჭირნახულო თავნის მატება 12.170 მანეთის რაოდენობით.

საჭირნახულო თავნი დანიშნულია იმ ზარალის შესავსებად რომლის დასახურავად საკმარისი არ იქნება წლიური შემოსავალი. ყოველწლიურად მატულობდა ვადაზედ მისაღებად ბანკში შემოტანილი თანხა. 5 წლის განმავლობაში ამ ანგარიშზე შემოტანილი ყოფილა საურთიერთო ნდობის ბანკში 59.929 მანეთი, 1890 წლის 1 იანვრისათვის ამ ანგარიშზე შემოტანილი იყო 130.628 მან, ხოლო 10 წლის განმავლობაში ამ ანგარიშით ქუთაისის ბანკს ჰქონდა მიმდინარე ანგარიშები, ამ უკანასკნელის მნიშვენლობის შესახებ გამგეობის თავმჯომარე პ. თუმანიშვილი საზოგადოების წევრებს მიმართავდა; თქვენ შემოგაქვთ მიმდინარე ანგარიშზე ის ფული, რომლის გასესხება არ შეგიძლიათ, უშიშრად, რადგანაც არ იცით, როდის დაგჭირდებათ იგი, ასეთ დროს თქვენთვის გამოუყენებელი ფული თქვენ შეგაქვთ ბანკში და გაგაქვთ უკან ნაწილ-ნაწილ ან სულ ერთად, როგორც გსურთ, ბანკი კი თქვენ გაძლევთ იმ საშუალებას, რომ ამ თქვენი ფულის მისაღებად არ შეიწუხოთ თავი და არ დაკარგოთ დრო ბანკში მოსვლით, საკმარისია ბანკში გაგზავნოთ ქვითარი და ბანკი ისე მოიქცევა როგორც არის ნაჩვენები ქვითარში. ასე რომ ბანკი ხდება საზოგადოების წევრისთვის საკუთარი კანტორა, ამავე დროს იმ ფულში, რომელიც შემოდის ბანკში თქვენ გეძლევათ ყოველწლიური სარგებელი.

პავლე თუმანიშვილი საყვედურს გამოთქვამდა, რომ ყოველი წევრი ჩვენი საზოგადოების, ჯერ კიდევ ვერ შეჩვეულა ამ ანგარიშზე ფულის შეტანასო. ამ ანგარიშზე პირველ წელიწადს აღებ-მიცემა იყო 724.455 მან, მეორე წელს კი ის ავიდა ორ მილიონამდე, მესამე და მეოთხე წელიწადს 2 მილიონზე მეტი, დანარჩენ წლებში 3 მილიონამდე ავიდა. 10 წლის განმავლობაში ბანკმა მიმდინარე ანგარიშიდან გასცა სარგებელი 34.289 მანეთის რაოდენობით. ამ სარგებლიდან ყველაზე მეტი ერგო საადგილმამულო ბანკს და ოცამდე კაცს, რომლებიც მიმდინარე ანგარიშზე ფულის

შეტანით ძლიერ უწყობდნენ ხელს ბანკს. ბანკის უმთავრესი ოპერაცია ვექსილის გაცემაში მდგომარეობდა. ამ ოპერაციის ავკარგიანობაზე დამოკიდებული იყო ბანკის ზარალი, ვინაიდან ეს ოპერაცია იყო დაფუძნებული კრედიტზე. უმთავრესი სამსახური, რომელიც გაუწევია ქუთაისის ბანკს და ყველაზე უმეტესი სარგებლობა, რომელიც მოუტანია მას საზოგადოებისთვის 1880 წლიდან 1890 წლამდე წარმომდგარა ვექსილების ოპერაციიდან. იგი ყოველწლიურად ცოტ-ცოტად მატულობდა. პირველ წელიწადს ე.ი 1880 წელს გაცემულია 304 თამასუქი 252.998 მანეთის, მეხუთე წელიწადს გაცემულია 920 თამასუქი 450.827, მე-10 წელიწადს 1416 თამასუქი 638.980 მანეთის სულ 10 წლის განმავლობაში ბანკს გაუცია 9218 თამასუქი 4625411. ეს ფული თავის დროზე უკან დაბრუნებულა.

ვექსილით გასესხებულ ფულში ბანკს პირველ შვიდ წელიწადს ყოველწლიურად უხდიდნენ 12%-ს, უკანასკნელ სამ წელიწადს 10%-ს, ამ ანგარიშით ბანკს შემოსვლია სარგებელი 10 წლის განმავლობაში 255.524 მან. ყველაზე მეტად სარგებლობდნენ ვექსილების ოპერაციებში ვაჭრები. საზოგადოების წევრებიდან 250 იყო ვაჭარი, მათგან 240 ვაჭარი სარგებლობდა ამ ბანკიდან ვექსილით ნასესხები ფულით. ხოლო იმ წევრებიდან, რომლებიც არ ვაჭრობდნენ და რომელთა რიცხვი 323 იყო, თამასუქით ნასესხები ფულით ვაჭრობდა 180 კაცი. გარდა ამისა იმ 240 ვაჭარს აქვს თამასუქით გატანილი ბანკიდან ბევრად მეტი, ვიდრე დანარჩენ 180 წევრს, რომლებიც არ ვაჭრობდნენ.

ურთიერთნდობის ბანკის ოპერაციებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა გირაოთი ფულის გასესხებას. სულ 10 წლის განმავლობაში ბანკს გაუსესხებია თავისი წევრებისთვის 1.420.948 მან და სულ მიუღია სარგებელი 82.245 მანეთი, ამ ანგარიშით გასესხებულ ფულში ბანკი ახდევინებდა სარგებელს პირველ 7 წელიწადს ასში 10%, უკანასკნელ სამ წელიწადს ასში 9%-ს, ოქრო და ვერცხლში ბანკს უხდევინებია ასში 12%. ქუთაისის ბანკი ფულს სესხულობდა თბილისის კომერციულ და სახელმწიფო ბანკებში. თბილისში ფულის სესხება ძვირად უჯდებოდა ბანკს. სულ 10 წლის

განმავლობაში თბილისში ნასესხებ ფულისათვის ბანკს გადაუხდია სარგებელი სახელმწიფო ბანკისთვის 14.628 მან, კომერციული ბანკისათვის 23.223 მან. სულ 37.851 მან. ქუთაისის ურთიერთნდობის ბანკის 10 წლის ოპერაციების შედარება ცხადყოფს, რომ მას თავისი მოვალეობისათვის კარგად გაურთმევია თავი. ანგარიშების შედარება გვეუბნება, რომ მას მეტი სარგებლობა მოუტანია 80-იანი წლების მეორე ნახევარში. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ფულის თამასუქით გასესხებისას, რომელიც ბანკის ძირითად ოპერაციას წარმოადგენდა, როგორც შემოსავლის წყაროს, 100 მანეთში სარგებელი 12%-ის ნაცვლად 10% დაუწესებია, თუმცა ამით შემოსავალი შემცირებულა. მაგრამ ამ პერიოდში ბანკს იმდენად გაუძლიერებია მუშაობა, რომ წმინდა მოგების გაზრდით დივიდენდი და პრემია იმაზე მეტი გაუცია ვიდრე მაშინ, როდესაც თამასუქით ნასესხებ ფულში სარგებელს 12%-ს იხდიდა. ამ ნივთიერი სარგებლობის გარდა, ბანკმა მოიტანა ზნეობრივი სარგებლობაც. ქუთაისში არავის არ ენახა თუ რა სარგებლობის მოტანა შეეძლო საზოგადოების კრედიტს. ურთიერთობის ბანკი იყო ამის პირველი მაგალითი. გამგეობის თავმჯდომარე პ. თუმანიშვილი აღნიშნავდა, რომ ქუთაისის ბანკი არის მაგალითი იმისა, თუ რა ცოტა თავნი თანხა სჭირვებია დიდ საქმეს. თუ იმ ფულის მეპატრონეს კრედიტი აქვს მოპოვებული საქმის პატიოსნად წაყვანისა. 10 ათასი თუმნით და კარგი სახელით ერთი წლის განმავლობაში ოთხ მილიონზე მეტი შემოსულა სალაროში და ოთხ მილიონზე მეტი გაუცია თავის სალაროდან და ამ ფულით და კრედიტით გაუმართავს ისეთი ოპერაციები, რომ მთელი წლიური ანგარიში 27 მილიონ მანეთს გადაუმეტებია, ეს გვიჩვენებს ჩვენ თუ რა ყოფილა შეერთებული ძალა, რა ყოფილა კარგად მოწყობილი ამხანაგობა, საზოგადოება. ამ საზოგადოების საბანკო ოპერაციების მიმოხილვა ნათელ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, რომ პირველ ათწლეულში მან მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. საბანკო ოპერაციები იზრდებოდა, საზოგადოების წევრების რიცხვი მრავლდებოდა. საწევრო შესატანები, ბანკის ძირითადი თანხა თანდათან მატულობდა. მისი ოპერაციები არ განისაზღვრებოდა ქუთაისითა და საქართველოთი და ამიერკავკასიით. მას ჰქონდა კორესპოდეტული ანგარიშები მთელი რუსეთის

მთავარ ბანკებთან და მათ ფილიალებთან, როგორც იყო “ვოლგა-კამის კომერციული ბანკი”, “აზოვ-დონის კომერციული ბანკი”, “ვარშავის ბანკი” და რუსეთის საურთიერთო ნდობის მრავალი ბანკი.

ქუთაისის ურთიერთნდობის საკრედიტო ბანკს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოსა და მთელი რუსეთის სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში, საკმარისია აღინიშნოს, რომ ისეთი დიდი სავაჭრო-სამრეწველო წარმოება, როგორიც იყო ჭიათურის მარგანეცის საშინაო და საგარეო ვაჭრობა და რაც მთავარია მისი ექსპორტი საზღვარგარეთ და რუსეთში და მასთან დაკავშირებული ფულადი ოპერაციები ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის საშუალებით სწორდებოდა.

რუსეთის იმპერიაში არსებულ ამგვარ ბანკებს შორის ქუთაისის ბანკს მე-5, მე-6 ადგილი ეკავა. ცხადია, ამის საზომი ბანკის წლიური ბრუნვა ძირითად თანხასთან შეფარდებით და წლიური დივიდენდის რაოდენობა შეადგენდა. ბანკის საბრუნავი თანხის გაზრდის გამო, გამგეობამ გადაწყვიტა ბანკისათვის აეშენებინა საკუთარი ბინა. გამგეობის წინადადება დაადასტურა საზოგადოების რჩევამ 1894 წლის მარტში. გამგეობამ შეიძინა მთელი მამული პუშკინის ქუჩაზე და იმავე წელს ჩაეყარა საფუძველი მომავალ შენობას. შენობის პროექტი შეადგინა ქალაქის ინჟინერმა სახაროვმა. შენობა დამთავრდა 1896 წელს და ამავე წელს გადმოვიდა ბანკი ამ ახალ შენობაში.

90-იანი წლების ბოლოს და ცხრაასიანი წლების დასაწყისში საურთიერთო ნდობის ბანკის ოპერაციები შეფერხდა, ამაზე გავლენა მოახდინა იმან, რომ შეიზღუდა პირობები მარგანეცის გაზიდვისა, მარგანეცი ანალიზის მიხედვით ვერ აკმაყოფილებდა მყიდველთა მოთხოვნილებას, დიდი რაოდენობით რჩებოდა ბაქნებზე გაუყიდავი, ბანკის დავალიანება იზრდებოდა, დაიწყო კრიზისი, ბანკის თანხები უძრავად ჩაწვა, რამაც გავლენა იქონია სხვა ოპერაციებზეც. ის ნდობა, რომელიც მას ჰქონდა მოხვეჭილი რუსეთის სააქციო-კომერციულ ბანკებთან ნელ-ნელა შეირყა, ამ გარემოებით ისარგებლა ბანკის გამგეობის ოპოზიციამ და დაიწყო

მოქმედება ბანკის წინააღმდეგ. ოპოზიციონერებმა მოახერხეს ბანკის რევიზიის გამოთხოვა პეტერბურგიდან. 1902 წელს ჩამოვიდა პეტერბურგიდან ფინანსთა სამინისტროს რევიზორი, რომელმაც ბანკის მუშაობაში აღმოაჩინა ნაკლოვანებანი. ბანკის მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა მარგანეცის მრეწველ: პ. წულუკიძისათვის კრედიტის გახსნამ, პ. წულუკიძეს საზღვარგარეთის ფირმასთან ჰქონდა ხელშეკრულება დადებული, ფირმას უნდა წაეღო 6 მილიონი ფუთი მარგანეცი, ფუთი 21 კაპიკად, ხოლო ბანკს შესყიდული ჰქონდა 19 კაპიკად. გამოდიოდა, რომ ბანკი ყიდულობდა მარგანეცს წვრილი მრეწველებიდან. მაგრამ უცხოელმა ექსპორტიორებმა მარგანეცის გატანა შეაჩერეს ცუდი ხარისხის გამო, მეპატრონეები მიწას და ქვიშას ურევდნენ მადანში. საქმის წარმოება შეჩერდა; ბანკის დავალიანება გაიზარდა, ამან ბანკის სხვა ოპერაციებზეც მოახდინა გავლენა. მარგანეცის ფასი მნიშვნელოვნად დაეცა ამან მიიყვანა ბანკი კატასტროფამდე, ოპოზიცია ცდილობდა სახელი გაეტეხა ბანკისათვის, ხმებს ავრცელებდნენ "გამოიტანეთ ბანკიდან თქვენი ფული, თორემ დაგეკარგებათო", დაიწყეს ანაბრების გატანა, ბანკის საფუძველმა დაიწყო რყევა. 1904 წელს სამინისტრომ ხელმეორედ ჩაატარა რევიზია, რომელმაც დაადასტურა ბანკის ზარალი, საქმე სასამართლოს გადაეცა და ამ უკანასკნელმა გამგეობის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს და ბანკის დირექტორს კ. ლორთქიფანიძეს ზარალის ანაზღაურება დაეკისრა, მათ მიესაჯათ შინაპატიმრობა. ბანკის უფროსი ბუღალტერი ი. პურადაშვილი გადმოგვცემს, რომ კ. ლორთქიფანიძე ვერ იჩენდა სისასტიკეს ბანკის მევალეების მიმართ, ის ხშირად მიდიოდა კლიენტების მიმართ დათმობაზე, როდესაც ვინმეს არ ჰქონდა ვადაზე ვექსილის დახსნის ან სესხის დაფარვის საშუალება, ცდილობდა ეს არ გაეპროტესტებინა. კ. ლორთქიფანიძის მამული და პირადი ბიბლიოთეკა ვალების გადასახდელად იქნა დაგირავებული სათავადაზნაურო ბანკში. ქალაქის საბჭომ აღძრა შუამდგომლობა კ. ლორთქიფანიძისა და დ. ბაქრაძის სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ, მაგრამ იგი გაჭიანურდა 1914 წლამდე.

1904 წელს გამგეობის თავმჯდომარედ პ. თუმანიშვილის ნაცვლად აირჩიეს სიმონ ლორთქიფანიძე, მაგრამ იგი მალე იქნა შეცვლილი ანდრია ერისთვის მიერ. ამ უკანასკნელის დროს ქუთაისის ბანკის ოპერაციები ძალზედ შემცირდა. იგი თავის ვალდებულებას ვერ ასრულებდა. ერთ დროს ცნობილი საკრედიტო დაწესებულება გადაიქცა მცირე ბანკად. შემცირდა მომსახურე პერსონალი. ბანკი იძულებული გახდა თავისი ბინა მიექირავებინა ქალაქის თვითმმართველობისთვის. თვითონ კი სავაჭრო ცენტრში გადავიდა ანაბრების მოზიდვის მიზნით. მაგრამ ქუთაისის ბანკმა ვერ განამტკიცა თავისი მდგომარეობა. ა. ერისთავის შემდეგ გამგეობის თავმჯდომარედ ნესტორ ერისთავი იქნა არჩეული. მაგრამ ბანკის საქმიანობა ათიან წლებში მაინც არ გამოსწორდა. ასე დაუძლურებული მოვიდა იგი 1921 წლამდე, რის შემდეგ მან შეწყვიტა არსებობა. [**ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები 1993: 91-98**]

გაზეთი „ერთობა“ 1920 წლის 21 აგვისტოს გამოცემა აქვეყნებს შემდეგი სახის სტატიას სათაურით: „დამფუძნებელნი დასავლეთ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო ბანკისა ქ. ქუთაისში „ ამ სტატიით აცხადებენ, რომ ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრომ ამა წლის 15 ივლისს ხსენებული ბანკის წესდება დაამტკიცა, წესდებაში გარკვევით წერია, რომ ძირითადი თანხა ბანკისა პირველ ხანათ არის განსაზღვრული 20 მილიონი მანეთით (20 000 000) თითო აქცია ღირს 1000 მანეთი, 20 აქცია იძლევა ერთი ხმის უფლებას. ხელის მოწერის დროს უნდა იქნეს შემოტანილი აქციის ღირებულების ნახევარი და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად ერთდროულად 50 მანეთი თითო აქციაზე, ხელის მოწერა მიიღება 4 სექტემბრამდე შემდეგ ბანკებში: ქუთაისის სამეურნეო სამრეწველო და საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში , თფილისში, ცენტრალურ ბანკში, ამიერკავკასიის ბანკში და სამეურნეო ნდობის საზოგადოებაში, ბათუმში- საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში, ფოთში- ქართულ სავაჭრო ბანკში, ჭიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, სენაკში,

ზუგდიდში, ხონში ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში. [**„ერთობა“ 1920 : №189**]

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი -„ივერია“ 1904 წლის გამოცემა ერთ-ერთ სტატიაში გვამცნობს ზუგდიდში არსებული ურთიერთნდობის საზოგადოების წლიური კრების შესახებ:

გამგეობა ზუგდიდის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა ამით აცნობებს ბ-ნთ წევრთ, რომ ოთხშაბათს 31 მარტს ამა 1904 წლისას დილის 10 საათზედ, საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში დანიშნულია საზოგადო წლიური კრება წევრებისა

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება ანგარიშისა საზოგადოების ოპერაციებზედ წარსულის 1903 წლის განმავლობაში
2) ხარჯთაღრიცხვა ამა მდგომარე 1904 წლისა
3) არჩევანი გამავალთა სამაგიეროდ საბჭოს ორი დეპუტატებისა გამგეობის ერთის წევრისა, წლიური ანგარიშების შემმოწმებელ კომისიისა სამი წევრისა და სამის ამათის კანდიდატებისა , წესდების მე- 44, 53 და 70 პარაგრაფების თანახმად

წესდების პარაგრაფ 37 ძალით, თითოეულ საზოგადოების წევრთაგანს შეუძლიან იქონიოს მხოლოდ 2 ხმა ერთი თვისი და მეორე ვექილობის ძალით. ხმის უფლება გადაეცემა საზოგადოების გამგეობის სახელზედ შემოტანილი უბრალო წერილის ძალით კრებამდის სამი დღის წინ (ზუგდიდის საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარე: არეცა დგებუაძე , დირექტორი: ნესტორ ელიავა) [**„ივერია“ 1904 № 52].**

ერთ- ერთი სანდო წყარო ინფორმაციას გვაწვდის ექიმის და საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ ჯანდიერის შესახებ, ის იყო ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების „სიღნაღის სამაზრო განყოფილების თავმჯდომარე, ხარკოვის სამედიცინო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ

სამშობლოში დაბრუნებული ჯანდიერი სოფელ ველისციხეში ექიმად დაინიშნა, სადაც მისივე ინიციატივით გაიმართა ქსენონი (საავადმყოფო) მოგვიანებით ინიშნება სიღნაღის მაზრის მთავარ ექიმად , ნიკოლოზ ჯანდიერის ინიციატივით და დაუღალავი შრომით სიღნაღში გაიხსნა პირველი წიგნის მაღაზია, რომელსაც „ცოდნის წყარო“ დაარქვეს, ადგილობრივებთან ერთად იგი აწყობდა ღონისძიებებს სკოლის გაუმჯობესების და უპოვარ მოსწავლეთა დასახმარებლად. 1912 წელს მისი ინიციატივით სიღნაღში მიიღეს უფლება დაემტკიცებინათ „ურთიერთნდობის საკრედიტო ბანკი“ და სიღნაღის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. ჯანდიერი 1022 წელს გასაბჭოებისას ტოვებს ქიზიყს და ინაცვლებს თბილისში, 1957 წელს თბილისში ილია ჭავჭავაძის სახლ- მუზეუმის გახსნისას უკვე ღრმად მოხუცებული მიწვეულია საპატიო სტუმრად , როგორც ილიას თანამედროვე მკურნალი ექიმი [**თბილისის მუზეუმების გაერთიანება 2016**]

https://www.facebook.com/tbilisimuseums/

სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი „ივერია“ 1909 წლის 29 ივნისის გამოცემა აქვეყნებს სტატიას ქუთაისის საურთიერთო ბანკის შესახებ და ავტორი იმ პრობლემებზე საუბრობს, რომელიც ბანკს ჰქონდა იმ დროისთვის, სტატიაში ავტორი ცალკე ქვეთავის სახით გვთავაზობს „ზესტაფონის საურთიერთო ბანკის“ შესახებ ცნობებს.

ზესტაფონის საურთიერთო ბანკი თავის საწევრო ფულის გაორკეცებას აპირებს, გამგეობა ფიქრობს, რომ ამით ბანკს სატრიალებელი ფული მოემატება და ამნაირად მოგებაც მეტი ექმნება. დღეს ბანკის საწევრო ფული 16 000 მანეთი , სახელდახელო ანგარიშზე და ვადით შემოტანილი 24 ათასი მანეთი, ხაზინიდან ნასესხები 5000 მანეთი და სხვა და სხვა ბანკებიდან ნასესხები კიდევ 12 ათას მანეთამდე, სულ 57 000 მანეთი, გაცემული აქვს მარტო თამასუქებში 54 000 მანეთი, ამნაირად ბანკებმა კრედიტი თუ შეუმცირეს ზესტაფონის ბანკს, ამ უკანასკნელს მეტად გაუჭირდება ვალის გასტუმრება, რადგან საამისოდ უნდა უცადოს იმ დროს,

როდესაც თამასუქების ვადა დადგება და ამ თამასუქებში მოვალეებს ფული ნაღდად უნდა მოსთხოვოს

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ხსენებული ბანკის გამგეობა ზედმეტ სითამამეს იჩენს, როდესაც 54 ათას მანეთს აძლევს თამასუქებში. ბანკს სულ მუდამ უნდა ჰქონდეს თავისუფლად კასაში ან ბანკებში 5-7 ათასი მანეთი, მხოლოდ მაშინ იქნება იგი მკვიდრ ნიადაგზე დაყენებული. ავტორის აზრით გამგეობა გრძნობს, რომ გაცემული ბევრი დაურჩა, ახლა ცდილობს ფულის შოვნას და საამისოდ წინადადებას აძლევს წევრებს საწევრო ფულის შემოტანის თაობაზე. საწევრო ფულის გადიდება ბანკებში მიღებული იყო. ზესტაფონის ბანკში საწევრო ფულზე მოგებას ბანკი კიდევ დიდხანს ვერ მისცემდა წევრებს, მეორეს მხრივ ბანკი მხოლოდ კრედიტის ნახევარს აძლევდა, ამგვარად ზესტაფონის ბანკში საწევრო ფული თუ გაორკეცდა, ის წევრი, რომელსაც 1000 მანეთი კრედიტი ექნება, ვალდებული იქნება შეიტანოს ბანკში 200 მანეთი და მას უფლება ექნება გამოიტანოს სესხად 500 მანეთი. ამგვარად მას ნამდვილად გამოტანილი ექნება მხოლოდ 300 მანეთი, სარგებელი უნდა გადაიხადოს 12 პროცენტი, ესეიგი წლიურად 60 მანეთი. გამგეობა უნდა ცდილობდეს წევრებს გაუადვილოს ფულის სესხება, იაფად უშოვნოს ფული, რადგან 20 პროცენტი ბანკს გარეთ მოვახშეებშიც იშოვება. იტყვიან როგორ მოხერხდება ფულის გაიაფება თუ შემოსავალმა არ მოიმატაო?, მაგრამ არის სხვა საშუალებაც, რომელიც შესაძლოს ხდის ფულის გაიაფებას, ეს საშუალება ხარჯის შემცირებაა.

დიდი შეცდომაა, როდესაც ჩვენში საქმეს იწყებენ და იმ თავითვე ხარჯებზე ლაპარაკობენ. ჩვენი ცხოვრების პირობები ასეთია, რომ პირველად თითქმის ყოველივე ხარჯებს უნდა მოერიდოს საქმის დამწყები, შემდეგ საქმე რომ გამაგრდება ხარჯების მომატებაც შეიძლება. ავტორი აღნიშნავს, რომ ზესტაფონის ბანკში 1500-2000 მანეთზე მეტი ხარჯი არ უნდა იყოს. აქ საქმე იმდენი არ არის, რომ განსაკუთრებული კაცები არჩინოს ბანკმა, ეს საქმე იმდენად რთული არ არის,

რომ მას განსაკუთრებული კაცების მიჩენა სჭირდეს. ავტორი საუბრობს, რომ ხონის ურთიერთნდობის საზოგადოება, ბანკიც სწორედ ასე იქცეოდა და ყველას ნდობა დაიმსახურა, საწევრო ფულის მომატება, წევრებისთვის ფულის ამნაირად გაძვირება და შემოსავლის მომატება ხარჯების მოსამატებლად არ არის ბანკის მხრიდან კარგი სამსახური, საზოგადოებას კი იმედი აქვს რომ ზესტაფონის საზოგადოება მცდარ გზას არ დაადგება. სტატიის ავტორი კონსტანტინე თუმანიშვილია [**„ივერია“ 1909 : №26**]

1875 წელს გაზეთ დროებაში დაბეჭდილი სტატიის ავტორი საუბრობს თბილისის ურთიერთნდობის საზოგადოების, როგორც კომერციული ბანკის შესახებ, საუბრობს თბილისის ურთიერთნდობის საზოგადოების , როგორც კომერციული ბანკის შესახებ, საუბრობს მის კასტურ ხასიათზე, გამოკვეთავს საკითხს, რომ სომეხი მეტი პრივილეგიით სარგებლობდა აღნიშნულ ბანკში ვიდრე ქართველი, რომ ბანკის გამგებელთ თავისთვის გაუმართავთ ეს დაწესებულება, რომ თავად ისარგებლონ. დამტკიცებული წესდების მიხედვით მე-4 მუხლის ძალით უმცირესი კრედიტი ზემოთხსენებული საზოგადოებისა არის 300 მანეთისა. ე. ი. თუ 30 მანეთი არ შეიტანე თავიდანვე და 300 მანეთის კრედიტი ვერ გაიკეთე ისე წევრად არ მიგიღებენ. ავტორის აზრით ამ მუხლით ბანკის დამაარსებლებს სურდათ, რომ წვრილმანი ხალხი, ღარიბები, რომელთაც ხუთი მანეთის ან თუმნის ან ორი თუმნის მეტის შეტანა არ შეეძლოთ წევრად არ მიიღებდნენ, ბანკი მხოლოდ მდიდარ- შეძლებულისთვის არის გამართული და არა ღარიბების ხელის მოსამართავად.

ავტორი სტატიაში საუბრობს ერთ- ერთ საქმეზე , რომელიც ეწინააღმდეგება ურთიერთნდობის საზოგადოების წესდებულებას. ერთ- ერთ წევრს თურმე საკუთარი სახლი წარუდგენია ურთიერთნდობის ბანკში გირაოდ და ფული უთხოვია, რამდენიმე თვიანი წვალების შემდეგ სახლი ხუთასთუმანზე ნაკლებად შეუფასებიათ და მეპატრონისთვის გირაო არ გაუციათ. სახლის პატრონი

გაწბილებული ბედს შეგუებია ავტორი დანანებით ამბობს, რომ ამგვარი შემთხვევა ბევრი ყოფილაო, ბევრი ამიტომაც არ მიიღეს, ქართველები რომ იყვნენო.

სტატიაში წარმოდგენილია ურთიერთნდობის საზოგადოების წესდება (მუხლი12) თბილისში და თბილისის გუბერნიაში მყოფი უძრავი ქონება მიიღება გირაოდ და მიეცემა საზოგადოებიდან დაფასებულის ჯამის ნახევარი. ამავე მუხლის შენიშვნაში მოხსენიებულია, რომ პატარა ჯამის ვექსილებს დიდი ჯამის ვექსილებზე უპირატესობა აქვს და მოკლე ვადიანს დიდი ვადიანზე. ავტორი წუხს იმის თაობაზე თუ რატომ არ გასცა საზოგადოებამ წვრილ ჯამის ვექსილებზე უპირატესობა ჰქონდა. ათასი ამგვარი მაგალითების შემდეგ ავტორი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ სომხური გაზეთები სულ ტყუილად საყვედურობენ და განაწყენებული არიან იმის შესახებ, რომ ქართველებსა და მათ შორის კავშირი ერთობა და ალიანსი ძნელად იკვრება, მიზეზი კი არაერთია . სტატიის ავტორი- სერგეი მესხია [„ დროება“ 1875: № 15].

&2

ქუთაისის ურთიერთნდობის საკრედიტო საზოგადოების გამგეობის წევრები

ქუთაისის ურთიერთნდობის საკრედიტო საზოგადოების მესვეურები არა მარტო ქუთაისის არამედ საქართველოს მასშტაბითაც გამორჩეული პიროვნებები იყვნენ. ნაშრომში წარმოდგენილი გვაქვს მათი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები.

კირილე ლორთქიფანიძე

ერთ - ერთი გამორჩეული პიროვნება იყო კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე, რომელიც, დაიბადა 1839 წლის 28 სექტემბერს ქუთაისის მაზრის სოფელ დიხაშხოში (ახლანდელი ვანის მუნიციპალიტეტი) 1850 წელს მშობლებმა ქუთაისის გიმნაზიას მიაბარეს, სწორედ იქ სწავლისას კირილე დაუმეგობრდა აკაკი წერეთელს და ნიკო ნიკოლაძეს, აკაკი თავის ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ ჩემი თავგადასავალი“ საინტერესოდ იხსენებს კირილესთან ურთიერთობას. გიმნაზიის დასრულების შემდეგ პეტერბურგში გაემგზავრა სასწავლებლად , უგამოცდოდ ჩაირიცხა უნივერსიტეტის ისტორია- ფილოლოგიის ფაკულტეტზე. კირილე აქტიურად ურთიერთობდა ამ პერიოდში პეტერბურგში თავმოყრილ ქართული ახალგაზრდა ინტელიგენციის თვალსაჩინო ნაწილთან, რომლებიც საკუთარ თავს თერგდალეულებს უწოდებდნენ . მათ შორის იყვნენ მისი ბავშვობის მეგობრები : ნიკო ნიკოლაძე და აკაკი წერეთელი, ასევე ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი, ბესარიონ ღოღობერიძე და სხვები.

1861 წელს მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებისთვის დააპატიმრეს და ჩასვეს არეულობის მონაწილე სტუდენტები, დაპატიმრებულ სტუდენტთა შორის ქართველებიც იყვნენ -გიორგი წერეთელი, ბესარიონ ღოღობერიძე, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე. მიუხედავად იმისა, რომ კირილე უნივერსიტეტიდან გარიცხეს საპყრობილედან გამოსვლის შემდეგ ერთხანს პეტერბურგში დარჩა, თუმცა საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ მუდამ საქმის კურსში იყო. როცა ცისკრის ძველ და ახალ თაობას შორის მამათა და შვილთა ბრძოლა გაჩაღდა და ამ ბრძოლაში „ თავით გადაეშვა“ ილია ჭავჭავაძე, კირილე ლორთქიფანიძე „თერგდალეულის“ ფსევდონიმით პეტერბურგიდან წამოეშველა და წერილს წერილზე აგზავნიდა. 1862 წელს ილიამ ჟურნალი საქართველოს მოამბე გამოსცა . ნიკო ნიკოლაძემ წერილით შეატყობინა

პეტერბურგში მყოფ კირილე ლორთქიფანიძეს და გიორგი წერეთელს ამ ამბის შესახებ და თხოვა პეტერბურგიდან გამოეგზავნათ ჟურნალისთვის სტატიები.

70 - იან წლებში როცა თერგდალეულები ორ ჯგუფად გაიყვნენ (პირველი და მეორე დასი) კირილემ ახლო ურთიერთობა და მხარდაჭერა მეორე დასის წევრებს გამოუცხადა . რამდენიმე წელიწადში კირილე თბილისში ჩამოვიდა და გარკვეული ხნის განმავლობაში ნიკო ნიკოლაძის დაარსებულ ჟურნალ: კრებულში მუშაობდა , ერთხანს რედაქტორობდა კიდეც, 1873-74 წლებში სერგეი მესხის საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში ის რედაქტორობდა „დროებას' შემდეგ კი „შრომას".

1876 წელს ქუთაისში დაბრუნდა და სიცოცხლის ბოლომდე არ დაუტოვებია მშობლიური ქალაქი. 1878 წლიდან 1907 წლამდე მას სისტემატიურად ირჩევდნენ ქუთაისის, ქალაქის ხმოსნად. 1894-1904 წლებში იყო ჭიათურის შავი ქვის საზოგადოების მუდმივი წევრი, ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დირექტორი, ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და ქუთაისის ეთნოგრაფიული საზოგადოების , ურთიერთნდობის საკრედიტო დაწესებულების გამგეობის აქტიური წევრი, დემოკრატიული იდეებით შთაგონებულმა მამულიშვილმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღა ბატონყმობის წინააღმდეგ, მან ერთ-ერთმა პირველმა გაათავისუფლა თავისი ყმები მიწიანად , როგორც ქართული ლიტერატურის და კულტურის დაუღალავი მუშაკი მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართველ მწერლებს, თანაბარი წარმატებით მუშაობდა როგორც ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, ბუნებისმეტყველი, ეკონომისტ-ფინანსისტი, პედაგოგი, იგი წერდა ლექსებს, მოთხრობებს, კრიტიკული და თეორიული ხასიათის სტატიებს.

მის კალამს ეკუთვნის რომანტიკული ხასიათის ლექსები, სხვადასხვა პერიოდებში წერდა ფსევდონიმებით: (თომა, თერგდალეული, კარგარეთელი, უცხო, კილოკავაძე) მას თანამედროვეები ქართველ არისტიდეს ეძახდნენ. იგი თარგმნიდა უცხოელი მწერლების ნაწარმოებებს, თარგმნა ნიკოლაი ნეკრასოვის, ნიკოლაი

დობროლუბოვის, ნიკოლაი ოგარიოვის სტატიები, ჰაინრიხ ჰაინეს, ვიქტორ ჰიუგოს, რობერტ ბერნსის და სხვათა ნაწარმოებები“ , 1863 წელს თარგმნა ჰარიეტ ბიჩერ სტოუს „ ბიძია თომას ქოხი“, რომელმაც ძალიან დიდი პოპულარობა მოუხვეჭა საქართველოს, მან შექმნა ახალი ქართული საბეჭდი შრიფტი [**„24 საათი” : 2010**].

https://burusi.wordpress.com/2010/04/26/kirile-lortkipanidze/

კირილე ლორთქიფანიძის სახელი ცნობილი იყო არა თუ ქუთაისში, არამედ მთელ საქართველოში, როგორც საზოგადო მოღვაწისა. მან დაიწყო მუშაობა საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჯერ თბილისში, მერე კი ქუთაისში 70 -იან წლებში. არ ყოფილა არცერთი საზოგადოებრივი საქმე ან საკითხი, რომ კირილეს მონაწილეობა არ მიეღოს მის გადაწყვეტაში, რომ მას თავისი აზრი არ გამოეთქვას, იყო მასწავლებლების ყრილობა კირილე იქ იყო, იყო თავადაზნაურობის ან მოქალაქეთა ყრილობა, კირილე იქ იყო. გინ ყოფილიყო ვიწრო სპეციალისტების ყრილობა (ექიმებისა, ტექნიკოსთა და სხვა) კირილე აუცილებლად დაესწრებოდა, ყველგან ისმოდა მისი ხმა, მისი ხმამაღალი მკაფიო ლაპარაკი. ტყუილად კი არ დაარქვეს მას „არისტიდე“ გაზეთ „შრომას“ სულისჩამდგმელი იყო და სანამ ეს გაზეთი გამოდიოდა , კირილე მუდამ იქ თანამშრომლობდა.

წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უაქტივესი წევრი იყო და ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლას და შემდეგ გიმნაზიის საქმეებს სათავეში ედგა. გიმნაზიის შენობა მისივე ინიციატივით აშენდა იქ, სადაც დღეს არის და მის აშენებაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ურთიერთნდობის საკრედიტო საზოგადოებას ხომ სიცოცხლე შესწირა. როგორც ექიმმა დიმიტრი ნაზაროვმა თქვა, მან, საზოგადო საქმეებით გატაცებულმა , ოჯახი არ შეიძინა. იყო მარტოხელა, მარტო ცხოვრებას შეჩვეული და მისი აზრის წინააღმდეგი არ ჰყავდა არ შინა და არც გარეთ არავინ. მხოლოდ თუ ვინმე ეცდებოდა საწინააღმდეგოს, გული მოუვიდოდა და ხმამაღლა დაიწყებდა ცხარე ლაპარაკს, განსაკუთრებით ბანკში.

კირილე როგორც ქართული , აგრეთვე რუსული ლიტერატურის კარგი მცოდნე იყო. მას ჰქონდა მშვენიერი ბიბლიოთეკა, არავითარ ახალ გამოცემას არ გაუშვებდა, რომ არ შეეძინა. მან თავისი ძვირფასი ბიბლიოთეკა უანდერძა ქალაქს (კირილე ლორთქიფანიძის უნიკალური ბიბლიოთეკა ამჟამად დაცულია ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო მუზეუმში).

კირილე მარტოხელა უცოლშვილო იყო, ძმაც ასეთივე ჰყავდა , ორივენი იყვნენ დიდი მემამულენი, ასე რომ იმერეთში მათ ვერავინ შეედრებოდა, კირილე მუდამ ქალაქში ცხოვრობდა , დღიდან პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრებისა და დაბრუნებისა სოფელს არ ეკარებოდა. მე ვთანამშრომლობდი მასთან თითქმის 20 წელიწადი და არ მახსოვს, რომ იგი ერთი დღით მაინც წასულიყო სოფლად თავის მამულში „ კირილე ლორთქიფანიძემ დაუტევა დედა თვისი და მამა თვისი და ყოველივე თვისი ახლობელნი და შეუერთდა საურთიერთო ნდობის საზოგადოებასო“ -ამბობდა მასზე ექიმი დიმიტრი ნაზაროვი [**პურადაშვილი, 2009 :163- 167**].

გაზეთ ივერიის 1888 წლის №70-ე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში : „დაბა და სოფელი“ საუბარია ქუთაისში 30 მარტს საურთიერთო ნდობის საზოგადოების ჩვეულებრივ მორიგ კრებაზედ. კრებას განსახილველი ჰქონდა შემდეგი საკითხები:

1) წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება
2) ერთ-ერთი დირექტორის ამორჩევა
3) ზოგიერთის ცვლილებების შემოღება საზოგადოების წესდებაში

სტატიიდან ნათლად ჩანს, რომ კირილე ლორთქიფანიძის კანდიდატურა უნდა დასახელებულიყო დირექტორის თანამდებობაზე. მას მთელი ქალაქი იცნობდა , ყველა ვინც კი მასთან დაახლოებული იყო იტყოდა: პატიოსანი, უანგარო, ბეჯითი, საურთიერთო ნდობის დაწესებულებისთვის დედა-ბოძიო. კირილეს ქუთაისში ისე უყურებდნენ , როგორც ძველ დროში ათენელები „არისტიდეს“. ავტორი იმასაც დასძენს, რომ კირილესაც იგივე არ მოუვიდეს, რაც არისტიდეს მოუვიდა თავის

დროზე, ზედმეტი პატიოსნებისთვის საზოგადოებამ რომ განდევნაო. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მალევსკი, წაიკითხეს მოხსენება საზოგადოების იმ წევრებისა, რომლებიც წარდგენილნი იყვნენ ჯილდოზედ, ჯამაგირის მომატებაზე, იყო მსჯელობა, საყურადღებო შენიშვნები, ბოლოს კი კრებას ერთხმად აურჩევია დირექტორად კირილე ლორთქიფანიძე [**„ივერია“ 1888 : №70**]

დიმიტრი ელიზბარის -ძე დადიანი

დიმიტრი ელიზბარის-ძე დადიანი ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა 19-ე საუკუნის მეორე ნახევარში და თვალსაჩინო ადგილს იკავებს საბანკო საქმიანობის წარმართვაში ქუთაისის გუბერნიაში . ის იყო ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. იგი დაიბადა სენაკის რაიონში, სოფელ ნოსირში, ქუთაისის გიმნაზიის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო ოდესის უნივერსიტეტში(არ დაუმთავრებია) საფუძვლიანი აგრარული განთლება მიიღო საფრანგეთში მონჰელიეს სამეურნეო სასწავლებელში , დაბრუნების შემდეგ ელიზავეტპოლის გუბერნიაში მსახურობდა საგანგებო მინდობილობათა მოხელედ . შემდეგ ქუთაისში ეწეოდა ჟურნალისტურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას: 1881-1883 წლებში რედაქტორობდა გაზეთ შრომას , აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის პუბლიცისტურ თხზულებებს ქართულ და რუსულ პრესაში (დროება, შრომა, ივერია, ნოვოე ობოზრენიე და სხვა).

1883 წელს დიმიტრი დადიანი აირჩიეს ქუთაისის ურთიერთნდობის ბანკის დირექტორად, შემდეგ საადგილმამულო ბანკის მმართველად თავმჯდომარედ (ოპოზიციის მხრიდან) 1895 წელს აირჩიეს ფოთის საქალაქო გამგეობის წევრად, იყო სენაკის მაზრის თავადაზნაურთა დეპუტატი. დადიანის შეხედულებით ქართველი ხალხის საერთო ეროვნული თვითშეგნების გამთლიანება აღორძინებისთვის აუცილებელი იყო საზოგადოებრიობის ყველა ფენის კონსოლიდაცია ეროვნული იდეოლოგიის გარშემო, ეკონომიკის დაწინაურება და

კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების პერმამენტული განვითარება . დიმიტრი დადიანი თავიდან მომხრე იყო თბილისის და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკების შეერთებისა , რაზეც გამოქვეყნებული აქვს სპეციალური წერილი „მუდამ ცალ-ცალკე თუ ერთად“(დროება-1875 #44) 1895 წელს ტუბერკულოზით დაავადებული დადიანი სამკურნალოდ ავსტრიაში გაემგზავრა, მაგრამ გზად ოდესაში გარდაიცვალა, დაკრძალულია სენაკში [**ჯოლოგუა, 2012: 252**].

პავლე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი

პავლე თუმანიშვილმა საშუალო განათლება ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო, შემდგომ სწავლა გააგრძელა პეტერბურგის უნივერსიტეტში , სადაც დაუახლოვდა ილია ჭავჭავაძეს და 60 იანი წლების სხვა გამოჩენილ მოღვაწეებს, იმოგზაურა ევროპაში და დაგვიტოვა საინტერესო მოგონებები. ევროპიდან დაბრუნებული თუმანიშვილი ცხოვრობდა ქუთაისში, იყო ურთიერთნდობის საკრედიტო საზოგადოების თავმჯდომარე, სათავადაზნაურო ბანკის ერთ-ერთი თვალსაჩინო მუშაკი, თანამშრომლობდა ქართულ- ჟურნალ გაზეთებში. პავლე თუმანიშვილის ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, იასონ ბაქრაძე, გიორგი წერეთელი, ანასტასია თუმანიშვილი, დიმიტრი ნაზარიშვილი. ეს ოჯახი წარმოადგენდა ქუთაისის ინტელიგენციის შესაკრებელ ადგილს, თავისებურ კულტურულ სალონს, სადაც მსჯელობდნენ მშობლიური ლიტერატურისა და ხელოვნების , ისტორიისა და მუსიკის საკითხებზე.

პავლე თუმანიშვილი ახლოს იცნობდა ცნობილ ინგლისელ ქართველოლოგ ქალს მარჯორი უორდროპს, თუმანიშვილების ოჯახთან ახლოს იყო დიდი ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, თუმანიშვილის ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ მელიტონ ბალანჩივაძე, ძმები: ელიოზ და ფელიქს მიზანდარები.

პავლე თუმანიშვილის არქივი, რომელიც დაცულია ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში შედგება რამდენიმე ხელნაწერი რვეულისგან. ამ რვეულებში გაკეთებულია საინტერესო ჩანიშვნები უცხოეთში მის მიერ გაცნობილი მასალების შესახებ. პავლე თუმანიშვილის არქივში შესაძლებელია ვნახოთ საინტერესო ფაქტობრივი მასალები მე- 19 საუკუნის ქუთაისის კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების შესახებ. [**ჭუმბურიძე, :1970**]

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის (ქიმ) არქივში დაცულია 1898 წელს ნიკო ნიკოლაძის მიერ დაწერილი წერილი , რომელსაც ის უგზავნის კირილე ლორთქიფანიძეს . წერილი შემდეგი შინაარსის არის: ნიკო ნიკოლაძე მისი ნათლულის ვიღაც ებანოიძის თხოვნით შუამავლობით, კირილე ლორთქიფანიძეს თხოვს, რომ პავლე თუმანოვს, იგივე თუმანიშვილს მისცეს მწერლის ადგილი მის ბანკში ან დაასაქმოს თუ კი რამე ვაკანსია აქვს, იმასაც აღნიშნავს, რომ პავლეს უმსახურია სხვადასხვა თანამდებობაზე , ხაზს უსვამს მის პატიოსნებას და თხოვს მეგობარ კირილეს რომ მისცეს რამე შანსი ახალ სამსახურში. აღნიშნული წერილი პირადი ხასიათის არის. [**ქუთაისის ისტორიული მუზეუმი,ფონდი :2173/746**] .

გუსტავ გავრილოვიჩ მალევსკი

ურთიერთნდობის საკრედიტო საზოგადოების გამგეობის წევრებში მოხსენიებული არის გუსტავ გავრილოვიჩ მალევსკი, რომლის შესახებაც მეტად მწირია ინფორმაცია, თუმცა სამუზეუმო არქივში შემორჩენილია ვექსილის ქაღალდი ,ოფიციალური დოკუმენტი, წერილი, რომელშიც ფიგურირებს მალევსკი. 1887 წლის 28 ივნისს ქუთაისის საკრედიტო საზოგადოებას გაცემული აქვს ვექსილის ქაღალდი სავალო ვალდებულებისთვის 400 რუბლის ზემოთ 500 რუბლამდე , ვექსილში გარკვევით წერია, რომ თავად კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძეს აღებული აქვს მალევსკისგან სავალო ვალდებულება ხუთასი რუბლი ვერცხლით 6 თვით [**ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, ფონდი: 6417/6135**]

სამუზეუმო არქივში ასევე დაცულია წერილი,(1887 წლის 22 მარტი თბილისი) რომელიც ეკუთვნის ალექსანდრე ჭიჭინაძეს, წერილის ადრესატი კი არის კირილე ლორთქიფანიძე. წერილი ეხება ვადაგადაცილებულ ვექსილს, სავალო ვალდებულებას, რომლის მოგვარებასაც ალექსანდრე თხოვს კირილეს, თან იმასაც დასძენს, რომ იგი მოუცლელია და წუხს , რომ ამ საქმეს ავალებს, თუმცა თავს იმით იმართლებს , რომ ქუთაისში გარკვეული დროის მანძილზე ჩამოსვლას ვერ ახერხებს, სხვებსაც მისწერა ამის შესახებ , მაგრამ ამაოდ, პასუხი დაუგვიანეს წერილი პირადი ხასიათის არის და ბოლო აბზაცში იგი საუბრობს მალევსკის შესახებ. ტექსტი შემდეგი შინაარსის არის: კირილეს წერს, რომ მან მიიღო ინფორმაცია მალევსკის წასვლის შესახებ და ამ ამბით გახარებულია, იმედი აქვს, რომ მას ჩაანაცვლებს ვინმე ხეირიანი, მაგ; დ. ბაქრაძე, დ. აბდუშელაშვილი, პ. თუმანიშვილი, წერილში ავტორი აღნიშნავს, რომ მისთვის ჩამოთვლილი პიროვნებები ყველა მისაღებია და მოხარულია ამ ფაქტით, გაოცებულია იმ ფაქტით, რომ მალევსკიმ ვინმე ბაინდურაშვილი მოინდომა ბანკში თავმჯდომარედ. [**ქუთაისის ისტორიული მუზეუმი: ფონდი,2173/999**].

მალევსკის შესახებ ინფორმაცია დაცულია 1888 წლის 2 აპრილის გამოცემაში საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ ივერიაში № 70-ე ნომერში. საგაზეთო სტატიას „ დაბა და სოფელი“ ჰქვია, სადაც აღწერილია ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების 30 მარტს გამართული ჩვეულებრივი მორიგი კრება. კრებაზე განსახილველი იყო შემდეგი საკითხები:

4) წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება
5) ერთ-ერთი დირექტორის ამორჩევა
6) ზოგიერთის ცვლილებების შემოღება საზოგადოების წესდებაში

ხალხი კრებაზედ დიდის ზოზინით შეკრებილა, თავმჯდომარედ დაუსახელებიათ ბ-ნი ლ. ასათიანი, რომელმაც თურმე უღონობა მოიმიზეზა და უარი თქვა, ამ დროს ერთ- ერთს პიროვნებას მალევსკის კანდიდატურა დაუსახელებია . ამ ბანკის

ადრინდელი მმართველისა. ბატონ მალევსკის ყოყმანის გარეშე დაუკავებია თავმჯდომარის სავარძელი . საზოგადოების ნაწილს იქვე გაუპროტესტებია მისი კანდიდატურა, რადგან მან ქართული არ იცოდა და თარჯიმანს საჭიროებდა, თარჯიმნად კი მალევსკის ბატონი ლოლუა დაუსახელებია. სტატიის ავტორი ნათლად გამოხატავს ბატონი მალევსკის ამრეზილ დამოკიდებულებაზე ბანკთან დაკავშირებით, რადგან იგი დაითხოვეს სამსახურიდან, იგი იყო გუბერნიის სოვეტნიკი და თან ბანკის მმართველობასაც ასრულებდა. ახალი განკარგულებით მას ერთ- ერთის თანამდებობისთვის თავი უნდა დაუნებებინა, ბევრი დავიდარაბა ჰქონია, არ სურდა თურმე ბანკის დატოვება, ჯილდოც კი მიუციათ მისთვის 100 თუმანი, თავად ბანკის საწევრო ფული 1500 მანათი ჰქონია, მაგრამ როგორც კი გაუთავისუფლებიათ 100 მანეთზე დაუტოვებია საწევრო. მალევსკის რომ მართლა ჰყვარებოდა ბანკი და მისი სამსახური ასე არ მოიქცეოდა ანგარიშებთან დაკავშირებით -აღნიშნავდა სტატიის ავტორი. [**„ივერია „1888: №70**].

ურთიერთნდობის საკრედიტო საზოგადოების არსებობის და საქმიანობის პროცესში დიდწილად მნიშვნელოვანია, ისევე როგორც საზოგადოების მზაობა და მონდომება, ამავდროულად პერსონალიების როლი, რომელთაც გამბედაობის და შეუპოვრობის არაერთი მაგალითი აჩვენეს ყველა იმ კრიზისულ და გამოუვალ სიტუაციაში, რომელშიც არაერეთხელ ყოფილა ბანკი მუშაობის პროცესში. ქსელური კავშირი, რომელიც საკრედიტო ორგანიზაციას ჰქონდა დასავლეთ საქართველოს მასშტაბით, მაგალითია არა მხოლოდ მატერიალური სარგებლისა, არამედ ურთიერთანამშრომლობისა ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის საქმეში

ძირითადი დასკვნები

- ქუთაისის, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის მრავალმხრივობა, დასაბუთებულია არაერთ ისტორიულ წყაროში , იგი ყოველთვის იყო პოლიტიკური ცენტრი - რეგიონის, მხარის, ქუთაისის გუბერნიის , იყო ერისმთავართა დასავლური რეზიდენციაც, აფხაზთა სამეფოს ცენტრიც , ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის მედროშე, „დედაქალაქის“ სტატუსის მატარებელი.
  XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსულმა იმპერიალისტურმა ხელისუფლებამ ქვეყანა მმართველობის ახალ ადმინისტრაციულ სისტემაში მოაქცია. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო დაიყო მაზრებად და ოკრუგებად, ნიშანდობლივია ამით გაიმარტივა კონტროლის და მართვის მექანიზმი ანექსირებულ ტერიტორიაზე.

- თავდაპირველად დასავლეთ სასაქართველოში ფუნქციონირებდა ,,იმერეთის დროებითი მმართველობა", რომლის სათავეში რუსი მოხელე იდგა. დროებითმა მმართველობამ 1810-1840 წლებში იარსება და მმართველობის ცენტრთან ერთად ქუთაისი ამავე დროს იყო "ქუთაისის ოკრუგის" ცენტრი. ქუთაისის ოკრუგის უფროსი სხვებთან შედარებით მეტი უფლებებითა და მოვალეობებით იყო აღჭურვილი. რუსეთის იმპერიალისტური ხელისუფლება, ვიდრე მხარეს გაეცნობოდა იძულებული იყო ქვეყნის მართვაში დასახმარებლად ადგილობრივი თავადაზნაურობის პრორუსული ნაწილისთვის მიემართა, და გამოეყენებინა ეს სოციალური ფენა , როგორც რესურსი , ისტორიულად კარგად ჩანს რომ ამ მეთოდმა გაამართლა.

- ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ დასავლეთ საქართველო ყოველთვის იყო მრავალმხრივი ადმინისტრაციული ცვლილებების მარათონში, 1857 წელს იმპერატორ ალექსანდრე II- ის მიერ ხელმოწერილმა ბრძანებულებამ ქუთაისის საგენერალ-გუბერნატოროს შექმნის შესახებ ქალაქის მნიშვნელობა გაზარდა , რადგან გენერალ- გუბერნატორი ითვლებოდა სამხედრო და შავი ზღვის კავკასიის სანაპიროს ფლოტის სარდლად, მოგვიანებით იგი ტერიტორიულადაც გაფართოვდა . 1921 წლიდან ქუთაისის გუბერნია გაუქმდა და 8 წელი იგი მხოლოდ მაზრის სტატუსით არსებობდა, 40-იან

წლებში კი მას წყალტუბოს რაიონი გამოეყო და მხოლოდ საქალაქო ტერიტორიით არსებობს, ასევე მინიჭებული აქვს ინდუსტრიული ქალაქის სტატუსი, სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ინდუსტრიულმა ქუთაისმა თითქმის ჩაახშო კულტურული ქუთაისი, ქალაქმა დაკარგა თავისი ადგილი საქართველოს ინტელექტუალურ ცხოვრებაში, რასაც ხელი შეუწყო იმან, რომ ქუთაისს წართმეული ჰქონდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ტრადიციული ფუნქცია.

- ქუთაისის გუბერნატორის ანგარიშები და გუბერნიის ყოველწლიური მიმოხილვები უმდიდრეს ფაქტობრივ მასალას შეიცავენ საქართველოს ახალი ისტორიის შესასწავლად. ისინი საშუალებას გვაძლევენ თვალი გავადევნოთ როგორ მიმდინარეობდა რუსეთის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური დამკვიდრების პროცესი, რა სიძნელეები ხვდებოდა საიმპერიო ხელისუფლებას მხარის რუსიფიკაციის პოლიტიკის გატარების საქმეში. ამ მასალებში ნათლად ჩანს რუს მოხელეთა დამპყრობლური, შოვინისტური განწყობილება და უვიცი, უმეტეს შემთხვევაში, ლოთი, მრუში და მექრთამე ჩინოვნიკის ქედმაღლური დამოკიდებულება ე. წ. "ინოროდცებისა" და "ტუზემცების" მიმართ. გუბერნატორები თავიანთ ანგარიშებში ხაზგასმით აღნიშნავდნენ "რუსული ელემენტის", რუსების ისტორიულ მისიაზე – გუბერნიის ადგილობრივი მოსახლეობა გამოიყვანონ საუკუნოებრივი ჩამორჩენილობიდან, პროგრესის და განათლების გზაზე გაიყვანონ ის. ამიტომ მათი აზრით, საჭიროა, რაც შეიძლება მეტი რუსი დამკვიდრდეს საქართველოში.

- 1865 წლის ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორის ა. ოგოლინის ანგარიშებში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ამ მხარეში თითქმის 60 წლიანი ბატონობის განმავლობაში რუსული მოსახლეობა მცირეა, წუხს, რომ აქ არ არიან მყარად დამკვიდრებული რუსები. მისი აზრით, მხარის რუსეთის ცენტრთან სრულ შერწყმას ხელს სწორედ ის გარემოება უშლის, რომ გუბერნიაში ძალზე მცირეა "რუსული ელემენტი" და გუბერნატორი პირობას დებს იმპერატორის წინაშე, რომ ყოველმხრივ შეეცდება ეს ნაკლი გამოასწოროს, გამოასწორა კიდეც რუსეთის იმპერატორმა ეს პრობლემა და საქართველოში მასობრივად მოხდა მიგრირება რუსული ელემენტის (11

რუსული სოფელი) არის ოფიციალურად , გაცხადებულად დაფიქსირებული ამ დროის საქართველოში .

- რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობას, ქართველებს , გუბერნატორი თვლიდა, რომ ისინი არც ზნეობრივად და არც გონებრივად ჯერ კიდევ არ არიან იმისათვის მომზადებული, რომ მონაწილეობა მიიღონ მხარის მართვაში. რუსული ენის უციდინრობა ხელს უშლის მათ აქაური გიმნაზიის კურსის დამთავრებაშიც კი. ადგილობრივ გარემოს კი არ შეუძლია მათ სამართლიანობის და მოვალეობის ნათელი ცნებები ჩაუნერგოს .გუბერნატორთა ანგარიშებში დაცული ფაქტობრივი მასალა რა თქმა უნდა, კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან ანგარიშების შედგენა ხდებოდა დადგენილი სტანდარტების საფუძველზე, გუბერნატორთა სუბიექტური დამოკიდებულებებით და რუსული ელემენტის დომინირების საჩვენებლად , ამავდროულად ქართველთა დაკნინების მიზნით.

- ქუთაისის თვითმმართველობისა და გამგეობის საქმიანობის მთავარი მიმართულება საფინანსო-საბიუჯეტო სფერო იყო. რუსული მმართველობა, როგორც წესი, პედანტური სიზუსტით და სკურპულოზურად აღწერდა მისი ორგანოების ხარჯებს, რისთვისაც არსებობდა სპეციალური წიგნი, სადაც აღნუსხული იყო ამა თუ იმ უწყების შემოსავალი და გასავალი. მსგავსი წიგნი ქუთაისის საქალაქო სამმართველოშიც არსებობდა. მისი შედგენა მკაცრად, ინსტრუქციის შესაბამისად ხდებოდა. შემოსავალ-გასავალის წიგნი მოიცავდა შემდეგ თავებს: (შემოსავლები, გასავალი, უწყების ვალები, ამოღებული ანუ შეუსრულებელი თანხები, განუხორციელებელი ხარჯები) ქუთაისის საქალაქო სამმართველოს შემოსავალ-გასავლის წიგნს ადგენდა ქალაქის გამგეობა. მისი განხილვა და დამტკიცება უნდა მომხდარიყო ქალაქის სათათბიროს სხდომაზე ხმოსნების მიერ.

- შემოსავალ-გასავალის წიგნის შედგენა ძალიან შრომატევადი საქმე იყო და შემდგენლებისაგან საკმაო ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვდა. მაგალითად: ქუთაისის საქალაქო სამმართველოს შემოსავალ-გასავალის წიგნის შედგენა 2 წელი მიმდინარეობდა მისი მოცულობა შეადგენდა 188 გვერდს. ხშირად წიგნში აღნუსხული ინფორმაცია გარკვეულ ბუნდოვანებას ქმნიდა,

რის გამოც მიმდინარეობდა სასამართლო დავები უწყებებს შორის. ასევე დავები ფიზიკურ პირებთან, რაც ძირითადად მიუღებელ ჰონორარებს უკავშირდებოდა, აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ, თანხების განკარგვა ხდებოდა არასამართლებრივად , ადგილი ჰქონდა ადგილობრივი ჩინოვნიკების მხრიდან საბიუჯეტო გარღვევას, და თანხების მითვისებას .

- რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი მახასიათებელი იყო რუსებზე და უცხოელებზე მიწების გადაცემა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას და ბუნებრივ სიმდიდრეებს მტაცებლურად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ძარცვავდნენ. უგულებელყოფილი იყო ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები. მთელი ყურადღება გადატანილი იყო მომპოვებელი მრეწველობის განვითარებასა და ნედლეულის იმპერიის სხვადასხვა რეგიონებსა და საზღვარგარეთ ექსპორტზე, აქედან გამომდინარე, მარტივად შეიძლება დასკვნების გაკეთება იმ კუთხით, რომ რუსეთისთვის არ არსებობდა სფერო, რომლისგანაც არ მიეღოს სარგებელი, საბოლოოდ კი საქართველოსთვის ეს გასხვისებული მიწები სადავო გახდა ან საერთოდ დაიკარგა.

- საქართველო ნედლეულის მწარმოებელი და მეტროპოლიაზე ეკონომიკურად დამოკიდებული ქვეყანა უნდა ყოფილიყო, რუსეთის უზარმაზარი იმპერიის განაპირა მხარე. საქართველოს მთელ ტერიტორიას რუსეთის მთავრობა განიხილავდა, როგორც საკუთარ მამულს და თვითნებურად განკარგავდა მის ბუნებრივ რესურსებს საიმპერიო ხაზინას გადაეცა ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოების, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის და სვანეთის სამთავროების, სამეფო და სამთავრო ოჯახების წევრთა ქონება და მამულები. თურქეთთან ომებში გამარჯვების შემდეგ, რუსეთმა ისტორიული სამცხე-საათაბაგოს, აჭარის და აფხაზეთის ტერიტორიიდან მასობრივად აყარა მაჰმადიანი ქართველები, რომლებიც იძულებული გახდნენ თურქეთში გადასახლებულიყვნენ , მუჰაჯირობამ უდიდესი დაღი დაასვა ქართულ იდენტობას და ხელი შეუწყო ქართველთა იძულებითი ასიმილაციის პროცესს სხვა ქვეყნებში.

- რუსული იმპერიალიზმის მარწუხებში მოქცეული მრავალჭირნახული ქართული საზოგადოება თვითგადარჩენის გზებს და გამოსავალს ეძებდა. თავადაზნაურობას წოდებრივი და ქონებრივი უპირატესობის შენარჩუნების ერთადერთ ბურჯად საადგილმამულო ბანკი მიაჩნდა. საბანკო საფინანსო საქმის გამართვას თბილისსა და ქუთაისში თან ახლდა წინააღმდეგობები, სირთულეები, იდეური და კლასობრივი შეუთანხმებლობა თანამოაზრეთა შორის, რაც მეტწილად აფერხებდა ქვეყნისთვის სასიკეთო ფინანსური საქმის სისრულეში მოყვანას. ბანკი არ უნდა ყოფილიყო პრივილეგირებულთა ორგანიზაცია და მათი გამდიდრების წყარო, კლასთა ინტერესების დამცველი ან დაპირისპირების ადგილი, არამედ უნდა ყოფილიყო დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული მოგებაზე ორიენტირებული, საერთო საზოგადოებრივი დაწესებულება, საბანკო სისტემის ჩამოყალიბება მე-19 საუკუნის საქართველოში ქართველთა მხრიდან დიდი გამოწვევა იყო რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ფინანსური თავისუფლების თვალსაზრისით.

- აქამდე საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობდა ფულად-საკრედიტო სისტემა ან დამხმარე კაპიტალი , რომელიც საზოგადო ან კერძო საჭიროებისამებრ თანხების მობილიზებას და მის ეფექტიან გამოყენებას შეუწყობდა ხელს, მემამულეებიც და გლეხებიც ამ მხრივ მეტად მძიმე მდგომარეობაში იყვნენ, აქედან გამომდინარე, საქართველოს ისტორიაში პირველი ქართული ბანკი ადამიანური ყოფის შემსუბუქების და თვითგდარჩენის ერთ-ერთი საშუალება იყო . სხვდასხვა წყაროებით დასტურდება, რომ საქართველოს პოლიტიკურ და სოციალ- ეკონომიკურ ცხოვრებაში თითქმის არ დარჩენილა სფერო , სადაც ქართულ საადგილმამულო ბანკს თავისი მიზანდასახული პოლიტიკა არ გაეტარებინა. აფინანსებდა საქველმოქმედო ორგანიზაციებს, სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებს, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, მოსწავლეებს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებს და გაზეთებს, საეკლესიო დაწესებულებებს, სტიქიით დაზარალებულებს, კერძო პირებს და ა.შ. (1875-1909 წლებში) ბანკს საზოგადო საჭიროებისთვის გაუღია 1944 136 მანეთი და 38 კაპიკი.

- ქუთაისის საადგილმამულო ბანკმა 1921 წლამდე იარსება და თავისი არსით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა რუსეთში არსებული ანალოგიური დაწესებულებებისგან ის ევროპული ტიპის პირველი მსხვილი საკრედიტო დაწესებულება იყო, ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია აღნიშნული ბანკის 8803 შესანახი ერთეული, რომლებიც სრულად ასახავენ აღნიშნული დაწესებულების საქმიანობას , ბანკი წლების განმავლობაში აფინანსებდა სათავადაზნაურო გიმნაზიას, რამდენიმე სკოლას, ქართულ თეატრს, ქართული წიგნის გამოცემას, დაცულია ცნობები ბანკში დაგირავებულ ქონებაზე და დამგირავებლებზე, დიდია მისი როლი ქალაქის განვითარების და მატერიალური კეთილდღეობის საქმეში შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, ქუთაისის ბანკი დასავლეთ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მატერიალურ დასაყრდენს წარმოადგენდა ეს კი ცალსახად მიუთითებს, ერთი მხივ ქართველი ერის ფინანსური დამოუკიდებლობის ამბიციაზე, მეორე მხრივ ეროვნული ბრძოლის თავისებურად გამოხატვის ფორმაზე.

- 1880 წელს ფუნქციონირება დაიწყო ქუთაისის ურთიერთნდობის საკრედიტო ბანკმა, მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისში არსებობდა საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკი, ამ საქმის ინიციატივა თავის თავზე აიღო ვაჭართა და მრეწველთა საზოგადოების წარმომადგენლებმა ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა. ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დანიშნულების შესახებ საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს გამგეობის თავმჯდომარე:
  პ. თუმანიშვილი, იგი საუბრობს საკრედიტო საზოგადოების მისიაზე და როლზე , მატერიალურ სარგებელზე, მოსალოდნელ შედეგებზე, რაც ერთმნიშვნელოვნად სასარგებლო და პერსპექტიულია ქართული საზოგადოებისთვის და თითოეული მოქალაქისთვის.

- დასკვნა მარტივად შეიძლება გააეთო არსებულ მოვლენასთან დაკავშირებით, ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი იყო ურთიერთსარგებელი, ფინანსური კეთილდღეობა, ეს ყოველივე კი თავისთავად განაპირობებდა ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ქალაქში, ნაშრომში ნათლად ჩანს არა მხოლოდ ქუთაისის ურთიერთნდობის საკრედიტო დაწესებულების მუშაობა, ფინანსური ანგარიშგება თუ სარგებელი, არამედ ამ ორგანიზაციის ფილიალების

არსებობაც საქართველოს სხვადახვა კუთხეში: ფოთში, ჭიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, სენაკში, ზუგდიდში, ხონში , კარგად ჩანს მათი საქმიანობა და მოსახლეობის დამოკიდებულება, რასაც ადასტურებს მოწვეული კრებები, რომელსაც აშუქებდა იმდროინდელი პრესა (ჟურნალ-გაზეთები).

- სადისერტაციო ნაშრომი საქართველოს ისტორიის იმ პერიოდს , მონაკვეთს ასახავს (1846-1917) როცა რუსული იმპერიალიზმის მარწუხებში მოქცეული მრავალჭირნახული ქართული საზოგადოება თვითგადარჩენის გზებს და გამოსავალს ეძებდა. თავადაზნაურობას წოდებრივი და ქონებრივი უპირატესობის შენარჩუნების ერთადერთ გზად საბანკო საფინანსო საქმის გამართვა მიაჩნდა თბილისსა და ქუთაისში. ამ პროცესებს ახლდა წინააღმდეგობები, სირთულეები, იდეური და კლასობრივი შეუთანხმებლობა თანამოაზრეთა შორის, რაც მეტწილად აფერხებდა ქვეყნისთვის სასიკეთო ფინანსური საქმეების სისრულეში მოყვანას. ნაშრომში წარმოჩენილია საქართველოს პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტები, ქველმოქმედება, ფინანსური სარგებელი და საფინანსო ორგანიზაციების ღირსეული კვალი ქვეყნის და ქართველი ერის მატერიალური კეთილდღეობის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. ბარამიძე, „საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“, ბათუმი:1999
2. ა. ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, „ილუსტრირებული ბიოგრაფიები“, პეგასი: 2006
3. ა. ბენდიანიშვილი, „აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წწ“, თბილისი: 1965
4. კ. ბოროზდინი, „სამეგრელო და სვანეთი 1854-1861 მოგონებანი“, თბილისი :1934
5. პ. გუგუშვილი, „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX -XX საუკუნეებში“ ტ. II, თბილისი:1984
6. ვ. გურული,“ საქართველოს ახალი ისტორია“ 1801-1918 წიგნი II, თბილისი: 2018
7. ვ. გურული , „ საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918)“ წიგნი I, თბ: 2017.
8. ა. გოგუაძე, „ფეოდალური მეურნეობის რღვევა და მამულების ტიპები რეფორმის შემდგომი პერიოდის დასავლეთ საქართველოში(1865-1912 წწ),ქუთაისი:1977
9. გ. ვაჭრიძე, „იმერეთის დროებითი მმართველობა“(1810-1840 წლები)“ ქუთაისი: 1999
10. გ. ვაჭრიძე, „დასავლეთ საქართველოში რუსეთის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ისტორიიდან“ ქუთაისი :2006
11. ა. თელია, „ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე“ ,თბილისი :1989
12. შ. მეგრელიძე, „ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“, თბილისი: 1963
13. ქ. მუშკუდიანი, „ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის 90-იან წლებში“, თბილისი : 1973

14. გ. მჭედლიძე, „ქუთაისი XIII საუკუნის 60 - იანი წლებიდან XX საუკუნის 20 - იან წლებამდე“ ქუთაისი : 2013
15. გ. მჭედლიძე ,“ ქუთაისი მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში“ გამომცემლობა აწსუ : 2011
16. პ. ინგოროყვა, საქ. სსრ. მეც. აკად. „ილია ჭავჭავაძე“ წერილები უცხოეთზე თბილისი : 1957
17. პ.ინგოროყვა, ი.ჭავჭავაძე, ნარკვევი ,თბილისი: 1957
18. ს. კუპრაშვილი, ქუთაისი, „ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია“: 2013
19. ს.კუპრაშვილი , გ. ვაჭრიძე, მ. ჭუმბურიძე, „ქუთაისის ისტორიიდან“, ქუთაისი: 2017
20. ა. კიკვიძე, „საქართველოს ისტორია IX-XX საუკუნეებისა“, ტ.2,თბილისი:1959
21. ა. კიკვიძე, „საქართველოს ისტორია 1801-1890 წლებში“, თბილისი:1977
22. თ. სახოკია, „მოგზაურობანი“- გურია, აჭარა, სამურზაყანო, საბჭოთა აჭარა, აფხაზეთი, საბჭოთა აჭარა: 1985
23. კ. ქებულაძე, „ქართველი საზოგადო მოღვაწეები ქუთაისის საადგილმამულო ბანკის შესახებ“ ქუთაისი : 2009
24. ისააკ და ივანე პურადაშვილები , „მოგონებები“ , ქუთაისი: 2009
25. ნ. შველიძე, „საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან“ თბილისი:1967
26. ი. ჭავჭავაძე, თხზულებები , ტომი 5, თბილისი :1956
27. ვ. ჯაოშვილი, „საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში“ თბილისი:1984
28. თ. ჯოლოგუა, ენციკლოპედია „საქართველო“, ტ.2. თბილისი: 2012
29. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, საქართველო XIX საუკუნის 30-90-იან წლებში, თბილისი :1970
30. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კრებული VI ,ქუთაისი :1993

31. ქუთაისის ცენტრალურ არქივი, ბათუმის ნოტარიუსის ფონდი № 12
32. ქცსა: ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი № 175.
33. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი № 176
34. ქცსა: ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივი, ფონდი №130.
35. ქცსა. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფონ.108, საქმე 23, ფ.54,100
36. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1903 #2087
37. გაზეთი „ივერია“ 1888 წელი,2 აპრილი, №70
38. ქუთაისის ისტორიული მუზეუმი /ქიმ / ფონდი,2173/999
39. ქუთაისის ისტორიული მუზეუმი /ქიმ/ ფონდი, 6417/6135
40. ქუთაისის ისტორიული მუზეუმი /ქიმ/ ფონდი, 2173/746
41. ქუთაისის ისტორიული მუზეუმი/ქიმ/ დ. ჭუმბურიძე: 1970
42. გაზეთი „ივერია“ 1888 წელი,2 აპრილი, №70
43. გაზეთი „დროება“ , 1875 წელი, 2 თებერვალი, № 15
44. გაზეთი „ივერია“ 1909 წელი, 29 ივნისი №26
45. გაზეთი „ივერია“, 1877-1904 ,№ 52
46. გაზეთი „ერთობა“, 21.08.1920, №189

47. Эсадзе 1907: Эсадзе С., Историческая записка об управлении Кавказом т. I-II, Тиф., 1907.
48. Свод законов Российской Империи 1876: Свод законов Российской Империи, т. II, ч. I. Общея губернское учреждения, СПБ., 1876.
49. Обзор Кутаисской губернии с 1887 по 1913 год. Издание Кутаисского губернского статистического Комитета, Кут. 1884-1914

50. ელ-რესურსი, ეკა მახარაშვილი, „ქართველი არისტიდე“ გაზეთი „24 საათი“ 26/04/2010

https://burusi.wordpress.com/2010/04/26/kirile-lortkipanidze/

51. საქართველოს ეროვნული არქივი 2015, „ქუთაისის მიხეილის სათავადაზნაურო ფონდი“ ატვირთულია 12/01/2015 , მოძიებულია 15/07/2022, ელ-რესურსი
https://archive.gov.ge/ge/news/qutaisis-mixeilis-satavadaznauro-saadgilmamulo-bankis-fondi

52. ელ-რესურსი, უცნობი ქუთაისი, 2017 წლის 6 მარტი
https://www.facebook.com/UnknownKutaisi/?locale=ka_GE

53. .ევროპული არჩევანის ეროვნული საფუძვლები-საქართველოს საბანკო სისტემის სათავეებთან (ბლოგი) ნუკრი მიხანაშვილი
03/06/2014
https://for.ge/view/32428/evropuli-arCevanis-erovnuli-safuZvlebi---saqarTvelos-sabanko-sistemis-saTaveebTan.html

54. . **Исмаилова 2015**, Вестник Челябинского государственного университета. 2015. № 24 (379). БАНКИ И БАНКОВСКИЕ УЧРЕЖДЕНИЯ ЗАКАВКАЗСКОГО КРАЯ (последняя треть XIX – начало XX века)

https://cyberleninka.ru/article/n/banki-i-bankovskie-uchrezhdeniya-zakavkazskogo-kraya-poslednyaya-tret-xix-nachalo-xx-veka/viewer

55. თბილისის მუზეუმების გაერთიანება 2016

https://www.facebook.com/tbilisimuseums/